

619
1967

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԿԻՆՈՎԵՂՈՒՄԸ
ՆԱԾԻՐՈՒՄ

ԲՆԱԿԱՆԱԿ


19
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԿԻՆՈՎԵՂՈՒՄԸ
ԳԵՂԱՄԱՆ ԱՇԽԱՏԱՆ

ԿԵՆՏՐՈՆ
ՄԱՍԻՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԿԻՆՈՎԵՂՈՒՄԸ



Ձեռքով
Իմ
Կախարհ



Գրքեր
են

... ԽՐՈՆԻՆԱ ...
ՎՈՒՅՑ ԿԻՆՈՓԻԼՄԸ

ԳԵՂԱՄԱՆ ԱՇԽԱՏԱՆ

- 5 ՍԵՐԻԱ... ՍԵՐԻԱ
- 17 ԵՐԵՎԱՆԻ ԿԻՆՈՎԵՂՈՒՄԸ
- 21 ԵՆ ԵՍՏՐԱՆԵ ԿԻՆՈՎԵՂՈՒՄԸ
- 23 ԿԻՆՈՎԵՂՈՒՄԸ
- 25 ԿԻՆՈՎԵՂՈՒՄԸ
- 28 ԵՍՏՐԵՇԱ ԵՎ ԳՐԵՍԻՆ

ԽՐՈՆԻՆԱ
ԿԻՆՈՎԵՂՈՒՄԸ

ԳԵՂԱՄԱՆ ԱՇԽԱՏԱՆ

- 5 ՍԵՐԻԱ...
- 17 ԵՐԵՎԱՆԻ ԿԻՆՈՎԵՂՈՒՄԸ
- 21 ԵՆ ԵՍՏՐԱՆԵ ԿԻՆՈՎԵՂՈՒՄԸ
- 23 ԿԻՆՈՎԵՂՈՒՄԸ
- 25 ԿԻՆՈՎԵՂՈՒՄԸ
- 28 ԵՍՏՐԵՇԱ ԵՎ ԳՐԵՍԻՆ



ԷՅՈՂՅ
№ 7 ՈՅԵՆՈՆ 1967



კონცერტი ღია ცის ქვეშ.

ფოტო ზ. ვახტანგაძისა

საიუბილეო წლის შესვლად

გაზაფხულის ბოლო დღეებში თბილისი კიდევ უფრო დამშვენეს შესანიშნავმა მოსკოვურმა საღამოებმა, რომლებიც მოეწყო ჩვენს თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში, ესტრადებზე და შემოქმედებითი ორგანიზაციების კლუბებში, საგამოფენო დარბაზებში და უმაღლესი სკოლების აუდიტორიებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში; ქართველი მაყურებელი ყველგან სიყვარულითა და აღტაცებით ხედებოდა რუსული საბჭოთა ხელოვნების ბრწყინვალე ოსტატებს, ეცნობოდა მათი შემოქმედების ახალ შესანიშნავ წარმატებებს

ივნისის დასაწყისში ამას მოჰყვა ქართული საღამოები მოსკოვში, სადაც ჩვენი დიდი სამშობლოს დედაქალაქის მშრომლებმა ასევე სიყვარულით და აღტაცებით მიიღეს ქართული სცენისა და მუსიკის, ცეკვისა და სიმღერის, საერთოდ ჩვენი ხელოვნების ოსტატები

როგორც თბილისური, ისე მოსკოვური საღამოები — ეს იყო ჩვენი საბჭოთა კულტურის წინსვლის, მისი აღმავლობის ახალი ბრწყინვალე დემონსტრაცია. ამ საღამოებმა ჩაწერეს ახალი, ნათელი ფურცლები რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის მატანეში.

ამ შემოქმედებითი შეხვედრების დროს ქართველმა მაყურებელმა კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი გულწრფელი და უღრმესი სიყვარული შესანიშნავი რუსული ხელოვნებისადმი, ხოლო რუსმა მაყურებელმა — ასევე უღრმესი და გულწრფელი

სიყვარულით უპასუხა ჩვენი შესანიშნავი ოსტატების გამოსვლას მოსკოვის სცენებზე და აუდიტორიებში

ეს იყო ძმური სიყვარულით გამოთბარი შეხვედრები, ეს იყო ჩვენი სოციალისტური კულტურის დიდი ზეიმი

და რაოდენ საგულისხმო და ნიშნულია, რომ ეს დაუვიწყარი შეხვედრები ეწყობა დიდი ოქტომბრის 10-ე წლისთავის წინა დღეებში, როცა მთელი ჩვენი სამშობლო ემზადება თავის ყველაზე დიადი დღესასწაულისათვის. ეს ყველაფერი ოქტომბერი მოგვითხრობს — მან გაუხსნა შრომის და შემოქმედების თვისუფალი ასპარეზი, მან სამუდამოდ განამტკიცა ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხების ძმობა და მეგობრობა, მან მისცა შესაძლებლობა ხალხის წიაღში დაბადებულ ტალანტებს დაეპყროთ მაღალი მწვერვლები კულტურისა და თვითონ, თავიანთი ხელით შეექმნათ ახალი საბჭოთა კულტურა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ხალხი, ჩვენი სამშობლო.

თავიანთი სპექტაკლები, კონცერტები, გამოსვლები, გამოფენები ჩვენი ხელოვნების ოსტატებმა მიუძღვნეს დიად თარიღს, ისევე როგორც მას უძღვნიან თავიანთ შრომითს გამარჯვებებს ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების მუშები და მოსამსახურენი, საკომლეთურეო მინდვრების ოსტატები, გონებრივ შრომის ადამიანები, მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომლები

პროლეტარებო აველა ქვეყნისა, შეერთდით!



№ 7 (368) ივლისი 1967 წ.

გამოცემის წელი 41-ე

ყოველთვიური საზოგადოებრივი-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხეობრივი ჟურნალი

ნახევარი საუკუნის მწვერვალი

პლ. გაჩაჩავაძე



საქართველოს ძველი მატარებელი — ესაა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, ეროვნული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებისათვის გაუთავებელი, უკომპრომისო ბრძოლების ვრცელი ეპოქა.

ჩვენს ხალხს აღმოაჩნდა დიდი შინაგანი ძალა, რათა გაეძლია ისტორიის ქარიშხლისათვის, რომელიც საუკუნეთა მანძილზე გადადიოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის, აზიისა და ევროპის შესაყართან მოქცეულ ამ მიწაზე. კაცს რომ ხასწაულისა სჭეროდეს, მაშინ მართლაც ხასწაულად უნდა ჩავთვალოთ ის, რომ ქართველმა ხალხმა დიდ ოქტომბრამდე მოაღწია.

იმ ძალთა შორის რომელთაც საშუალება მისცეს ხალხს შეეცნო საკუთარი თავი, მთელი სიხვედრით აღეკვა თავისი შემოქმედებითი ჩივი და უნარი, გაეძლია ყველაზე და ყველაფრისათვის, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ლიტერატურასა და ხელოვნებასაც.

ქართული ლიტერატურა ხალხს უნერგავდა პატრიოტიზმის წმინდა გრძობას, იმის უნარს, რომ ეროვნული ფორმის მეშვეობით განეჭვრიტა ადამიანისა და სამყაროს ცხოვრების უნივერსალური პრობლემები: პოეტები და მოაზროვნეები მოუწოდებდნენ ხალხს შეეცნო გონების სიდიადე, შეეხედა სამყაროსათვის ფართოდანხედით, ნათელი ავადლებით. ისინი აჩვენებდნენ ხალხს აზრის დისციპლინას, რომლისათვისაც უცხოა ყოველი ჭურის დოგმატიზმი, კონფორმიზმი და უგუნური ანარქიზმი. ისინი ასწავლიდნენ ტრადიციებისადმი პატივისცემას და სიხვედრით ძიებებს ხალხის სულიერი საგანძურის მყარ, ქმედით საფუძველზე.

ცხოვრების ახეთი კონცეფცია, ძიებათა და აღმოჩენათა ახეთი ესთეტიკური საფუძველი მქონდათ შოთა რუსთაველს, ბექა და ბეშქენ ოპიზარებს, იოანე პეტრიწს, გიორგი მერჩულს, სულხან-საბა ორბელიანს, დავით გურამიშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილიასა და აკაკის, ვაჟა-ფშაველას, დიდ ბუროთმოძღვრებს, რომლებმაც აღმართეს უშენაწინავესი ძეგლები, ფუნჯისა და საქრთლის ოსტატებს, რომლებმაც უკვდავი ქმნილებებით შეამკეს ეს ძეგლები.

საუკუნეები აშალებდნენ და განამტკიცებდნენ სიცოცხლისა და სიკეთისადმი უსაზღვრო რწმენას. ნიდაგი უკვე მზად იყო. ამიტომ მოხდა, რომ ლენინის უძლეველი იდეები და საქმეები მაშინვე აღიტაცეს საქართველოს მოწინავე ადამიანებმა.

ჭერ ისევ ჩვენი საუკუნის მიწაზე ახალგაზრდა ვლადიმერ ულიანოვის ირგვლივ შემოიკრია და კომორტა მებრძოლებისა, რომლებიც მთელი თავიანთი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე კომუნისტური პარტიის დიადი საქმის ერთგულნი იყვნენ.

მომდევნო ათეული წლების მანძილზე, ძველთან საბრძოლველად მათს მხარდამხარ, დგებოდნენ ხალხის ყველა საუკეთესო შვილები, ყველა ისინი ვინც ღამსჯილულნი იყვნენ ნათელი მომავლისათვის ბრძოლის მაღალი იდეალებით.

ახალი დროის დიდი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე წერდა:

ერთხელ ღამით, ცეცხლის ალზე
მივდიოდით ტოლნი,
მივდიოდით და, პა, თვალწინ
აღიშარათა სმოლნი!

და როდესაც თვალს აცეცებს
ლულა ტყვიამფრქვევის,
კუშავის ხმას: — თქვენ ვის ეძებთ?
ვუპასუხე: — ლენინს.

როცა ილიჩი გარდაიცვალა, გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა პაოლო იაშვილმა შექმნა განსაცვიფრებელი ძალის რქვევები:

დგას პოეზია საპატიო ერთგულ დარაჯად
მეექვეს ღამე! ჩანს თბილისი, ვით სასაფლაო.
უნდა სიჩუმე გამოცხადდეს ერთი საათით...

ამხანაგებო, ჩადგა წუთით ოქტომბრის ქარი.
ვიმღეროთ ერთად, პოეტებო, მარში გლოვისა.

ლენინის იდეებმა ოქტომბრის საქმეებმა ალაფროთავანეს არა მარტო გალაკტიონი და პაოლო იაშვილი; ამ იდეებით, ფიქრებითა და რწმენითაა გასჭვალული მთელი ქართული ლიტერატურა, ჩვენი მწერლობის მთელი თაობები, დიადი ორმოცდაათი წლის კულტურა.

პოეტები, ბუროთმოძღვრები, მხატვრები, კინოხელოვნების ოსტატები, თეატრების მსახიობები, რეჟისორები, სწავლულები, ლენინის იდეებს ეწიარებოდნენ საკუთარი გულის კარნახით, რადგან ხედავდნენ, გრძობდნენ, რომ ლენინის იდეები, ოქტომბრის საქმე განუყოფელია მსოფლიოს, კაცობრიობისა, მათი საქართველოს ბედობისაგან, მისი აწმყოსა და მომავლისაგან.

ახალი სამყაროს, ახალი ადამიანის, ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ისტორიული სიმართლისათვის გზის გაკვლევა არც ისე უბრალო და იოლი საქმე იყო. ეს იყო რთული, თვისებური პროცესი, რომელსაც უდიდესი ტაქტიკური წარმართავდა და ხელმძღვანელობდა ჩვენი პარტია. საჭირო იყო ლენინის გენია, რათა სწორი გზის მისცემოდა ძალას და გაქანებას იმ სოციალური კატაკლიზმისა, რომელიც დაკავშირებულია კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეპოქის მშენებლობის დასაწყისთან.

თავიდანვე ყველა აღიტაცა შემოქმედებამ, გაქანებამ, ეპოქის რიტმმა, სახალხო ძალებიან გაღვიძებამ, პარტიის მიზანდასახულობამ და მისმა უღრეკმა ნებისყოფამ, რომლებმაც გადალახეს ყველა დაბრკოლება, დასძლიეს ახალი სამყაროს შექმნის ყველა სიძნელე.

ოქტომბრის ეპოქის ქართველი მწერლებისა და პოეტების დავაყაცებას, ჩამოყალიბებას ხელს უწყობდა მოქალაქეობრიობის ტრადიცია, პასუხისმგებლობის გრძობა, რაც ესოდენ დამახასიათებელია ჩვენი კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურისათვის.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება: XIX საუკუნე ჩვენთვის იყო არა მარტო საუკუნე უუფლებობისა, როცა მძვინვარებდა ეროვნული და სოციალური ჩაგვრა, არამედ ეს იყო რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოხვედრილი სხვადასხვა ხალხების ერთობლივი განმარტვისუფლებელი ბრძოლის ეპოქა.

რუსეთის იმპერიაში ბარბაქოდების ერთ მხარეს იდგნენ ყველა ეს პოპედონოსცევიები, პურიშკევიჩები, მილიუტოვიჩები, გუჩკოვიჩები და, მათთან ერთად, ადგილობრივი რეაქციული დედაცობა და არისტოკრატია, მეორე მხარეს კი შრომის ადამიანებთან ხელიხელმეორედებული იბრძოდნენ დეკაბრისტები, გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, ნეკრასოვი, ტარას შევჩენკო, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ეგნატე ნინოშვილი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვა ხალხების გამოჩენილი პროგრესული მოღვაწეები.

ხალხთა მეგობრობა, მოძმე ხალხთა მოწინავე ადამიანების მეგობრობა საბოლოოდ ჩამოყალიბდა და განმტკიცდა სწორედ ამ პერიოდში, და ამ პროცესის კანონზომიერი დაგვირგვინება იყო ყველა ხალხის ერთობლივი ბრძოლა ოქტომბრისათვის ლენინის ხელმძღვანელობით.

სწორედ ეს ისტორიული პირობები ნათელყოფენ იმას, თუ რატომ შეხვდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ასე ალტაცებით რევოლუციას; სოციალისტურ გარდაქმნებსა და ეროვნულ კულტურათა გაფურჩქვნა-აღორძინებაში მან დაინახა ხალხის საუკუნეობრივ ცუნებათა ერთადერთი შესაძლებელი განხორციელება.

პარტიამ მოიპოვა უდიდესი გამარჯვება ახალი კულტურის მშენებლობის ფრონტზე. მან მორალურ-პოლიტიკურად შეამჭიდროვა მთელი ჩვენი ხალხი, მისი ინტელიგენცია სოციალისტური, კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად; ამ განვითარებადი სოციალისტური საზოგადოების წიადში, კომუნისტური ფორმაციის მშენებლობის პირობებში იზრდება ჩვენი კულტურა, ლიტერატურა.


ქართველი მწერლების, კულტურის მოღვაწეების ახალი თაობა წარმოადგენს იმ ხილს, რომელიც აერთიანებს წარსულს აწმყოსთან, უზრუნველყოფს ხალხის სულიერი ცხოვრების ორგანიზაციას, მარშოინულ განვითარებას. ძველი ცოცხლობის ახალში და ახალი დაფუძნებულია ძველზე.

ჩვენს წინაშე ახალი ისტორიული ამოცანები დგას და საქართველოს საბჭოთა ინტელიგენცია, ჩვენი ხალხი, ოქტომბრის დღეებში, ლენინის დროში რომ მოიპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, უკან არ დაიხვეს საკუთარი მიზნებისა და ამოცანების გრანდიოზულობის წინაშე.

ადამიანის ბედნიერებისათვის, მისი ნათელი გონების ზეიმისათვის განვლილმა ნახევარმა საუკუნემ გააკეთა იმდენი, რამდენიც არ გაუკეთებიათ მთელ განვლილ საუკუნეებს და ათასეულ წლებს. მან ახალ მწვერვალზე აიყვანა ადამიანის ფიქრი და ოცნება. სოციალისტური სახელმწიფოს წმინდისათვის არის უზარმაზარი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე მთელი მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებისათვის. ამ მოვლენის მასშტაბები განამარტობენ იმ პერსპექტივების სიდიადეს, რომლებიც ჩვენმა ხალხმა დაინახა.

ჩვენი ხალხი, მისი ინტელიგენცია, მოძმე ხალხებთან ერთად, მიდის პარტიის მიერ გაკვალული დიდი გზით, რომელსაც კომუნისტიზმისაკენ მივყავართ.

10.9.369





ცხელი გაზა მისა, რომ დიდულ სა-
სამღერო მამ არს, ზეგნობრივად
მყოფობს წამალურ კაბულს. მობა
არგირ არ უმად ვაფუფუნებს სიყუ-
დნ მუხრია — თაღლია და ჩას
სამშობლო!

მობრანდით და თქვენი თვალით
ნახეთ ქუთურბო (ფოტო № 1). ზღმა
ქრობ ამ ზღის, შეუდგებიან ზღარა
ღმარის და თქვენ თაღლიან ვაფი-
ზღმა აყუცებითა და წიღებებით
დაბურულ ფერებზე შედინილა
სეგბი (ფოტო № 2). ეს სახელწოდო
ქართული ფუტკრის სახეზე მებრე-
ნობა.

ამ ზღარა სოფელს კარგად იყუ-
ბენ მიუღ მსოფლიოში. დედ არ ვაფი-
ღის, რომ მადლობს წერაღებს არ
მიიღონ სულსწავლიდან და ზღლი-
ღამ, იპანიიდან და ნოჭუციდან,
ზღლიგარითიან და ირგლისიან, და
კიდევ დინ მსოფლიოში!

ქმ მებურია გამოხევი ქართული
ზღის ეჭმუღობრივობითა ფუტკრით,
რომელმაც კარგა ხანია, ჩაუ მიღლ
მსოფლიოში ვაიოქვა სახელი.

მებურებმა მფუტკრებმა 1988
წელს ჩვენს სამშობლოს და მსოფლი-
ოს თგამეტ ჰეუგანს 10.000 ქართუ-
ლი დღის ფუტკრის ზღის მებურე-
ობის კოლექციებს ვაფუტკრებოლს აქვს
მიღდნარე საფუტკრეო წელს 10.000
„დღისფაქა“ გამოფენის.

მებურის არსებობის სახლობის
კოლმებურეობაში ერთიანი წამ-
ღამის დღელია ჩასი ეჭმუღობ. ჩასი
პოლქოებმა ქმ 101 ზღმარე ვა-
ფუტკრული. მობაღლ წელს კარგა ზი-
არო ურანს ზღმე ურანს მებაფი-
ბრავლის წერებში დღეს კარგად
მებურეც და ახლა მებაფიღლი
ზღმუნდობას ზინ (ფოტო № 3).

1



2


ფოტო № 2. მობრანდობა

Handwritten text in Georgian script.



4

...უკავლდენ ახლი სიყვარულის
დახმობის მოქმე ვარ. უკავლდენ
ქმარა ნახეთა შეზღობს სამშობო-
არო სახლის ეჭმე, ვაფიციანს თგირ
ხალის და დავიღის თგირ ზღა-
ტებს. მამნათეგ შეგარტეიანს სარ-
ღელია მობი ვაფიციანს, სობარულს,
ჩქურს და იმღის ზღატებს ვაფუტ-
კრებს. დღის სარე სეგმობენ არა
თავიანი მებურანს, ახალმბურებს
ნახებს, მფუტკრის, ვარანებს, მერე
დღელს გულმბებს, მიღლიცავს
ჩიღებს ხელში აფენს და კეთილ



5

Handwritten text in Georgian script.

მობაღლს ფუტკრებს. წამალღობს
ვაფიციანს, დარაგებს.

...ზღელია სოფელში ზღის, ვაფ-
მეფუტკრით. ზღის ჰეოთავა, მამ-
ნათ, ცხელია ზღის დღისათ. დღისი,
ქარა, წამ.წამ... ზღის და ეჭმულენ
მიანენ იმღი და სობარული. მერე
კეთლ პალტობა, სამარტეო მამ-
და. არა უკავლდენ.

ამბონ ფუტკრის ეჭმელს, ამბონ
ჩქურსებს აქურ ბეჭებს მის სა-
ხელს.

მებურია ეჭმელ იცნობს ნაყოლ-
თობას. ეს გამოხდელია ვაფიცი-
ან უმე მებურის სოფლმებურე მებ-
არა მობაღლი თაობის აღზრდა კე-
თილმობიღარ სეგმებს ეჭმარტებს.
ღმურწობოლ პეღეგოც კეთლ ახა-
ვარტული სამწეუთა და ეჭმრეითი
არის საეჭმ (ფოტო № 6).

მფუტკრე ზღმეში იღვა ირანდღის
ტამარ (ფოტო № 7). ვინ მობა-
ღლის ჩამტეი ჩამის მამწეიან არა
ეს წამტეიებს. მებურეობის წმარე
ეჭმუტკრებმა ზღმე ამ მდობიგებს.

6

ნელი მამბაბიძი
სობარტეუ.



3

ეს ღამისი სახლი მებურებმა
კოლმებურეობაში ქართულ მებურებს
აფუტკრე სახელად. წმარ ზღამე —
იღვა კოლმებურეობა ვაფიციანს მობ-
ღლია და ვარანს მოღმინია (ფოტო
№ 4).

ოჯღითი წელია, ჩაუ რისხე-
ღის დას. ეჭმე, ცხობილა ვა-
ნეყოლოცე ნიკო მებია აფიციანს
წამწარულე ვაფიციანს დღეს
(ფოტო № 5). ცხობი ზღის ზღელი
იღმეზღატე, არაღლი ლეგნაც. მამ-
არაფუტკრე სამშობლო სახლი ნიკოს
თაობანიობა ვაფიციანს. მებურე მობარ-
ტეუში კი არა, ნიკოს მიღლ დახა-
ღლი საქარეობოში იცნობენ მის
სახლს ეჭმულენ მფუტკრული წამ-
პოქეუტებს.



7



გაიქვენი და გალახია

პახანა თოხაძე

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი.

საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი მატერიალური ცხოვრების სფეროში — უდარესად მრავალფეროვანია. მომხმარებელი ჩვენგან მოითხოვს მოხდენილად შეკერილ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს, ათასგვარ წვირილან და არაწვირილან საქონელს, დაწყებული კოჟის ძაფით და გათავებული საოჯახო მაცივრით, ავეჯითა და ტელევიზორით; ამითაც როდი თავდება ყველაფერი: მომხმარებელი ამავე დროს, მიეჩნება, რომ მას რაც შეიძლება სწრაფად და კულტურულად მოემსახუროს.

ამიტომ ვაჭრობის დარგის მუშაკთა ამოცანაც იმაშია, რომ სწორად განსაზღვრონ მოსახლეობის მოთხოვნა საქონელზე, საათივით ააწიონ ვაჭრობის პროცესი, კარგად იყენონ დაუფლებულნი, აფასებდნენ და უყვარდეთ თავიანთი პროფესია, თავაზიანობასა და გულისხმიერებას იჩენდნენ მყიდველებისადმი.

აქ ყველაზე რთული უბანია მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლა; ამის საფუძველზეც უნდა წარუდგინოთ შეკვეთები მრეწველობას; ალბათ გახსოვთ ერთი პერიოდი, როცა სავაჭრო ორგანიზაციების საწყობები გაჭედილი იყო ალუმინის გასაშლელი საწოლებით; ცალკეულმა უხეირო საქონელმცოდნეებმა აქედან თავისებური დასკვნა გამოიტანეს და მოითხოვეს ამ საწოლების გამოშვების მკვეთრად შემცირება; რა შედეგი მივიღეთ? ეს საწოლები შემდეგ სანთლით საძებარი გახდა. ასევე დამართათ სხვადასხვა დროს, ელემტრო-უთოებს, უსაფრთხო სამართებლის დანებს, ასანთსა და სხვ. ეს იყო ერთი უტილურესობიდან მეორეში გადავარდნა. ამ მდგომარეობის გამოსწორებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა; განა ეს ფაქტი არ მოწმობს, რომ მოსახლეობის მოთხოვნათა შესწავლა, უკანასკნელ დრომდე არ ემყარებოდა მეცნიერულად დასაბუთებულ გაანგარიშებას! სწორედ ამიტომ აუცილებელი გახდა ამ საქმის ძირფესვიანად გარდაქმნა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მრეწველობის მუშაობის შეფასებას საფუძვლად დაედო არა წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, არამედ ამ პროდუქციის რეალიზაციის დონე.

ყოველივე ზემოთქმული მოწმობს, რომ სავაჭრო ორგანიზაციების შეკვეთა კანონი უნდა იყოს მრეწველობისათვის. ამიტომ გასაგებია, თუ რაოდენი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ვაჭრობის დარგის მუშაკები შეკვეთების შედგენას. ამ ამოცანის გადაჭრის მიზნით სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან შეიქმნა სახალხო მომხმარებლის საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებისა და ვაჭრობის კონსულტაციის შემსწავლელი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, რომელსაც თავისი ფილიალები აქვს მოკავშირე რესპუბლიკებში. ამას გარდა, უშუალოდ სავაჭრო ორგანიზაციებში დაარსდა მოთხოვნის შემსწავლელი სამსახური. ყოველივე ეს უზრუნველყოფს, რათა აღარ განმეორდეს ისეთი არანორმალური ფაქტები, რომელთა შესახებ ზემოთ ვლაპარაკობდით.

საქმე მართო ის კი არ არის, რომ იყიდებოდეს ყოველნაირი საქონელი. რომელიც კი მომხმარებელს სჭირდება. ჩვენს ადამიანებს იმდენად განუვითარდათ გემოვნება, იმდენად მომთხოვნელნი გახდნენ, რომ უკვე დიდ არჩევანში არიან, მოითხოვენ მაღალხარისხოვანსა და ლამაზად გაფორმებულ საქონელს. ერთი შეხედვით, თითქოს რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საქონლის შეფუთვას, მის ფერადოვნებას, ეტიკეტების მიმზიდველობას, თუნდაც ფურნიტურის, მაგალითად, ღილების შერჩევას. მაგრამ სწორედ ეს ე. წ. წვირილმანები ხშირად გადაწყვეტს როლს თამაშობენ საქონლის შეძენის დროს.

განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ სპეციალიზებულ მაღაზიაში, ვიჭკვათ. იმ მაღაზიაში, რომელიც მხოლოდ ტანსაცმლით, უფრო მეტიც მართო მამაკაცის ტანსაცმლით ვაჭრობს, გაცილებით ადვილია საქონლის შერჩევა, ვიდრე შერჩეულ სამრეწველო მაღაზიაში, სადაც, გარდა ტანსაცმლისა, სხვა მრავალი საქონელი იყიდება და ამიტომ ტანსაცმელი ვერ იქნება წარმოდგენილი სრული ასორტიმენტით — ყველა ზომის, ფასონის, ფერისა და სეზონის მიხედვით. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სპეციალიზებულ მაღაზიაში უფრო სწორად შეიძლება აღირიცხოს მყიდველთა მოთხოვნა და, მამასადამე, საქონელიც ამის მიხედვით იქნას შეკვეთილი და შეზიდული სავაჭრო ქსელში.

ვთქვათ მომხმარებელი რომელიმე საქონლის შესაძენად შევიდა ისეთ მაღაზიაში, სადაც არ იყენებენ ვაჭრობის პროგრესულ მეთოდებს. ვიდრე გამყიდველი მისთვის მოიცლის, გადის საკმაო დრო, ამასთან, მას არ ეძლევა საშუალება უფრო გულდასმით შეარჩიოს საქონელი. სულ სხვა მდგომარეობაა, როცა მაღაზია მუშაობს ისეთი მოწინავე მეთოდებით, როგორცაა საქონლის გაყიდვა ღია გამოლაგებით, ნიმუშების მიხედვით ან თვითმომსახურებით. ამ შემთხვევაში მყიდველს შეუძლია უშუალოდ, გამყიდველის დაუხმარებლად გასინჯოს და შეარჩიოს მისთვის საჭირო საქონელი. ცხადია, ასეთი მეთოდებით ვაჭრობა უფრო მოხერხებულია მყიდველისათვის და თვით სავაჭრო საწარმოსათვისაც ეკონომიურად უფრო მეტად ეფექტურია.

ჩვენი მრეწველობა სულ უფრო და უფრო მეტს ახალი სახეობის სახალხო მომხმარებლის საქონელს უშვებს. იშვიათი როდია შემთხვევა, როცა ასეთი ახალი საქონელი მაღაზიის თაროებზე აწყევია, მომხმარებელი კი მას არ იც-

ნობს. სწორედ აქ უნდა იჩენდეს თავს გამყიდველის ნიჭი და უნარი. როცა ჩვენ კულტურულ მომსახურებაზე ვლაპარაკობთ, ეს არ ნიშნავს გამყიდველის მხოლოდ თავაზიანობასა და გულისხმიერებას. გამყიდველმა უნდა აუხსნას მყიდველს საქონლის თვისებები და ხმარების წესი, დაეხმაროს მას საქონლის შერჩევისას, შესთავაზოს სხვა მსგავსი საქონელი იმ შემთხვევაში თუ მაღაზიის არ აღმოაჩნდა ის, რასაც მყიდველი თხოულობს.

ქალთა ოჯახური შრომის გაადვილებისა და საერთოდ ჩვენი ყოფაცხოვრების გარდაქმნის თვალსაზრისით განსაკუთრებული როლი ეკისრება საზოგადოებრივ კვებას. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოიტანეს დადგენილება „საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც ნათქვამია: „კარგად მოგვარებული საზოგადოებრივი კვება ხელს შეუწყობს მშრომელებს უკეთ მოაწყონ დასვენება, სწავლა, მეტი ყურადღება დაუთმონ ბავშვების აღზრდას, ნამდვილად შეუწყობს ხელს იმას, რომ ქალები განთავისუფლდნენ ოჯახურ პირობებში საქმლის მომზადებ ს მძიმე შრომისაგან და გაადიდებს მათს როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.


მართლაც, რომელ ოჯახს არ სურს თავი დააღწიოს იმ ყოველდღიურ წრიალს, რაც დაკავშირებულია სადილის დამზადებასთან და რაც განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწევება დიასახლისებს. ხსენებული დადგენილების დედაბერი ისაა, რომ ჩვენს ადამიანებს საშუალება მიეცეთ ისარგებლონ საზოგადოებრივი კვებით ყველგან — ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობაზე, დაწესებულებაში, სკოლასა თუ ინსტიტუტში, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში, საველო ბანკში, საძოვრებზე, საერთო საქალაქო სასადილოებში, კაფეებსა და რესტორნებში. ამ ამოცანის გადასაჭრელად ჩვენს რესპუბლიკაში 1970 წლამდე გაიხსნება საზოგადოებრივი კვების ახალი საწარმოები 70 ათასი ადგილით.

მაგრამ მთავარია საქმე ისე დავაყენოთ, რომ სასადილოში დამზადებული კერძი თავისი ხარისხით და გემოთი არ ჩამოუვარდებოდეს ოჯახში დამზადებულს, ფასებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს. საზოგადოებრივი კვების დარგის მუშაკებმა საქმით უნდა დაუმტკიცონ მოსახლეობას სასადილოთი, რესტორნით ან კაფეთი სარგებლობის უპირატესობა. იმისათვის, რომ ამას მივღწეოთ, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები გაცხოველებულ სამზადისში არიან ზუთლიან სამუშაო კვირაზე გადასვლისათვის. ამ ახალ პირობებში განსაკუთრებით იზრდება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების როლი. ჩვენი მუშაობის დღეები და საათები ისეთნაირად უნდა შეეუფარდეთ მოსახლეობის მოთხოვნებს, რომ ეს ყველაზე მოსახერხებელი იყოს მისთვის და, ამავე დროს, თვით ვაჭრობის მუშაკებსაც ჰქონდეთ საშუალება ისარგებლონ ორი დასვენების დღით თუ ზედიზედ არა, ყველა შემთხვევაში. ე. წ. სრიალა გრაფიკის მიხედვით.

ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესება, მოსახლეობის მზარდი და მრავალფეროვანი მოთხოვნილების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება, მომსახურების კულტურის ამაღლება და სამეურნეო საქმიანობის უნარიანად წარმართვა — აი ის, რაც მთავარია ვაჭრობის მუშაკთა მიერ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის აღებულ სოციალისტურ ვალდებულებებში. ეჭვი არ არის, რომ ისინი გამოიჩენენ საჭირო ძალასა და უნარს თავიანთი პირობის შესასრულებლად.

აი ასეთ დასახელებულ სახლს აშენებს ვაჭრობის სამინისტრო თბილისის ზღვის ნაპირზე.



ქარლო ქალანდიაძე

ვინ იცის რამდენჯერ თქმულა, რომ საერთოდ ცხოვრება მეტად რთული რამ არის: რამდენიმე ადამიანი მუშაობს საამქროში და ყველას თავისი სიხარული აქვს, ხანდახან კი, დარდიც და ტკივილიც არის საამქროში ერთი კაცი, რომელიც მოწოდებულია და მოვალეა, ასე ვთქვათ, ყოველი საქმის კურსში იყოს; მაგრამ ადამიანის გულს სათუთი მოპყრობა უნდა და დიდი ტაქტია საჭირო, რომ კაცს ხელი ისე გაუწოდო, ტკივილი უფრო არ გაუწვავო. აქ საჭიროა დიდი გულისხმიერება, ცოდნა და ჩაწვდობა.

ყველას უნდა შეეძლოს ეს საამქროში და ყველაზე პირველს — პარტიურს მდივანს.

სწორედ ასეთი კაცია ელმავალმშენებელი ქარხნის სამსახურლო საამქროს პარტიურს მდივანი ვაჟა მახარაძე.

ზემოთ სიტყვა „ტაქტი“ ვახსენეთ. ჩვენც გამოვიჩინოთ ეს ტაქტი და ნურც ქალსა და ნურც კაცს, ვის ამხავსაც ქვემოთ მოგუყვებით, ნამდვილი სახელეებით ნუ მოვიხსენიებთ.

ვაჟა იმ დღეს ზუსტი სხმულების მეყალიბებთა ბრიგადირს — მერამ კაპახიძეს ესაუბრებოდა. ბრიგადირს რომ დაშორდა, მანანას მოჭრა თვალი. ქალი დაზგასთან იდგა და სანთლის ყალიბს ძერწავდა. მუდამ ხალისიანი და გულღია მანანა ბოლო ხანებში როგორღაც გამოიცვალა, რაღაც დარდი შეეპარა გულში. აი, ახლაც, ისე დაღონებული დასტკეროდა ყალიბს, ეტყობოდა, ფიჭით სხვაგან იყო. ვაჟა ამას კარგა ხანია ამჩნევდა, მაგრამ მიზეზი არ იცოდა. ბრიგადირსაც უთხრა, გაიგე რა აწუხებსო, მაგრამ ქალმა გული არავის გაუხსნა, ჩიკეტა თავის თავში და სადარდელი არ გაამხილა.

ვაჟა ნელ-ნელა მიუახლოვდა მანანას, გაუღიმა და უთხრა:

— ნელი როგორ არის, ისევ ისეთი გადარეული გოგოა?

მანანამ მუქი წაბლისფერი თმები შუბლიდან გადაიწია და მოკრძალებით შეხედა ვაჟს. დიახ, ისევ ისეთია, ასე უცებ რა დადინჯებდა სამი წლის გოგონას, — უპასუხა და მუშაობა განაგრძო.

ვაჟა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მანანას რაღაც აწუხებდა და შეველა იყო საჭირო.

ასე გაიარა კიდევ ერთმა კვირამ. პარტიურს მდივანმა გადაწყვიტა ქალი გულახდილ საუბარში გამოეწვია.

— მაპატიეთ, მანანა, ცნობისმოყვარეობა არ მაღაპარაკებს, მითხარით, რატომ შეიცვალეთ ასე, რა მოხდა, რა გაწუხებთ?

ქალმა ისე შეხედა, რომ ეტყობოდა იუკადრისა კიდევ ასეთი შეკითხვა.

— მე სრულებითაც არ გამოვცვლილვარ.

— ეგებ თქვენ ვერ ამჩნევთ, მაგრამ ჩვენ ვხედავთ. თქვენი ამხანაგები გატყობენ, ამას გარდა, დაბრძანდით, რატომ დგახართ ფეხზე, — უთხრა ვაჟამ, — მე ვზივარ, თქვენ კი დგახართ. განა შეიძლება ასე?

— არა უშავს, მერქარება, შინ უნდა წავიდე! ვაჟამ უფრო გულახდილად დაუწყო ლაპარაკი.

— ოჯახი არ უნდა დაიხგრეს, თქვენ კარგი ოჯახი გაქვთ, მანანა, — ქალისათვის მოულოდნელად თქვა მან, — რამდენი წლისაა თქვენი უფროსი ქალიშვილი.

— ექვსი, — უპასუხა შემკრთალმა ქალმა და თავისთვის შეუმჩნევლად დაუშვა სკამზე.

— ოჯახის დანგრევაზე ფიქრიც კი არ მინდა, ბავშვები მეცოდება, მაგრამ უსიყვარულო ოჯახი რადა ოჯახია! მე მთელი ეს დღეები თითქოს ბურანში დავფარფატებ და არ ვიცი საით მივდივარ, რას ვაკეთებ!

— მითხარი ყველაფერი, როგორც შენს ძმას ეტყობი. და შენთან ერთად მივალე.

— ხომ იცით, ვაჟა, როგორ არის ჩვენში... ქალმა ოჯახის უსიამოვნებანი გარეთ არ უნდა გაიტანოს, ყველაფერი მისი სახლის კედლებში უნდა დარჩეს.

— აქი ვითხარი, შენთანად გვიგულე-მეთქი.

საუბარი გრძელდებოდა... მანანას მეუღლემ ლევანმა თურმე კარგა ხანია გული აიყარა ოჯახზე — ის სხვამ გაიტაცა. ქალი ახლა, ცრემლი რომ დაემალა, ცხვირსახოცს მალიმალ იფარებდა თვალებზე.

— მანანა, — უთხრა ვაჟამ, — ერთი სათხოვარი მაქვს: საღაც დღემდე მოგიტონია, რამდენიმე დღეც დამაცადე.

ეს საუბარი პარტიურს ოთახში მიმდინარეობდა.

მეორე დღეს ვაჟა ლევანს შეხვდა; თავმოყვარე კაცს, ცხადია, არაფერი უთხრა მის ოჯახზე, საამქროს მუშაობაზე ჩამოუგდო სიტყვა. ბევრი ისაუბრეს. დაშორებისას შეთანხმდნენ, რომ ხვალ კინოთეატრ „საქართველოში“ წავიდოდნენ.

— არ დაგვიწყდეს, მანანაც წამოიყვანე, აღარ შეგვშენის ახლა მარტო სიარული. პატარა ბიჭები ხომ აღარა ვართ, ოჯახის პატრონები ვართ! — თითქოს სხვათა შორის დასძინა ვაჟამ გამომშვიდობებისას.

ლევანისათვის ეს სიტყვები მოულოდნელი იყო, ვერაფერი უპასუხა, მაგრამ გულში კი ჩარჩა რაღაც. ლევანს ისეთი ხათრი ჰქონდა ვაჟასი, რომ ცხადია, უარს ვერ ეტყუდა. მეორე დღეს ოთხივემ ერთად ნახეს იტალიური ფილმი „გუშინ, დღეს, ხვალ“.

ძალიან მოეწონათ სოფი ლორენი.

— კარგი მსახიობია, თავისებური სახე, ნამდვილი ქალია, გამომწვევი, თანაც შვიდი შვილის დედა, — თქვა ლევანმა.

ვაჟამ კი მანანას გადახედა და ხუმრობით უთხრა:

კული სხვანაძე



ვაჟა მახარაძე საამქროში.

— არ გინდა იმ ქალივით შვიდი შვილი გყავდეს? მანანას ლოყები აელეწა, თავი დახარა.

— რატომაც არა, — წამოიძახა ვალიდამ, ვაჟას მეუღლემ, — იმ ადამიანებს არც ბინა აქვთ, არც შემოსავალი, ვალეებში იხრჩობიან, საციხედ იხდიან საქმეს და მინც ამრავლებენ თავიანთ ქვეყანას. თქვენ კი რა გიჭირთ? არაფერი. პოდა, დასკვნა თვითონ გამოიტანეთ.

ამ დღიდან ყინულმა იწყო დნობა. სულ მალე ოჯახში მყუდროება დამკვიდრდა. ვაჟა ერთ სადამოს, თითქოს შემთხვევით, ბინაზე ესტუმრა ლევანს. ბევრი ილაპარაკეს ცისა და ზარის ამბებზე, ლევანმა საყვედურიც კი უთხრა ვაჟას — მარტო რატომ მოსხვედრი. სამაგიეროდ შემდეგ ეს შეცდომა ლევანმა გამოასწორა — მანანასთან ერთად ესტუმრა ვაჟას.

ეს მართლაც კარგი გაკვეთილი იყო, ნამდვილად ცხოვრებისეული გაკვეთილი.

და იცით რა არის აქ ყველაზე მთავარი — ლევანს არც კი გაუგია იცოდა ვაჟამ მისი ოჯახის ამბავი, თუ ყველაფერი ეს უბრალო დამთხვევა იყო. ასე უმტკივნეულოდ გადაწყდა ეს მართლაც მტკივნეული საკითხი. და ვინ მოსთვლის რამდენჯერ წამოიჭრება ხოლმე ასეთი საკითხი? მათ ვერ აღრიცხავ, კრებაზე ვერ გამოიტან, საანგარიშო მოხსენებაში ვერ აღწუსხავ; მაგრამ განა ადამიანი სიკეთეს იმიტომ თესავს, რომ შემდეგ ვისმეს ანგარიში წარუდგინოს! ეს მისთვის აუცილებელია, როგორც სუნთქვა, როგორც თვალის სინათლე; აქ არ შეიძლება ჩვენი ბრძენი ილია არ გავიხსენოთ. გახსოვთ რას ეუბნება არჩილი კესოს:

„გული რა არის? მარტო ერთადერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზე, გულიც არ იქნებოდა. გული

მადლია, და მადლი მარტო ორს შუა მსაქმობს. ორნი მინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოხდეს, იმიტომ, რომ მადლი ერთსაგან გაწირავა და მეორისაგან შეწირვა ერთსა და იმავე ღროს. თუ ან გაწირველი არ არის, ან შემწირველი, მადლიც არ არის, მაშასადამე, გულიცა. თუ ორნი არ არიან, გულმა რისთვის ამოციქულოს ან ენა, ან თვალი, ან ყური. თავის თავთან მოციქული საჭირო არ არის, მოციქული სხვასთან უნდა. უსხვისოდ ერთის გული მარტო პარკია, სისხლის აღებ-მიმცემი აგებულებისათვის. სად არის ის სხვა?“

სად არის — შენს გვერდით, შენს ირგვლივ; ერთ დღეს მუშები საამქროში რომ მოვიდნენ, ყველა ლამაზად გაფორმებულ დაფას მიაწყდა. მასზე ეწერა:

„მეგობრებო! დღეს მეყალიბე გიორგი მუქნია-შვილს მშ წელი შეუსრულდა. შენი კოლექტივი, ჩვენი გიორგი, გილოცავს დაბადების დღეს და გისურვებს ახალ წარმატებებს.“

მალე თვითონ გიორგიც გამოჩნდა. გახარებული, სახეგაბრწყინებული. რა უნდოდა ამას, ბევრი არაფერი, მაგრამ დახეტ რამოდენა სიხარული მიანიჭეს კაცს, და ყველაფერი ეს თბილი გულის კარნახი იყო.

ასეთი კაცია ვაჟა მახარაძე.

მაგრამ მოგხსენებათ, პარტიურს მდივანმა მარტო ადამიანის სული კი არა, ელმავლის ტექნოლოგიაც ასევე ღრმად უნდა იცოდეს. უამისოდ შეუძლებელია მისი მუშაობა.

ვაჟა აქც მოწინავეა და ტოლს არავის დაუდებს. საამქროში მას გარს შემოკრებილი ჰყავს ნოვატორთა და მაძიებელთა მთელი ჯგუფი; მას მხარში უდგანან ევგენი რეშეტოვი, ნოდარ ვილაური, ჯე-

გულგარეულ კომეტ ქალს ლილიანა სტეფანოვას



ლილიანა!
გახსოვს მცხეთა —
ვერხვიანა, რცხილიანა,
ხომ, ხომ გახსოვს ლილიანა?
და სოსნების ცისფერ შუქით
განათებულ გზებს და შუქებს
თუ იხსენებ.
დაივიწყე ალბათ უკვე,
რადგან ბხოვნი ფერად სიმებს
ეფარება ზოგჯერ მძიმედ
ბევრი გზა და ბევრი დარდი.
მაგრამ ზოგჯერ შორეულიც,

ხანდახან ცრემლმორეული,
და ხან დიმილმორეული
ჩვენთან დადის.
ლილიანა! გახსოვს მცხეთა,
არაგვის და მტკვარის ფეთქვა,
სულ ეს მსურდა შენთვის მეთქვა.
სხვა? სხვა მეტი არაფერი:
არც მთები, არც ქარაფები,
არც ირმები განაფრენი,
მხოლოდ მცხეთა,
სხვა, სხვა მეტი არაფერი,
არაფერი.

გრემის გზაზე

ვიღაცა მოდის გრძელი ნაბიჯით,
სოფლელი ბიჭის ლამაზი თავით:
ალბათ ასეთი იყავი ვახტანგ,
ალბათ ასეთი იყავი დავით!
ალბათ ასეთი იყავი ავაგ, —
მაღლა ნებისად აწვდილი ცერით.
... პატარა საუდრებს ალაგ და ალაგ
ჩამონგრევია კრამიტი ძველი.
ცაში ქანაობს ბებერი ძერა,
შუგს ეფიცება ლამაზი გრემი,
ცაში ქანაობს ბებერი ძერა —
ემა, უძალო სურვილი ჩემი:
მე გაგიხსენეთ, მე დაგაძახეთ,
მე ქარი მიხშობს მწყურვალე ბაგეს,
მე ვიმეორებ თქვენს ლამაზ სახელს,
რადაცას ვიძენ, რადაცას ვაგებ.
და დაღონებულ ფრესკებში ატანთ
სოფლელი ბიჭის ლამაზი თავით,
ღმერთო, ასეთი თუ იყავ, ვახტანგ,
ღმერთო, ასეთი თუ იყავ, დავით!

პარინკა წერეთელი


ეს იყო ნამდვილი,
არ არის არაკი:
ზემოიშვრეთში კვდებოდა აკაკი...
თოვდა და ინათლა.
თოვდა და ინათლა,
მგოსანმა სიკვდილს წინ „სულიკო“ ინატრა.
ზემოიშვრეთში განთქმული გიტარით
მომაკვდავს „სულიკოს“ მანგი მიუტანეთ.
და მიხვდა მგოსანი:
რაც იყო, სულ იყო,
ტიროდა აკაკი,
მღეროდა „სულიკო“.
ბუხარში იდგა წიფელას გუგუნე.
მომაკვდავს ესმოდა „სულიკოს“ ლულუნი.
მერე დაუჩოქეთ ცრემლებით მღულარემ.
და უკანასკნელი მადლობა უთხარით.
და მიხვდით ორივე:
რაც იყო, სულ იყო.
ტიროდა აკაკი.
მღეროდა „სულიკო“.

დიდი სევდა

ღმერთო, მტერს აშორე ამ ქალის ტრაგედია:
მისი დიდი სევდა გულში დამეტია.
ღმერთო, მტერს აშორე ამ ქალის ტრაგედია!

მას რომ დაემართა,
მე მიმიძმვს გაშხელაც —
მან შეიღი დატოვა... სიყვარულის სახელით.
იშოვა მეგობარი...
და მაინც მარტოა.
გაუჩნდა შეიღები —
ახსოვს — ის დატოვა.
ახლა გვიანაა,
გვიანაა უწყალოდ,
არავის ძალუძს რაიმე უწყალოდ.

ღმერთო! მტერს აშორე ამ ქალის ტრაგედია!
მისი დიდი სევდა გულში დამეტია!



მად გახარია... და თვითონ ვაჟა მახარაძე მაგალითის მიმცემია ყველასათვის.

...სამაქროში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ეჭვის თვლით უყურებდნენ ღიოთონის ჩამოსხმის ნაწილობრივ მექანიზაციას. მათი აზრით, ეს გამოიწვევდა სხმულის ხარისხის გაუარესებას. პარტიურის მდივნის თაოსნობით ვლადიმერ ვაწაძემ, ვახილ ცუცქერიძემ, გიორგი მუქნაიშვილმა, შექმნეს სპეციალური ციციხე, რომელშიც მათ საშუალება მისცა ღიოთონი უალიბებში ჩამოეხსათ ხიდური ამწის დახმარებით.

თვითონ ვაჟა ავტორია თერთმეტი რაციონალიზატორული წინადადებისა, რომლებიც ქარხანას წლიურად 39 ათასი მანეთის ეკონომიას აძლევს. მისმა ერთმა გამოგონებამ ელმავლის თითბრის საკისრის წონა 88-დან 49 კილოგრამამდე შეამცირა და ქარხანას წლიურად 24 ტონა თითბრის ეკონომია მისცა.

შუსტი სხმულების მექანიზმთა კომუნისტური შრომის ბრიგადას მერაბ კაჭხიძე უდგას სათავეში. დღე არ გავა, რომ აქ რამდენჯერმე არ გამოიაროს ვაჟამ.

სამუშაო დღე დამთავრდა. კომუნისტები პარტიურის ოთახში იყრიან თავს. კრების თავმჯდომარემ სიტყვა მისცა პარტიურის მდივანს. ვაჟა მერაბ კაჭხიძის განცხადებას კითხულობს პარტიაში მიღების თაობაზე.

— მე რეკომენდაცია მივეცი. — განაგრძობს ვა-

ჟა, — იმისათვის, რომ მერაბი კაჭხიძე შეხანიშნავი ახალგაზრდაა, უანგარო პატრიოტი, კარგი ადამიანი. მესამე წელია, რაც მის ბრიგადას კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელწოდება მიენიჭა. რადიოში გადმოსცეს მის წარმატებებზე, გაზეთებში დაწერეს, მაგრამ ჩვენ ხომ აქ ყველაფერს ჩვენივე თვლით ვხედავთ...

სიტყვა ღიდა ნიკოლაიშვილმა ითხოვა.
— მე მერაბის ბრიგადაში ვმუშაობ, და უნდა გითხრათ, ჩვენ ყველანი უსიტყვოდ ვუგებთ ერთიმეორებს. ჩვენი კოლექტივი — ერთი ოჯახია. ემატოს ჩვენს პარტიას ასეთი ადამიანები!

კრება ჩვეულებრივად დიდხანს გაგრძელდა. ეს კრება კი არა, სკოლა იყო, სადაც კომუნისტები მსჯელობდნენ თავიანთ ქარხანაზე, ქართულ ელმავალზე, ლაღად რომ მიმოქარის საბჭოეთის თვალუწვდენელ გზებზე.

აღმზრდელის როლში აქ თვითონ კოლექტივი გამოდის. სამაქროში თვალსაჩინო ადგილზე დგას სტენდი, რომელსაც აწერია: „კოლექტივი უნდა იცნობდეს თავის გმირებს“. აქ თქვენ ნახავთ მექანიზმის გიორგი მუქნაიშვილის, მწენებზე უმანგი გოგოლაძის, მექანიზმის გივი კვერნაძის, ოსტატ თამაზ მჭედლიძის, ჭულიეტა გორგაძის, აწვორ პაპიაშვილის, ნოდარ გილაურის და სხვათა სურათებს.

თხინი ყველას მაგალითს აძლევს და საქმით აჩვენებენ, რომ არ შეიძლება დაიგვიანო, სამუშაო გააცდინო, არ შეიძლება დაუშვა წუნი. ეს ჩრდილს

აყენებს მთელ კოლექტივს. როცა საყალიბო ნარევის დამამაზადებელმა ვლადიმერ კილახონიამ სამუშაოზე დაგვიანება დაიწყო, ეს ყველამ შენიშნა, რადგან ჩამოსხმული სამაქროს კოლექტივი უდიდესი პლინოებს შეჩვეული არ არის; პირველი დაგვიანებისათვის მისთვის შენიშვნა არ მიუციათ. ეგებ შეემთხვა რაიმე კაცს, ყელში ხომ არ უნდა სწვდე! ამის შემდეგ კილახონიამ კვლავ ზედღიად დაიგვიანა.

— ვლადიმერ, რად არცხვენ ამხანაგებს? — უთხრა მას ვაჟამ, — თუ რამე გაწუხებს, ხელს გიშლის, უნდა თქვა და მაშინ ჩვენ თვითონ დაგებმარებით.

ამ საუბრიდან სულ ერთმა კვირამ გაიარა; კილახონიამ უფრო შორს შეტოვა — ორ დღეს არ გამოცხადებულა სამუშაოზე. შეამოწმეს ეს და დარწმუნდნენ, რომ ახლაც არაფერი საპატიო მიზეზი არ ჰქონდა. მეტი გზა არ იყო — ვლადიმერი ამხანაგური სასამართლოს წინაშე წარსდგა.

და აი, დღეს ვლადიმერ კილახონიაზე კარგის მეტს ვერაფერს იტყვი, ღირსეულად უდგას მხარში ამხანაგებს.

ესეც კარგი გაკეთილი იყო, აქ მასწავლებლის როლში მთელი კოლექტივი გამოვიდა.

ასე მიდიან დღეები, მიდიან დაუღალავ ძიებაში, ფიქრში; ერთ მშვიდრო ოჯახად შეტრული ადამიანები ძაღლიონს არ ზოგავენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ დიად თარიღს — ოქტომბრის 50 წლისთავს.

დათოვლილი მთები. თქვანადიანი ნაძვები. თოვლში მიმოფანტული სახ-
ლები და მცხუნვარე მზე.

ალბათ მიხვდით, ეს ბაკურიანი!

წელს აქ ვისვენებთ; საღამოობით ჩვენი შვილები სადმე ერთად მოიყრიან
თავს, მაგნიტოფონს ჩართავენ, ცეკვავენ, მუსიკობენ, ან შუალამდე შეგ
ყავან შექცევინან, შემდეგ კი მინც მკვდრებით სძინავთ. ჩვენ, მამები კი,
ცალკე შეფიცვებით, მეოთხედ კაბიჯან პრეფერანსს ვთამაშობთ, შემორჩე-
ნულ ღვინოს ვწყრუაბთ და ძველ ამბებს ვისხენებთ.

ჩვენს მეგობარს, გვიხს ღღეს ქუჩაში ვილაყ ლამაზი ქალი შეხვდა, დიდი
ამბით მიესალმნენ ერთმანეთს, კარგა ხანს ისაუბრეს. როცა დაემშვიდობა და
ჩვენთან მოვიდა, ქალის ვინაობა ვკითხეთ და თანაც ქაჩაგმულად გადგუჯა-
რით—ძველი ცოდვები ვუხსენეთ. კინალამ გაღაიჩა კაცი, გვითხრა—საღამო-
თი მაგ ქალის ამბავს ვიამბობთ და თქვენ თვითონვე მოიხდით ბოდიშს ამ უტო-
ღარი სიტყვებისათვის.

ძალზე საინტერესო კაცია გვი, გულლია და ალალი, ნამდვილი „ჩემი თავი
შენ გენაცვალოს“. რამდენჯერ გაუწყვია ჩვენთვის მტკიცე, ძმური ხელი და
გასაჭირში არასოდეს უკან არ დაუხევია. ასეთი იყო, ასეთია ახლაც.

ოდესღაც, ჰაბუკობისას ავტობანქანის სიყვარულმა უმაღლესის ნაცვლად
ის საქმსთან დასვა. მხოლოდ ომის შემდეგ დაგვეწია, დაგვეწია და გავვისწ-
რო კიდევ.


საღამოთი, ერთმანეთს რომ შევხვდით, დანაბრების შესრულება მოვიტო-
ხოვეთ.

— ეს ამბავი დღევანდელ დღესავით მასობას, — ნება-ნება იწყებს გვი, —
გახსენება გულს მიკაწრავს, ისეთი დამწვარი სიყვარულის მოწმე ვახვდი.

ორმოცდართი წლის გაზაფხული იყო, ლამაზი და უდრუბლო. ყოველ შემთხ-
ვევაში, ასე გვეგონა ყველას. მე ერთ „დიდ კაცს“ ვატარებდი. ახლა საწყობის
გამგედ მუშაობს სალდა. ერთ საღამოს, შინ რომ მივიყვანე, ქუჩაში გავლა გა-
დავწყვედეთ. ის იყო ჩოღრმევილის შესახვევთან უნდა ჩამეხვია, რომ წინ მიტო
შემომეყარა.

— აბა, მიტო? — აღარ აცლის გოვი.

— კაცო, ყველაფერს ერთბაშად ხომ ვერ ვიტყვი—მიტო ავალიშვილი, თქვენ
რომ უმაღლესში შედიოდით, ის უკვე სანაპიროს აშენებდა. კარგი ვაქაცო იყო
და გიმნასტი. ჩვენ ერთ უბანში, ვერაზე ვცხოვრობდით, მიტოს უმცროსი ძმა
და მე ვმეგობრობდით, მიტო ჩვენზე უფროსი იყო და ჩვენთვის ყველაფერში



ერთი სიყვარულის კვანძი

მოთხრობა

ახალი ღალიანი

სამავალითო—დიდად გვიყვარდა. შემდეგ, როცა დავიზარდენით, სამი-ოთხი
წლის სხვაობა თითქოს აღარც იგრძნობოდა, დავმეგობრდით, საძმო ბურჯი არა
ერთხელ გავტეხეთ.

დავინახე მიტო და შეგერთი, საფლავიდან ამოდებულს ჰგავს. ნაშინშილუგს.
ვეება ვეკაცო ოთხად მოკეცილა.

— მიტოს გაუმარჯოს! — ვითომ ვერ ვამჩნევ მის ავ გუნებას.

— გვიხს გაუმარჯოს! — ბიჭი ხარ და ნუ შეამჩნევ, კაცი ლამის ატირდეს.

— ცუდი ხომ არაფერი?

— ამაზე ცუდი რაღა უნდა შემემთხვეს, ჩემო გვი! ამ წუთს სადგურთან
მოვდივარ, სულ წავიდა, ფანჯრიდანაც კი არ გადმოიხედა, ხელიც არ დამიქ-
ნა.

— მოიცა, თუ ძმა ხარ, ნუ ტირი, — მკვანედ, ვეუბნები და უკვე ვიცი რა
ჭირიც სჭირს ჩემს მიტოს.

— მიშველე რამე! — მეუბნება, თითქოს წარსულის დაბრუნება მე შემეძლოს.

— კარგი, ნუ წახვდი. ეგ ვის არ მოსვლია. წამო, ვალოკოსთან შევიდეთ.

— არა, შენი არ იყოს, ვერც ის გაიგებს ჩემს სადარდელს.

შემეცოდა. ვხედავ, ღმერთივით ბიჭი იჩაგრება, ალაღად, შეყვარებული. რა
გზას დავადგე? არც თითო ტიქა ძსურვა, არც გავლა; ვდგავართ ასე შესახვევში
და, ამ უიღბლო სიყვარულს ყველა წყრილობას უნებურად ვისხენებ.

წინა წლის შემოდგომაზე დაიწყო ამ უბედური სიყვარულის ისტორია.

მიტოს ინსტრუქტორს მეგობარი ვასილ გულშაიკოვი უძმისოდ ლუკმას არ
აიღებდა ხელში; სტუმარი რომ ეწვეოდა, მაშინვე მიტოსთან აფრენდა კაცს.
პოდა, სწორედ იმ წელს ვასილს მოსკოვიდან ნათესავები ესტუმრნენ—ბიძა,
ბიძოლა, ბიძაშვილი ქალი და მისი მეგობარი ლენა. ეს ის ქალია, წელან ქუ-
ჩაში რომ დაინახეთ.

თურმე ატყდა ლენა, მეც წამოვალ, საქართველო უნდა ვნახოთ. ვასილს ნა-
თესავებს ეს შორს დაუჭერიათ—ჩვენ თვითონ სტუმრები ვართ და სტუმრის
სტუმარი ამ სიშორეზე როგორ წავიყვანათო. მაგრამ ლენამ თაფისი გაფტანა
და წამოვიდა.

ვასილი და მამამისი სტუმრებს სადგურში დაუხვდნენ. იყო ერთი ხვეწა-
კაცია; ბოლოს, როგორც იქნა, ეს ხალხი ფარდისუბნის ქუჩას მიადგა.

სულ მალე სუფრაც გაიშალა და ღვინო დაიწყო.

ლენას ყველაფერი ხიზლავს და აოცებს, ყველაზე მეტად კი მიტო. ეშხში
შესული ჰაბუკი მშენივრად მდერის, „ზამთარი“ და „ჩაგრულო“, ისე და-
გუგუნა, რომ გამწვლები წყნეთის ქუჩაზე ჩერდებოდნენ და ყურს უდგებდ-
ნენ. მიტო ისეთი მოლტენილი არასოდეს მინახა. კარგი მოცეკვავე იყო და
ვინ მოსთვლის რამდენჯერ გამოითხოვა ქალიშვილი საცეკვაოდ.

ქალ-ვაჟს ეს ურთიერთ გატაცება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ნათესავებ-
ში მეორე დღესვე დაიწყო ჩურჩული, ვინ რას ამბობდა და ვინ რას. ვასილის
ბიძამ კი თავისი სიხარული ვეღარ დამალა და წამოიძახა:

— გესმით რა ამბავი ხდება? მიტო მართლაც კარგი ბიჭია, ჩემს ტანის
სიამოვნებით მივათხოვებდი, მხოლოდ, ერთი პირობით: არც მზითვეს მიცემ-
დი და რაც ყალბს გამოუჯარმევედი, ა? ხომ კარგად ვამბობ—თავად მოსწონს
თავისი ხუმრობა და ბოლოს ასკენის:—რას იზამ ბუნების კანონი ასეთია, კარ-
გი კარგს ეძებს.

მიტო სულ აქ დაბინავდა, ყოველდღე მოდის ვასილს სახლში.

ლენა თითქოსდა მიტოს აღსარებას ელოდებდა; არც ერიდება, სულ მის
გვერდშია. მათი მოსწრებული სიტყვა, ქარაგმა, თუ ვითომ წაქინკლავდა ყვე-
ლას ამხიარულებს.

გივი მკარე ხანს ფიქრობს და შემდეგ ამბობს: — არა, ძმაო, ასეთი კარგი
ქალი იშვიათად მინახავს.

— მერე, მერე! — შედგებით აქეთ-იქიდან.

— პო! მიტო უკვე დაიმედებულია და ერთ საღამოს საზაფხულო კინოთე-
ატრში დრო იხელთა და ქალიშვილს თავისი გული გადაუშალა.

ლენას არაფერი გააკვირვებია, პირობით, თავის მხრივ ეს დაუშტა:

— იცი, თბილისში რომ ჩამოვედო, მატარებლის ფანჯრიდან პირველად შენ
დავინახე. ვინაურე—ჩეტაც ესეც ჩვენი დამხვდური იქნებოდეს—მეთქი. აკი ამის-
რულდა. მერე სადილზეც სულ გაკვირდებოდი, შენ ყოველმხრივ კარგი ყმაწვი-
ლი ხარ, მაგრამ...

მიტო შეცბუნებული აშშეუნება.

— მაქვამ მე სულ სხვა რამეს მოველოდი, რაღაც ისეთს, უჩვეულოს, რო-
მანტიკოს. მინდა რაღაც განსხვავებული, მოულოდნელი... მოიცა, ფილმი
უკვე იწყება,—და ლენა ჩაჩუმდა, ეკრანისაკენ დაიწყო ცქერა.

მიხვდა თუ ვერა მიტო რის თქმა უნდოდა ქალიშვილს. არ ვიცი. ეს კი იყო

ამის შემდეგ, ყოველ დღით გახსოვთ, იყო ასეთი მეყვავილე, მტკსახვლად ვა-
ცუცა, აი იმის ხელთ ათასნაირი ყვავილების თაიფულს უზგავნის, ვერც ფუ-
ჩეჩას დანამული ხილი მოაქვს, თეატრში თუ ფეხბურთზე საუკეთესო ადგილები
ლენასია. ქალიშვილი კი ყველაფერს ისე იღებს, როგორც ჩვეულებრივს.

ჩვენ მოლოდინში ვართ, გვგონია საცა მოსახლენი უნდა მოხდეს.
ის იყო რთველიც დაიწყო, მიტოს ერთი ახლო მეგობარი ჰყავდა გიორგი-
წმინდაში. ბევრი აღარ უფიქრია — ვასილი და მისი სტუმრები ვენახში წაიყ-
ვანა. არც ერთ ჩამოსულს ზვარი ახლოს არ ენახა, რთველი, მით უმეტეს. გო-
ცებულნი იყვნენ, ლენაზე რაღა ვითხრათ, ქალიშვილი თითქოს დამუნდა, რა-
ღაცას ქლურტულებს, მუხლებზე ეშვება, ვეება მტევანს ნახად და ფრთხილად
ხელში იღებს, ლოყაზე იხუტებს, ბავშვივით ეფერება, ჰკოცნის და სიხარულს
ცრემლები გადმოჰდის ღრუბლებზე.

განმარტობულ ლენას რომ დაინახავს, მიტო მისკენ მიეშურება. გაოგნე-
ბული უყურებს ქალს და გულში სიხარული უყვირს.

— რა კარგი ყოფილხარ, მიტო, აქ რომ წამოგვიყვანე, ღმერთო ჩემო! ეს
რა ენახე, რა მომეცი ცხვირსახოცი!

ლენა სულ ახლოს მიდის მიტოსთან, თმებს ისწორებს და გარინდებულ ჰე-
ბულს ეტმასნება, ვრუხა თმებში თათებს ჩაუშვებს, ოდნავ თავისკენ იზიდავს
და ყურის ძირში ჰკოცნის. მიტო აპირებს მოეხვიოს, მაგრამ ქალიშვილი ხელი-
დან უსწლტება.

ღრო გადის. მიტო მთელი თვის უძინარს ჰგავს, ისე ფერგამკრთალი და
თვალეზაფითულად დადის.

აბა, რა დასამალია, მიტო ჩვენს წრეში ყველაზე კარგი ბიჭი იყო, ბუნებით
თავმდაბალი, ჩუმი და ხმაამოუღებელი. მაგრამ თავის ირგვლივ იმდენ სიყვარ-
ულსა სთესავდა, ათი კაცი ვერ შეიძლებდა. მე მეშინოდა ვაი თუ ლენა ამას
ვერ ამჩნევს-მეთქი; ერთხელ შემთხვევით პირისპირ შევჩრით ერთმანეთს.

— ლენა, რას იტყვი მიტოზე, როგორი ბიჭია?

— ყველას გვობიათ, თავის მეგობრებს აქ, ჩემს მეგობრებს — იქ, მოსკოვში.
მე ეჭვით შევხედე.

— არა, გივი! ეს იმიტომ კი არ ვითხარი, რომ მე მას მოვწონვარ. მე ბრმა
არა ვარ. ის ძალიან კარგია და სწორედ იმიტომ, რომ თავისი სიკეთე, არ ვიცი
როგორ ვთქვა, იარლიყივით არა აქვს შებლზე აწებებული.

მე დასტური დავეცი.

მიიწურა შემოდგომა, მიიწურა მიტოს იმედიც — სტუმრებმა შინ წასვლა
გადაწყვიტეს.

გავაცვილეთ. სადგურზე აღარ ვიცი თუ ვითხრათ ერთი-მეორეს, ყველა კით-
ხვის ნიშანია ჰგავს.

ამის შემდეგ მიტო, წინანდელთან შედარებით, თითქოს ოდნავ გულჩახუ-
რული გახდა. ლენაზე სიტყვას ვერ დააცდენინებ. ისე კი დადის, მუშაობს, ერ-
თობა; როცა შეზარხოშდება, გიორგიწმინდის ვენახებს გაიხსენებს. მათი გამშე-
ნებლის სადღევრძელოს დაღვეს და მარჯვენას ულოცავს.

წელიწადი გავიდა, მათსის ბოლოა. საღამო ხანია და პლუხანოვის პროსპექტ-
ზე ვდგავარ, ჩოდრიშვილის შესახვევთან; ამ ამბის დასაწყისშივე ეს უკვე გით-
ხარით. იმ დღეებში ლენა ხელახლა ჩამოვიდა თბილისში, მიტოს შეხვდა და
ჰაბუკეა ცააცილო.

— მამ თბილისში იყო? — ვეკითხები მიტოს.

— ჰო, საავარაკოდ კისლოვოდსკიში მიდის, ხუთიოდ დღით ბიძა მოინახული.
ეს-ეს არის გაეცილე, — ისმის მიტოს ყრუ ხმა.

— მერე?

— მერე, რა მერე! ცუდ გუნებაზე იყო, ფანჯრიდან არ გადმოუხედავს, ხე-
ლი...

— მიტო! — ჩურჩულით ვეუბნები, — შენ გგონია, მართლა ბიძის სანახავად
ჩამოვიდა? შენ მას უყვარხარ!

— სისულელეს ლაბარაკობ! — კბილებში ცრის მიტო.
ედგავართ და ერთმანეთს ვუყურებთ.

მიტო ხავეს ეკიდება:

— ეგ ვითომ საიდან დასკვენ?

— მიგხვლი.

— ჩუმად იყავ, ერთი ესეც გამომჩინდა მიმხვედრი!

ჩუმად ვარ, მაგრამ გუმანი მეუბნება, რომ ქალიშვილს უყვარს ეს ნირწამხ-
დარი კაცი. მაგრამ როგორ დავუმტყვიო?

— მიტო! — ჩაქაჩი მეგობარს, მინდა ვცადო ჩემი საცდელი.

— დაიცა, დაიცა, — ამბობს იგი და რაღაცას სწონის, ფიქრობს, აქ დგას,
მაგრამ გონებით სხვაგან არის.

უცებ რაღაც გადაწყვიტა და შემომხედა. როგორც იქნა ველორს: ჩემს წინ
ძველი მიტო დგას, სულ ძველი, მტკიცე, მშვიდი და მხნე. ორივე ხელს მხრებ-
ზე მხვევს და მეუბნება:

— თუ ვაქაცი ხარ, ახლა მიმეღე!

— ჩემი თავი შენ გენაცვალოს! ოღონდ რითი?

— ხვალ დილით ორჯონიძის მივიღე. გაიგე?

— ჰო, გავიგე, მაგრამ?

— ცდა ბედის მონახევრეა, გივი! — ღიმილით ამბობს, — თუ დავიღუპე, შენ
დამოღუპე, თუ ამამენებ, სამუდამოდ შენი მადლობელი ვიქნები.
დილით უფროსი სამსახურში მივიყვანე და ერთი დღით მანქანა ვთხოვე,
ერთი საათის შემდეგ მე და მიტო ღუშეთის სანახებში მივიქროთ.

ბესლანში ჩავედი. მატარებლის მოსვლამდე წუთები დარჩა და ეს წუთე-

ბი ისე მიზღვანება, როგორც კარგად დადებული კამეჩის ურემი. მე ვერ კი-
დევი არ ვიცი, რა აქვს მიტოს განზრახული, ოთხჯერ მაინც ვკითხე გზაში:

— გივი, შენი ქორი... იჩქარე! — იყო მისი პასუხი ყოველთვის!

მატარებელი ჩამოვდა. მე მიტოს ავედევნე და ვაგონის კარებთან მოვატ-
რიალე.

— მიტო!

— რა იყო, გივი!

— რას ამირებ, ხომ არ...

— რაც გაიფიქრე, იმას ვაპირებ! — ილიმება იგი და ვაგონში შედის. მეც
ფეხდაფეხ მივდევი.

კლუბსთან მიტო ჩერდება, ცხვირსახოცი სახეს იშვრალებს და კარს
ღინჯად აღებს. მის ზურგსუკან მდგომი, მე ლენას ვუყურებ. ქალიშვილი
წიგნს კითხულობს. დაღონებული ჩანს. კარის ხმაურზე წამით ზე აიხედა, და
ისევ უცებ დაუშვა თვალბი, ხელიც კი აიქნია, თითქოს ზმანებას იშორებდა,
შეატყვე; ციციხლი წაეკიდა სახეზე, შემდეგ ქარვისფერი დედო და კედელს
მიეყარნო.

ახლა კი თითქოს მეც თხელი ბურუსი ამებლანდა თვალბზე. კუბე სად-
ღაც შორს დავინახე. მიტო და ლენა სულ ბაწაწინები ჩანან და ისე მოძრაო-
ბენ. როგორც შენელებულად გადაღებული კინოკადრები. ჰაბუკე ქალიშვილს
მხრებზე მოეხვია. ლენამ მის მძლავრ მკერდში თავი ჩარგო და ბეჭები აუთ-
რთოლდა. მიტომ ნელა წამოაყენა და ტაატით კარებისკენ წამოიყვანა —
აღარ გათავდა ეს გზა, თითქოს საათი მოანდომეს.

მარტო დავრჩი კუბეში და ვერას ვხვით გარეთ ვერ გამოვედი — კარში
გავეჩხირე. კარის ფართოდ გაღება მოვიინდომე და სახელურს ორივე ხელით
ჩავეფრინდი... სულ მაღლ წინ წასულებს დავეწვი.

მანქანაში ვსხდებით და ორჯონიძისკენ მივდივართ. მიტო ვერ ჩუმად
ზის. შემდეგ ლენას შეხედავს, როგორც უცნობს, ისე ათვლიერებს, მიამი-
ტად უღმის, და ლენას კალთაში თავს უღებს. მიტო ხანს ასე სხედან.

სასტუმროსთან ვჩერდებით. მე შეჩვეული ძალივით აქ ყველა მიცნობს.
ოთახს ვჭირაობ. ორივეს ვლოცავ, ვკოცნი და თბილისისკენ მივეშურები.

ჩამოსვლისთანავე მიტოს დედ-მამას ყველაფერი იცუამბე. რაჯი ვერე მოიქ-
ცა. ალბათ ასე უჯობსო, მითხრეს.

კვირის თავზე ჩემი უფროსი მოსკოვში უნდა წასულიყო. როგორც წესი,
ბესლანამდე მატარებლით მისი თანაშემწე წავიდა ბარგთან ერთად. ჩვენ კი
ორჯონიძისკენ მანქანით წავედით.

სასტუმროში ჩემიანები მოვიკითხე, ვნახე. იმათზე ბედნიერი არავინ
შემხვედრია, ამ ქვეყნისა არაფერი გაეგებოდათ: არ იცოდნენ რა დღე იყო,
რამდენი ხანი იყვნენ ერთად, ორივეს საათები მოუმართავი ჰქონდათ. ლენამ
ახლა-ღა მითხრა თუ რატომ არ გადმოიხედა მატარებლის ფანჯრიდან თბილი-
სის სადგურზე — ტირიდა თურმე და შერცხვა. ისიც მითხრა, რომ მხოლოდ
მიტოსთვის ჩამოსულიყო, რადგან უმისოდ ყოფნა აღარ შეეძლო. არავითარ
კისლოვოდსკი. მოსკოვში ჩავიდოდი და მიტოს ან დეპეშით გამოვიძახებ-
დი, ან სხვა რაიმეს მოვიფიქრებდი.

ცოტალი დღი უფლი და ტკბილი სიტყვა დავუტოვე და უკან დავბრუნდი.
ერთ კვირაში ომი დაიწყო და ფრონტზე წავედი.

მიტო და ლენა მოსკოვში ჩავიდნენ თუ არა, მიტო ქორწილიდან პირდა-
პირ ფრონტზე მოხვდა.

მტერსა და დუშმანს ისეთი მოკლე დღე — თვე არ იყო გასული, მიტო
დაიღუპა.

ლენამ მოსკოვის ჰოსპიტალში დაიწყო მუშაობა ქირურგად. შემდეგ შუა
აზიაში გადაიყვანეს. ვაჟიშვილი შეეძინა — მიტოს სახელი დაარქვა.

ომი რომ დამთავრდა, მიტოს დედ-მამას წამოჩიტული ბიჭით ზედ მოა-
და. იცოცხლე, იმათ გაიხარეს და იტირეს. მას შემდეგ აქ, საქართველოში
ცხოვრობს. ახლა უკვე ორი ბიჭის ბებიაა. ლენამ ერთ შვილიშვილს ისევე
მიტო დაარქვა, მეორეს — ჩემი სახელი.

აი, ძმაო, ქალი, აი სიყვარული და ერთგულება!

ბევრმა სცადა მის გულში ადგილი ეპოვა, მაგრამ ამოდ. ერთხელ ვუთხა-
რი — გეყოფა გლოვა, ნუთუ შესაფერი ვერავინ ნახე-მეთქი; ბოლოს და ბო-
ლოს, ქალია ძმაო, ცოცხალი ადამიანია, კაცი!

ლენამ გაიღიმა და მითხრა: — მიტოს საგლოვი რა სჭირს, ნახე რა სამი
მგელივით ვაქაცი დადის ამ მიწაზე მისი სახელით.

გათხოვდი-მეთქი რომ გავუმეორე, თვალბი ცრემლით ავესო და უსიტ-
ყვო საყვედურით შემომხედა.





გალამღებ სამქროში.

ფოტო მ. თურმინსი

ეს იყო ომის წინა წლებში. გადაწყდა გამოცდათ ფერადი ილუსტრაციებით უხვად დასურათებული, ფართო ფორმატის ოთხტომიანი წიგნი — „საქართველოს ხილი“.

წიგნი გათვალისწინებული იყო როგორც ჩვენი, ისე უცხოელი მკითხველისათვის. გამოცემა უნაკლო და სანიმუშო უნდა ყოფილიყო. მაგრამ თბილისში, იმ ხანებში, ჯერ კიდევ არ არსებობდა ფერადი ბეჭდვის სტამბა. მაშინ ჩვენ არც გამოცდილი სპეციალისტები გვეყავდნენ და არც სათანადო ტექნიკური ბაზა გვქონდა.

ჯერ გადაწყვიტეს ლაიფციგში დაბეჭდვით ეს წიგნი. შემდეგ გამოირკვა, რომ ეს ძალიან ძვირი დაჯდებოდა. „საქართველოს ხილის“ დასტამბავერც მოსკოვში მოხერხდა. ესეც ძალიან დიდ თანხებს ითხოვდა. ერთადერთი გამოსავალი ისდა რჩებოდა, რომ წიგნის ოთხივე ტომი როგორმე თბილისში გამოგვეცა.

სახელგამის ცინკოგრაფია, სადაც გაბო გოგინაშვილი იმუშავებდა, სადაც გაბო გოგინაშვილი იმუშავებდა, უკვე კარგა ხანი იყო, რაც ფერადი ილუსტრაციების ბეჭდვის დაწყებას აპირებდა: და აი, „საქართველოს ხილის“ დაბეჭდვა თბილისის მეორე ცინკოგრაფიას დაავალეს.

სამქროებში უჩვეულო მუშაობა გაჩაღდა. პოლიგრაფისტები გატაცებით შეეჭიდნენ საქმეს. ამ ბეჭითობამ და საქმისადმი სიყვარულმა თავისი გაიტანა. „საქართველოს ხილის“ პირველი ტომი სანიმუშო გამოვიდა. ყველა გახარებული იყო. ამ წიგნის ავტორი პროფ. ხომიურაშვილი ალტაცებას ვერ მალავდა. წიგნის რედაქტორმა ნიკო კეცხო-

ველმა დიდხანს ატრიალა ხელში ახლად აკინძული წიგნი. მკაცრმა რედაქტორმა, ჩვეული სიძინჯით რამდენჯერმე გულდასმით გადაფურცლა წიგნის თვითული გვერდი, ყურადღებით გადაათვალიერა თვითული ფერადი ფოტოილუსტრაცია და ბოლოს ალტაცებით შექაბა:

— ბარაქალა თქვენს შეძლებას, ჯელებო! უცხოეთში რა ჯანდაბა გვინდოდა, რომ გავრბოდით! ჩვენი ლაიფციგე თურმე თბილისში, პლენანოვის პროსპექტზე ყოფილა..

ეს იყო პირველი გამარჯვება, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. თბილისის ფერადი ბეჭდვის სტამბა ქართული პოლიგრაფიის სიამაყე გახდა. ამ სტამბაში წლების მანძილზე უამრავი ილუსტრაცია, ფოტოალბომი, პლაკატი, დიპლომი თუ წიგნი დაიბეჭდა. სტამბის დირექტორის გაბო გოგინაშვილის კაბინეტში გამოფენილი სიგელები, დიპლომები, მძლეობი ნათლად მტყუვებდნენ რამდენი დიდი, ძნელი და საშაყო გამარჯვებები მოიპოვეს წლების მანძილზე ჩვენმა სახელოვანმა პოლიგრაფისტებმა.

* * *

გაბო გოგინაშვილი უკვე ორმოცდათექვსმეტ წელს მითანებული კაცია. მთელი თავისი ცხოვრება, ნიჭი და ენერჯია, მან სტამბას შეაღია. ყოველ პროფესიას, ყოველ კარგ საქმეს ჰყავს თავისი უბადლო ოსტატები, თავისი რომანტიკოსები, შემოქმედნი, რომელნიც თავიანთ დარგში ახალ ბილიებს ჰკაფავენ. მათი წარმატების ფუძე — თავიანთი საქმისადმი სიყვარულია.

გაბო გოგინაშვილი მთელი არსებით არის შე-

სისხლხორცებული სტამბასთან; აქ მისთვის ყველაფერი ახლობელი და ძვირფასია, იგი უშუალო მომხმრე და მოწაწილია სტამბის ყოველი გამარჯვების, ყოველი სიხარულის და ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯისა. და მან კარგად იცის, რომ აქ არის დიდი ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა.

დგას თბილისის ფერადი ბეჭდვის სტამბის დეპლუმოსილი დირექტორი გაბო გოგინაშვილი ახლად მიღებულ უნივერსალურ საბეჭდ მანქანასთან, ფიქრში წასული გასცქერის სამქროში მოფუფუსესე მის მიერ აღზრდილ ახალგაზრდა პოლიგრაფისტებს და იმ დროს იხსენებს, როცა სტამბაში უბრალო ფაცეციც არ ჰქონდათ და კლიშეს შეშის საკრეული ხერხით კრიდნენ ხოლმე.

აქ, ამ სტამბაში, გაბოსთან ერთად მისი სამი ძმა — ნიკო, გაიოზი და ნოცე მუშაობენ; გაბო გოგინაშვილის ვაჟიშვილი ჯუმბერიც პოლიგრაფისტი იხი კი არა და რძალი — ნინოც პოლიგრაფისტი შეხვდა გაბოს, ხუთ გოგინაშვილთან ერთად ნინოც ახლა გატაცებით ემსახურება ბეჭდვის საქმეს.

გუგუნებენ საბეჭდი მანქანები, შრიალით გადმოდიან დაბეჭდილი ფურცლები და ეს შრიალი ფოთლების საგაფხულო შრიალსა ჰგავს.

საბათიო და სასახლოა პოლიგრაფისტის შრომა — უიმისოდ მწერლის სიტყვა მკითხველამდე ვერ მიაღწევს, მხატვრის სურათი — მის ატელიეშივე დარჩება, უიმისოდ კულტურის შექვი ვერ იბრწყინებს; აი, ამიტომ უყვართ ჩვენს პოლიგრაფისტებს თავიანთი პროფესია. ეს სამშობლოსადმი და ქართული კულტურისადმი სიყვარულია.

შ. ლაბაძე

მარცხნიდან მარჯვნივ — ძმები: ნოე, გაიოზი, გაბო და ნიკო გოგინაშვილები.



საქართველოს ხილი

ეს ქაბუკი დიდმა პოეტმა უცხოეთში გაიცნო. პარიზში სტუმრად ჩასულ აკაკი წერეთელს იქ მყოფმა ქართველებმა საღამო გაუმართეს. იმ საღამოს მგონის წინაშე თავისი მუსიკალური ნაწარმოებებით წარსდგა ახალგაზრდა კომპოზიტორი რევიაზ გოგინაშვილი. პოეტმა მიულოცა მას დიდ სარბიელზე ფეხის დაღვმა და წარმატებები უსურვა.

გავიდა წლები. პარიზში სასწავლებლად წასული რევიაზ გოგინაშვილი საქართველოში დაბრუნდა. ჩამოსვლისთანავე შეუღდა მუშაობას და შექმნა რამდენიმე საინტერესო სა-

ფორტეპიანო ნაწარმოები. ამ ქმნილებებით მან თავი გააცნო ქართულ საზოგადოებრიობას და ნიჭიერი შემოქმედის სახელი დაიმკვიდრა. მისი კონცერტები იმართებოდა ქართულ კლუბში, ამ კონცერტებში მონაწილეობდა დიდი ქართველი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი.

სწორედ იმ ხანებში ახალგაზრდა კომპოზიტორი გაიცნო ქართული ეროვნული კულტურის დიდმა მოამბემ, რეჟისორმა ალექსანდრე წუწუნავამ. მან წინადადება მისცა გოგინაშვილს დაეწერა ორიგინალური ქართული ოპერა ეგნატე ნინოშვი-

ლის „ქრისტინეს“ მოტივებზე. გოგინაშვილი შეუღდა მუშაობას, დაწერა ოპერა და აი, 1918 წლის 21 მაისს თბილისში აფიშებიც გააყრეს. ამ საოპერო დადგმას თუმცა ბევრი ნაქო ჰქონდა, მაგრამ ეს დღე ჩვენი მსმენელებისათვის დღესასწაულად გადაიქცა. ამის შემდეგ „ქრისტინე“ ზედიზედ დაიდგა ოპერის სცენაზე. შემდეგ იგი აჩვენეს გარეუბნებში — დილუბეში, ნაძალადეგში, ისანში, საბურთალოზე; ოპერას ყველგან წარმატება ხვდა წილად.

ახალგაზრდა კომპოზიტორს პირველმა გამარჯვებამ ფრთები შეასხა. კიდევ უფრო აღაფრთოვანა ახალი მუსიკალური ნაწარმოებების შესაქმნელად. ის დაუღალავად მუშაობდა, ქმნიდა ნაწარმოებებს ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. წერდა მუ-


სიკას სპექტაკლებსათვის. რაიოხული თეატრების სცენებზე მას 200-ზე მეტი სპექტაკლი აქვს მუსიკალურად გაფორმებული.

რევიაზ გოგინაშვილს საქართველოს მრავალ სოფელსა და ქალაქში უმოღვაწეა, ჭიათურის თეატრში მან კვალიფიციურა მუსიკოსებისაგან ორკესტრი შეადგინა. ამ ორკესტრს იგი კარგა ხანს ხელმძღვანელობდა.

მსოფლიო კომპოზიტორი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მუშაობდა ახალ ოპერაზე „გიორგი საყაბე“. რევიაზ გოგინაშვილი გარდაიცვალა მიმდინარე წლის 19 მარტს. ჩვენი ხალხი მუდამ სიყვარულით გაიხსენებს ამ დაუცხრომელი ხელოვანის სახელს.

ალა გაჩაჩილაძე

ჩვეულებრივი ზოგადი



უცხოური კონცა

მინიატურა

„ვახტანგი ჭერ არ მომელის“, — გაიფიქრა ნუნუმ, როცა მოსკოვის მატარებელი უკვე თბილისის სადგურს მოადგა. „ნეტავ როგორ არიან ბავშვები!“ — უცებ გაახსენდა, წასვლის წინ რომ უთხრა დედამ: „ბავშვების ფიქრი ნუ გეჭენება, შვილო. შენზე უკეთ მოვეუვლიო“.

ბინის კარი გამოკეტილი დახვდა; გასაღები მეზობელთან ინახებოდა, გამოართვა. მეზობელმა უთხრა — თქვენები ერთ კვირაზე მეტია კიკეთში არიანო, მერე დაწვრილებით გამოაკითხა პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიაში მოგზაურობის ამბები.

თბილისის ქუჩებს სიცხისაგან ბუდი ასლიოდა. ნუნუმ გადაწყვიტა ამავე საღამოს ასულიყო კიკეთში.

მეცხრე ნომერმა ტროლეიბუსმა უქანასკნელი წრე გააკეთა და ვაკის სასაფლაოსთან შეჩერდა. ნუნუ ჩამოხტა და იქვე შეჩვეულად ხალხს მიუახლოვდა, ისინი კიკეთისაკენ მიმავალ ავტობუსს უცდიდნენ.

ბნელოდა, სასაფლაოს შიშკართან ჩამოკიდებული ნათურა უცნაურად ციმციმებდა — ნიავის ქროლვაზე ხან დახუჭავდა და ხან გაახელდა თვალებს — თითქოს ვიღაცა ეთამაშებოდა.

ბნელში ჩაძირულ სასაფლაოდან რომელიღაც ფრინველის სევდიანი სტვენა ისმოდა.

ნუნუ ფიქრით უკვე კიკეთში იყო. ბავშვებს ალბათ უკვე სძინავთ, ვახტანგი კი ალბათ მეზობლებში იქნება, რეზო და ვიქტორი გვერდით ჰყავს, ალბათ, ისევ სეამენ... რა უბედურებაა, ავარაკზე კი არა, უდაბურ კუნძულზე რომ მოხვდნენ, იქაც მოახერხებენ და სუფრას გაშლიან.

ფიქრში უცებ ქალის მინახებული ხმა ჩაესმა:

— ვახტანგ, იქნებ ტაქსი გეშოვნა... აღარ შემიძლია.

— დაილაღე, გენაცვალე! — ეს საოცრად ნაცნობი და საყვარელი ხმა იყო.

ნუნუს სუნთქვა შეეკრა, ერთ წუთს თითქოს გულისცემაც შეუჩერდა. მერე კი ისეთი ბაგაბუგი ასტება გულმა, შეეშინდა, გვერდში მდგომებიც გააგონებინა.

იღმა გაცივებული, გარინდებული და ეშინოდა იქით გახედვისა, საიდანაც ეს ლაპარაკი მოესმა. ავტობუსის გაჩერებასთან სამარშრუტო ტაქსი თბილისი-კიკეთი გამოჩნდა, შოფერმა ფანჯარაში თავი გამოყო:

— აბა, კიკეთი... ოთხი კაცი!

ჭერ ისინი შევიდნენ ტაქსში, მერე კიდევ ვიღაც, ნუნუმ ჩეხური თავსახვევით მთლიანად შეიბურა სახე და მათ მიჰყვა.

ისინი წინ ისხდნენ და ერთმანეთის ტრფილით გატაცებულებს ამ ქვეყნისა აღარაფერი ესმოდათ.

წყნეთის ნიავმა მგზავრები რომ გამოაცოცხლა, შილიფად ჩაცმული ქალი ვაქს მიეკრა და ჩასტურჩულა:

— ნეტავ აღარ გათავდეს ეს გზა!

— ნეტავ... — ჩურჩულით უთხრა ვაქსმა.

— როდის წამოვიდეთ უკან?

— ორშაბათს დილით, სამსახურში ვერ დავიგვივინებ.

— ორშაბათი მე თავისუფალი მაქვს, მაგრამ მაინც გამოგყავები უკან. ხვალ კი ტყეში გავისეირნოთ, შენი ბავშვებიც წამოიყვანე...

— შენ რომ არა, წელს ზღვაზე ვაპირებდი ცოლ-შვილის წაყვანას. შენ ისე უცებ მოინდომე აქეთ წამოსვლა, ძლივს დავარწმუნე ნუნუ, რომ შეგებულებას არ მაძლევდნენ. მგონი მიხვდა რაღაცას, ისე გაჯაფრდა... მერე, ბედზე პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის საგზური იშოვნა და წავიდა. ბავშვებთან სიდედრი ამოვიყვანე...

— მართლა, როდის ჩამოდის შენი ბებრუხუნა?

ნუნუს თითქოს სილა გააწნეს: ოცდახუთი წლისა იყო და ამდენსაც არ აძლევდნენ, თვრამეტ-ცხრამეტისა ეგონათ ხოლმე.

ვაქსმა არაფერი უპასუხა.

— შენ გეკითხები, ვახტანგ!

— ჰა, ალბათ ერთ კვირაში! — ვაქი აშკარად დაბნეული იყო...

— ღმერთო, რა ხანმოკლეა სიხარული ამ ქვეყნად! — ამოიკენესა ქალმა.

— ნუ იფიქრებ... ნურაფერზე ნუ იფიქრებ. ნუ ჩამამწარებ ამ წუთებს.

პირველი ვაცნობა გაახსენდა ნუნუს, როგორ ერთგული ძალღვივით დასდევდა უკან ვახტანგი. რას არ ეუბნებოდა, ლოცულობდა მასზე. მართლაც რა ხანმოკლე ყოფილა ეს წუთისოფელი...

— ამდენი ხილი რად გინდოდა? — ჩაესმა ისევ ქალის ხმა.

— არც კი გვეყოფა, ბავშვები რომ დაესევინან... — გაიციან ვახტანგმა და ისევ მიეკრა ქალს. ნუნუს შეაზრიალა; უცებ საშინლად შესცივდა. იჭდა როგორც უნებური მოწმე სხვისი სიყვარულისა, თუ თავისი იმედების და სიხარულის დაღუპვისა.

შოფერმა მანქანა შეაჩერა, ისინი უკვე კიკეთში იყვნენ. ნუნუ ჩამოვიდა და საფულე გახსნა. ვიდრე შოფერი ხურდას დაუბრუნებდა, თავსაბურო მოიხადა და მისი თვალები მანქანაში მჯდომი მავკის თვალებს შეხედნენ.

მანქანის რაიონი. სოფელი მელქედური. აქ, საბჭოთა მეურნეობაში მთავარ აგრარომად მუშაობს თამარ ზაზაძე.

ჩვენი ადამიანების ბიოგრაფიას რომ გავცნობი, ხშირად გაცივებს ექსტრემი. ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულებრივია ის, მაგრამ, იმავე დროს, უჩვეულო, გმირული შინაარსით აღსავსე. ასეთია თამარის ბიოგრაფია; როცა მთავარი აგრარომი პლანტაციებს ჩამოივლილ და თავის ლაბორატორიაში მიბრუნდება, თეთრ ხალათს გადაიცვამს და მუშაობას იწყებს, უნებურად გაახსენდება ხოლმე ის დღეები, როცა ასევე თეთრი ხალათი ეცვა და სიკვდილს ებრძოდა... მაგრამ უმჭონესია აქ სიტუაცია პროფესორ ბიძის ნაწილში დაფუთვით.

— ცხრაას ორმოცდახუთი წელი იყო, ავჯიბოს თვე, — იგონებს პროფესორი, — სოფელ ვარო-შილოვაკში გამგზავნეს, ახლად ჩამოყალიბებული სანიტარული ახეულის მეთაურად. ჩავედი სოფელში, თამარი იქ უფროს ექთანად დამხვდა. სოფლის ნახევარი ჩვენ გვეკიბა, ნახევარი — გერმანელებს. შებინდებისას მტრმა კვლავ დავიშინა ყუმიბარები, ერთი ყუმიბარა ბენზინით სახე ცისტრინას მოხვდა და იქაურობა ცეცხლში გაეხვია. გუგუნებდა ხანძარი, ირგვლივ ყველაფერს შთანთქმით ემუქრებოდა, თანაც გერმანელები კვლავ და კვლავ ისროდნენ. მერე შეტევაზე გადმოვიდნენ. საჭირო იყო დაჭრილი ჭარბსაკეცების გაყვანა უშიშარ ადგილზე. ერთი არ აიწერება ის ზამთარიც, რაც მაშინ თამარმა გამოიჩინა. აღარ მოეროდა არც ცეცხლს, აღარც ტყვიას... გადავარჩინეთ დაჭრილები... ეს იყო საოცარი დამე, ასეთ რაშის ადამიანი მთელ სოციალურში ვერ დავიწყებ.

ახსოვს თამარს უფრო აღრინდელი დღეებიც, ცხრაას ორმოცდაორის ტრაგიკული მაისი, ქერჩის მძიმე ბრძოლები. რა განსაცდელი არ შეხვდა მაშინ მამაც ექთანს, მაგრამ კეთილმა, ადამიანებისადმი სიყვარულით სახე გულმა ძალღონე გაუასკეცა; იმ ჭოქოხითურ დღეებში თამარი მამას ფრონტიდან წერდა:

„მამა! ჩემზე ნუ იღარდებ, იცოდე, ჩემზე ბედნიერი არავინ არის. როცა დაჭრილს გადავარჩინებ ხოლმე, მაგრამ ვაი, რომ ამას მუდამ ვერ ვახერხებთ. შენი თამარი“.

დიახ, ასეთია ჩვენი სახანგლო თამარი! სწორედ ომის წინ დამთავრა თამარმა სამედიცინო ტექნიკუმი, ჩაიცვა თუ არა ექიმის თანაშემწის თეთრი ხალათი, ის იყო ომიც დაიწყო, მაშინვე ფრონტისაკენ გაუწია გულმა. არ გასჭრა ძმის თხოვნამ — გოგო, მე ხომ მივდივარ, შენ შენ დარჩი, მოხუცებს მიხედო!

თამარი მოხალისედ წავიდა ფრონტზე. ომის მერე კი თამარმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა მთავარ აგრარომად მუშაობს, იბრძვის ჩაის მაღალი მოსავლისათვის.

ჩვეულებრივია თამარის ბიოგრაფია? დიახ, ჩვეულებრივია და თანაც უჩვეულო, წარბაცვი, გმირული და სახანგლო.

გაბი სხანდი



კოლონეთი. სოფ. უელიაზოვა-ვოლე (ვარშავის მახლობლად). პარკი შოპენის
სახლის მიდამოებში.

ფოტო ბ. ლაღვაძისა



სოფელი სალიეთი.
(გურია)

სავენიან გაილაშვილი




არსენა.



ისინდი.



ვახტანგ გორგასალი.



შოთა რუსთაველი

სევერიან მაისაშვილი ეკუთვნის ქართული საბჭოთა სახვითი ელოგენების მოწინავე ოსტატების რიცხვს. მთელი მისი შემოქმედება გამთბარია ჩვენი ხალხისა და სამშობლოსადმი უღრმესი და სპეტაკი სიყვარულის გრძნობით

1931 წელს სევერიან მაისაშვილმა დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მან შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლისთანავე მიიქცია ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება: რესპუბლიკურ თუ საკავშირო გამოფენებზე მისი ნამუშევრები მუდამ მაღალ შეფასებას იმსახურებდნენ

დიდად პოპულარულია მაღალი ოსტატობით შესრულებული მისი ილუსტრაციები რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“ და სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუისათვის“. ამას გარდა, მან ეკუთვნის არაერთი ნაწარმოები, რომლებიც ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლაზე მოგვითხრობენ, კერძოდ, აქ უნდა დავასახელოთ მისი „ასპინძის ომი“ აღამიანი და ბუნება სევერიან მაისაშვილის ქმნილებებში ნამდვილი სიცოცხლით ცოცხლობენ. მის პეიზაჟებში მუდამ იგრძნობა ქართული ბუნების ხელთუქმნელი მშვენიერება.


დიდი ამაგი დასდო სევერიან მაისაშვილმა საბავშვო ჟურნალებსა და წიგნების გაფორმების საქმეს.

ამჟამად მხატვარი მთელი გატაცებით მუშაობს დიდ ტილოზე, რომელიც ასახავს გურიის გლეხობის ბრძოლას პირველი რევოლუციის წლებში. ამ სურათს ს. მაისაშვილი დაამთავრებს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის.




ჩოგანბურთი

ნ ერთვისი.



გიორგი სააკაძე.





125 მილიონი უცვდობა

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის ქვეკომისიის ცნობით, დაახლოებით 125 მილიონი ანალიზის შედეგი, ანუ ამერიკის სამედიცინო ლაბორატორიებში ჩატარებული ყველა ანალიზის თითქმის მეთოთხედი — მცდარია. ასეთი შეფასება მისცა ამ ლაბორატორიების მუშაობას გადაამდგმავ ავადმყოფობათა შემსწავლელი ერთდროული ცენტრის დირექტორმა, დოქტორმა სენსერმა.

სენატის ქვეკომისიის თავმჯდომარემ ფილიპ ჰარტმა განაცხადა, რომ თუ ეს ასე გაგრძელდა და თუ მთავრობა კვლავაც არ შეამოწმებს სამედიცინო ლაბორატორიების საქმიანობას, საქმე იქამდე მივა, რომ დამკრძალავი ბიუროები და სასაფლაოები გადაიტვირთებან ისე, როგორც არასდროს.

დოქტორმა სენსერმა მოიყვანა მრავალი კონკრეტული მაგალითი, როცა მცდარ ლაბორატორულ-კლინიკურ ანალიზს შედეგად მოჰყვა დავადების მცდარი დიაგნოზი; არასწორი მკურნალობა, ავადმყოფობის გახანგრძლივება და ზოგჯერ ავადმყოფის სიკვდილიც.

ერთ-ერთი სამხრეთი მოსახსახურის ცოლის სისხლის ლაბორატორულმა ანალიზმა უჩვენა, რომ ეს სისხლი მიეკუთვნება „ბ“ ჯგუფს, რეზუსი დადებითია. სინამდვილეში კი სისხლი ეკუთვნოდა ნულოვან ჯგუფს, რეზუსი დადებითი. ოპერაციის შემდეგ ავადმყოფს სისხლი გადაუსხეს, ამასთან დონორის სისხლის ჯგუფი არ შეესაბამებოდა ავადმყოფის სისხლის ჯგუფს, რის გამოც ამ უკანასკნელს დაემართა თირკმელების ქრონიკული დაავადება. დოქტორმა სენსერმა განაცხადა, რომ ყოველწლიურად სისხლის ჯგუფის განსაზღვრება ამ ამერიკულ შტატში იტანჯება 50 ათასიდან 250 ათას კაცამდე, რაც ხანდახან სიკვდილითაც მთავრდება.

ქალის ძუძუს ქსოვილის ლაბორატორული ანალიზის საფუძველზე დასმულ იქნა დიაგნოზი — „კიბოა“; მას მოსტრეს ძუძუ, შემდეგ გამოიკვია, რომ ანალიზის შედეგებიც და დიაგნოზიც სრულიად მცდარი იყო.

ოცდაცამეტ კაციენტს დაუხვეს დიაგნოზი „მალარია“, დაუნიშნეს სამკურნალო კურსი, ერთ-ერთი კაციენტს

რვაჯერ აუღეს ძვლის ტვინის სინჯი. აღმოჩნდა, რომ არც ეს პაციენტი და არც დანარჩენი ოცდათორმეტი კაცი არ იყვნენ მალარიით დაავადებულნი. ეს დასკვნა მიღებულ იქნა გადაამდგმავადმყოფობათა შემსწავლელ ერთდროული ცენტრში, სადაც 88 სინჯი ძვლის ტვინისა გადაცემულ იქნა განმეორებითი შემოწმებისათვის.

(„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი — გაზინტონ პოსტი“).



როლის გათენდება

თურქეთი სერიოზულ ეკონომიურ სიმძიმეებს განიცდის. ჩვენი ყამირები და წყალქვეშა წიაღისეული მუშა ხელს არიან მოწყურებულნი მამინ, როცა ჩვენს შვილებს სამუშაოს საძებნელად საზღვარგარეთ ვგზავნით. ჩვენი საგარეო სავაჭრო დეფიციტი ის უფსკრულია, რომლის სიღრმე გამოიხატება ციფრების გრძელი რიგით,

ელენე ყიფიანი

ელენე ყიფიანი იყო ღირსეული ასული ღირსეული მამისა — გამოჩენილი ქართველი მოღვაწის დიმიტრი ყიფიანისა.

ელენე დიმიტრის ასული ყიფიანი-ლორთქიფიანიძე დაიბადა 1852 წელს, 19 მაისს, სოფელ ქვიშხეთში.

ვის არ იზიდავდა დიმიტრი ყიფიანის სახლი ქვიშხეთში! აქ იყო ის საყრდენლო, სადაც მუდამ თავს იყრიდნენ იმ დროინდელი მწერლები და ხელოვნების მოღვაწეები. დიმიტრის ტრადიციული ქართული ოჯახი, ფართო საზოგადოებრივი წრე, ურთიერთობა უცხოელ სტუმრებთან, მუდმივი ფიქრი და ზრუნვა ქართულ თეატრსა და ქურნალებზე, პატარა ელენესაც უღვიძებდა დაუცხრომელ სურვილს სასარგებლო ადამიანი გამხდარიყო თავისი სამშობლოსათვის.

— გახსოვდეს, რასაც კარგს გააკეთებ, წინ დაგხედება — ეტყოდა ხოლმე მამა. ამიტომ ელენეს ოცნება სიყმაწვილიდანვე ის იყო დახმარებოდა თანამომემთ, შემსუბუქებინა მათი მძიმე ხედარი.

ელენე აღრინდელი წლებიდანვე ამოუდგა მხარში მამას, რომელიც თავდაუზოგავად იღვწოდა ჩვენი თეატრის აღსადგენად, ჩვენი ლიტერატურის და მწერლობის გასამდიდრებლად, ჩვენი წიგნისა და წერა-კითხვის გასავრცელებლად.

მამამ შთაუწერა ელენეს ქვეყნისადმი სამსახურის წმინდა გრძნობა.

1873 წელს თბილისში შედგა სათეატრო დასი. ელენემ ამ საქმეში მხურვალე მონაწილეობა მიიღო. მანვე შეადგინა პატარა წრე ქალებისა, რომლებსაც

აზოად ჰქონდათ ნათარგმნი წიგნების გამოცემა, რომ ქართველი მკითხველი უფრო ახლოს გასცნობოდა მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს. პირველი წიგნი დაიბეჭდა ელენეს თაოსნობით, 1874 წელს. ამ წიგნს მოჰყვა მეორე, მესამე, ხოლო როდესაც ელენე ქუთაისში გადავიდა საცხოვრებლად, აქ იგი შეუერთდა ქუთათელ ქალებს და მათთან ერთად დაიწყო მუშაობა „ქართული ბიბლიოთეკის“ გამოსაცემად.

წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე გამოდიოდა „ქართული ბიბლიოთეკა“ და ელენე ყიფიანიც დაულალავად შრომობდა, თარგმნიდა, არჩევდა მასალას — გადასათარგმნელად თავისთვის და სხვებისთვის და თან კორექტურასაც ასწორებდა, როცა ეს საჭირო იყო.

ვის მოსთვლის რაოდენი კეთილი საზოგადოებრივი საქმის მოთავე ან მონაწილე იყო ელენე ყიფიანი. ის დიდ ყურადღებას აქცევდა ქართულ გალობასაც, ცდილობდა ხმები ფირფიტებზე გადაეღო. იგი გზის მაჩვენებლად და წამახალისებლად ევლინებოდა სწავლის ყველა მსურველს, აგროვებდა თანხებს ლარიბ მოსწავლეთა დასახმარებლად და ა. შ.

ელენე ყიფიანი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე სათავეში ედგა ლარიბ მოსწავლეთა კომიტეტს.

ელენე ყიფიანი სათარგმნელად მუდამ ისეთ ნაწარმოებებს არჩევდა, რამელთაც შეეძლოთ მკითხველისათვის შთაუწერათ მაღალი ჰუმანისტური იდეები. სიძულვილი ჩაგვრის სამყაროსადმი. ეს

ითქმის კერძოდ ლონ კლადელის მოთხრობაზე „და-ძმა“. აქ ნაჩვენებია როდენ ზნედაცემლობამდე და გადაგვარებამდე მიჰყავს ადამიანი ბურჟუაზიულ საზოგადოებას.

ამავე იდეებთანაა გამსჭვალული ჰენრიხ სინკევიჩის „შეცდომათა კომედია“; აქაც მხილებული არიან ადამიანები, რომელთაც ცხოვრების მიზნად ფული-სა და სიმდიდრისათვის ბრძოლა უქცევიათ.

ფრანგულიდან თარგმნა ელენე ყიფიანმა კლარკ კეტტის საკმაოდ ვრცელი მოთხრობა „რალია“. მოთხრობის მთავარი გმირი გახლავთ ქალიშვილი, რომელმაც თექვსმეტი წლიდან კაცურად ჩაიცვა და თავის ცხოვრების მიზნად ყველა დაჩაგრულისა და უბედურის მფარველობა დაისახა; და აი, როცა სოფელში მეზობელ ჰიბელს დედა გარდაეცვალა, რალდომ გადაწყვიტა მფარველობა არ მოეკლო ობლად დარჩენილი ბავშვებისათვის.

ახალგაზრდა ჰიბელსა და რალდის შორის სიყვარულის გრძნობა იღვიძებს, ქალი თანახმაა მას ცოლად გაჰყვეს, მაგრამ როცა იგებს, რომ საქმროს მომავალი ცხოვრების მოწყობა მითვისებული ფულით სურს, ის ზურგს შეაქცევს ჰიბელს, როგორც უპატიოსნო ადამიანს.

ამგვარი მოთხრობების თარგმნით ელენე ყიფიანი ხელს უწყობდა ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდას მაღალი მორალური სულისკვეთებით.

მკითხველთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია განიორის მოთხრობამ „მამულის სამაგალითო შვილი“, რომელიც ელ. ყიფიანმა ფრანგულიდან თარგმნა. ეს ნაწარმოები საფრანგეთ-პრუსიის ომის ეპოქას გვიხატავს.

ელენე ყიფიანი გარდაიცვალა 1890 წელს.

ნიკო იხნაძე
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

გვიხდება ევროპულ ქვეყნებთან. ყოველ წელს თურქეთი მსოფლიოებზე ხარჯავს იმდენ თანხას, რამდენსაც სხვა იღებს ბელგიისა ან შვეიცარიისაგან. გამორჩენილი თურქი პოეტი თევფიკ ფიქრეთი წერდა: „და აი როცა გათენდება ჩვენს ქვეყანაში“... მას შემდეგ 60 წელი გავიდა, მაგრამ ამ გათენებას ვერ ვეღვირსეთ.

(„აქაბა“, სტამბული).



ვერავობა და სიყვარული

იტალიის ახლანდელი კინემატოგრაფიული სეზონის მონოტონური ერთფეროვნება ბოლოს და ბოლოს დაარღვია რეჟისორ ელიო პეტრის ფილმმა „ყველას ის შეხვდება“, რაც ეკუთვნის“.

გაღმრთებელ მკაცრად ამ ფილმის შინაარსს.

პატარა ახლოს, პატარა ქალაქში (ცალკეული დეტალებით მათურბელი ადვილად ცნობს ქ. ჩიფალას) ტრაგიკული ამბავი ხდება. ორი აქაური ცნობილი მოქალაქე — მეფთი-აქე და ექიმი იღუპებიან ნადირობის დროს. ატყდება ერთი მიოქმა-მოთქმა, გაიხსენებენ, რომ მეფთი-აქეს მშობრად მოხდოდა მუქარით აღსავსე ანონი-მური წერილები, ამიტომ დასცვიან, ალბათ ვიმჩნის დირსება და პატრონება შეურაცხყო და ამიტომ მოკლესო, ექიმი კი რატომ მოკლეს — გამოუცნობია, თუმცა შესაძლებელია, რომ სწორედ აქ იმდროულად მეფთი-აქეს მკვლელობის ქეშმარიტი მიზეზიც.

ეკრანზე ერთი-მეორეს მისდევს კადრები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რაოდენ ზარზემიური და მდიდრულია სიცილიური დასავლლება. ნელა მიემართება სამგლოვიარო პროცესია, გარდაცვლილთა მეგობრები საოცრად მწუხარე პოზას იღებენ და ისე უსამძიმრებენ ქვრივებს. სწორედ ამ დროს კი პოლიციელი მძალულად იღებს კინოკამერით პროცესიის მონაწილეებს „ფიზიონომიური დამოკლებითა“.

მაგრამ ნამდვილ გამოძიებად იქცევა არა ის, რომელსაც პოლიცია აწარმოებს, არამედ ის, რომელსაც თავს იღებს ფილმის ემირი, სახელად პაოლო ლაურანა. პაოლო მემარცხენე შესხედლებების კაცია, ლიცეის მასწავლებელი; იგი ასწავლის პატარაში, მაგრამ ცხოვრობს ამ პატარა ქა-

ლაქში, თავის დედასთან ერთად. ესაა გულწრფელი კაცი, გამსჭვალული დომინიკური იდეალიზმით; ამასთან ის გულგრილად როდი უცქერის ექიმის უღამავეს ქვრივს, ლუიზას, რომლის სახეს, მწუხარების გამო, რაღაც პირქუში იერი დასდებია და თითქოს ყველას შურისძიებასკენ მოუწოდებს. პაოლო ინტუიციით ხედება, რომ არის რაღაც კავშირი ორთვე მკვლელობას შორის. იგი გრძნობს, რომ ადამიანი, რომელიც „თავიდან უნდა მოეშორებინათ“, იყო არა მეფთი-აქე, არამედ ექიმი. რატომ? პაოლო მოსიჩქავს მრავალ გზას, ესაუბრება იქაურ გავლენიან პოლიტიკოსებს, პრელატებს და ბოლოს და ბოლოს, — აღმოჩენს დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელშიც მთელი ეს უბედურება გამოიწვია. ეს არის ექიმის დღიური, რომელშიც მას აღუნუსხავს ის ბოროტებანი, რაც ამ ქალაქის ერთ-ერთ მესვეურს ჩაუდენია; ესაა შეჭრათამობის, იჭარბებით მაქინაციების და საერთოდ ბნელი საქმეების მთელი კოლექცია.

ამ ურყევი საბუთებით ხელში ჩვენი რაინდი თავს გამარჯვებულად გრძნობს, მით უმეტეს, რომ ლამაზი ლუიზა მის გვერდით არის და იზიარებს მის კეთილშობილურ მისწრაფებას სამართლიანობისადმი. მან ჭერ კიდევ არ იცის რაოდენ ისტატურად არის დაგებული მტრის ხაფანგები, არ იცის, რომ ქალი, რომელიც მას მთელი გატაცებით უყვარს — ერთერთი ასეთი ხაფანგის სატყუარას როლს ასრულებს. როცა პაოლო დაპირებს დასახელოს მკვლელის ვინაობა, საქმე გასარჩევად ხელთ უყვარდება არა მართლმსაჯულებას, არამედ მკვლელს; პაოლოს მოიტაცებენ, თავში დარტყმით იღონებას დააკარგვინებენ და ფარდულში შეაგდებენ. რამდენიმე წამის შემდეგ დინამიტის მუხტი ფარდულს ჰაერში ტყორცნის და მას ფერფლად აქცევს.

ასე უკვალოდ იკარგება სამართლიანობისათვის მეზრძოლი; ამის შემდეგ მკვლელი ცოლად ირთავს ექიმის ქვრივს, რომელიც უკვე დიდი ხანია მისი საყვარელი იყო. საცოდავ მასწავლებელს ყველა იხსენებს როგორც სულელ ადამიანს, რომელმაც თავისი დასაქვავი დანა თვითონ გამოიჩინა. ეკრანზე ვხედავთ როგორი ზემოთ შედიან ეკლესიაში ჭვარის დასაწერად მკვლელი და მოკლულის ქვრივი. ისინი ეკრანთან პირდაპირ მათურბლებსაკენ მოემართებიან და მათი ყოველი ნაბიჯი მწვავე ტრივლს იწვევს ადამიანის გულში.

ადრინდელ ფილმებთან შედარებით აქ უფრო ძლიერადაა ნაჩვენები თუ რაოდენ საშინელ სოციალურ წყლულს წარმოადგენს მათას ბანდიტური ორგანიზაცია, რაოდენ მოუთმენელია მისი არსებობა. ფილმი არ არის სიტყვიერი გაკიცხვა მაფიასი, მაგრამ ნაჩვენებია და დახატული მთელი მისი შემარჩუნებელი ბუნება.

(„სტამბა“, ტურინი)

ქურდი და კურანი

არიან მწერლები, რომელთაც დაიწყებული არ ეთქმით, მაგრამ, იმავე დროს, მათი ნაწარმოებები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა გადაქცეული და ფართო მკითხველისათვის ხელმეწველდომელია. ამასთან, ისინი ღირსნი არიან ექირით ჭეროვანი ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ყოველივე ამის გამო არ შეიძლება მკითხველი კმაყოფილების გრძნობით არ შეხედეს „ლიტერატურა და ხელოვნებას“ თაოსნობას, რომელმაც არა ერთი „მივიწყებული“ მწერლის ნაწარმოები კვლავ გამოსცა და გააცნო დღევანდელ მკითხველს. 1962 წელს გამოქვეყნდა დესპინე გელოვანის (ბანოვანი) „შორეული ლანდები“, რომელიც მკითხველისათვის მანამდე უცნობი იყო. მწერალ უიარლოს (კონდრატე თათარაშვილი) ჩვენ ვიცნობდით მარტო „მამულეკით“, ახლა კი ჩვენ ხელთ გვაქვს მისი ორტომეული, მასში შედის საკმაოდ ვრცელი რომანი „მაძიებელი“, აგრეთვე მოთხრობები, ნარკვევები და წერილები. შემდეგ გამოიცა მწერალ მეგანიას (ნიკოლოზ ნათიძის) მხატვრული თხზულებების ერთტომეული, მზადდება გამოსაცემად ილია ზურაბიშვილის მხატვრული ნაწარმოებების ერთტომეული, თედო რაზიკაშვილის ოთხტომეული, დუტუ მეგრელის, იაკობ ფანცხავას და დიმიტრი მაჩხანელის (დ. ნადირაძე) მოთხრობების ერთტომეულები.

ახლახან წიგნის ბაზარზე გამოჩნდა თვალსაჩინო მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ივანე გომართელის პუბლიცისტური ნაწერების ორი ტომი, შედგენილი ვ. წოწელიას მიერ. პირველ ტომს წამძღვარებული აქვს წიგნის რედაქტორის გიორგი ნატროშვილის შესავალი წერილი, მეორე ტომს კი ერთგის ვ. წოწელისა ვრცელი ნარკვევი ივ. გომართელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ორივე ტომს დართული აქვს ივანე გომართელის სურათი. ვისაც მწერალს სიცოცხლეში უნახავს, მას არ დაევიწყება მისი კეთილი და სათნო სახე. დიმილიც უჩვეულო იცოდა — თბილი და როგორღაც გულში ჩამწვდომი. მის ხმას ოდნავ სევდიანი კილო დაჰკრავდა. ყოველ შემთხვევაში მე ასე მომეჩვენა; მაშინ ის ავადმყოფი მწერლის თედო სახოკიას სანახავად მოვიდა. „საშიში არაფერია, ბატონო თედო, — შვილად უთხრა მან ავადმყოფს და შემდეგ ორივენი მოგონებებს გაყვნენ. საუბარი ილიაზე, აკაიზე და ალექსანდრე ყაზბეგზე დაიწყო. თითქოს ივანემ იცოდა, რომ ეს იყო ყველაზე საუკეთესო მალამო ავადმყოფი თედოსათვის. ისინი ერთმანეთს ასხენებდნენ მრავალ საინტერესო ფაქტს ჩვენი დიდი მწერლების ცხოვრებიდან, მათი შემოქმედებიდან და ჩვენი ისტორიიდან. ეს, რა ტყვილეობით იყო აღსავსე მათი საუბარი, ალექსანდრე ყაზბეგზე რომ ჩამოვარდა სიტყვა. თედომ გაიხსენა ის დღე, როცა მან სულით დაავადებულ ალექსანდრე ყაზბეგს მიხეილის საავადმყოფოში მისივე მოთხრობების კრებული მოუტანა; „ყაზბეგი ყველაფერს ჭეშმარიტ ხელოვნებად აქცევდა, მის კალმის ქვეშ ყველაფერი წარმტაცი და მომხიბლავი იყო“, — ამბობდა ივანე გომართელი.

ჩვენ რეცენზიას არ ვწერთ ივანე გომართელის ორტომეულის შესახებ; გვინდა მხოლოდ ამ წიგნების გამოსვლასთან დაკავშირებით, გავიხსენოთ ორი-ორი ფაქტი, ეკრანის ამბავი. თუ ჩვენს სოფელში როგორ ლეგენდად იყო ქტეული ივანე გომართელის სახელი.

ამ ორმოცი წლის წინათ დასავლეთ საქართველოში ყველა ავადმყოფს, ციებისაგან აცხცახებულ ბავშვებსა თუ მოხუცებს, ივანე გომართელის სახელის ხსენებით ამოშმინებდნენ და ანუგეშებდნენ.

— ნუ გეშინია, შვილო, მალე ქართში (თბილისი) წავიყვან და გომართელი მოგარჩენსო. ივანე გომართელის ხსენება განკურნების იმელს უნერგავდა ადამიანს.

1926 წელს სკოლაში შესასვლელად თბილისში დავაპირე ჩამოსვლა, ეს რომ ჩემი ძმის, პარმენის ნათლიამ ბესარიონ დადიანმა გაიგო (ბესარიონი ბერთემიდან იყო და შალვა დადიანს ენათესავებოდა), ბართი გამატანა მწერალთან, სადაც ის თხოვდა, რომ ჩემთვის დახმარება გაეწია. თბილისში რომ ჩამოვედი, მოვანხე შალვა დადიანი, რომელიც კოტე მესხის ქუჩაზე ცხოვრობდა. მწერალმა ძალიან გულთბილად მიმიღო და დიდი დახმარება გამიწია. ამის შემდეგ შალვასთან ხშირად დავდიოდი და ზოგჯერ ღამეებსაც მის სახლში ვათევდი.

ერთხელ შალვა დადიანმა მითხრა, დაბლა ჩადი და ეტლი მოიყვანეო. ახლო-მახლო აუარებელი მეეტლეები ირეოდნენ და მეც სასწრაფოდ მოვიყვანე ეტლი. შალვას ბინიდან შინამოსამსახურემ ორი შეკვრა წიგნები ჩამოიტანა, ეტლში ჩააწყო, ჩვენც ჩავკეით და შალვამ მეეტლეს უბრძანა წავეყვანეთ ანასტასიას ქუჩაზე, სადაც ივანე გომართელი ცხოვრობდა. დიდი ხნის წინათ შალვას. ივანე გომართელისაგან ეთხოვდა ძველი ისტორიული წიგნები, რომლებიც მწერალს სჭირდებოდა თამარ მეფის ეპოქის შესასწავლად. მისი „უბედური რუსი“ ხომ სწორედ ამ ეპოქას ეხება.

ივანე გომართელი ცხოვრობდა მეორე სართულზე: როდესაც ჩვენ მივი-

ქვემოთა- ბი ბრძო- ლის ვაჟი

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რაოდენი თავდა-
დებით იბრძოდნენ ქართველი ხალხის შვილები დი-
დი სამამულო ომის ფრონტებზე. მათი ღვაწლი და
მხედრული ჯეგლობა მუდამ დაამყარებს ჩვენი
ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის მატყინებს. ჩვენ,
თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ-
ი მუზეუმის თანამშრომლები ვეძებთ და ვაგრო-
ვებთ დოკუმენტებსა თუ ნივთებს, რომლებსაც იმ-
დროინდელი ბრძოლების შესასწავლად განსაკუთ-
რებული მნიშვნელობა ენიჭებათ. მუზეუმისათვის
ყველაფერი ძვირფასია, იქნებ ის ფრონტიდან გა-
მოგზავნილი წერილი, თუ სხვა რამ სასოვარი.
ყველაფერი ეს საბრძოლო რელიკვიები.

ამ მიზნით ვესტუმრებთ ბინაზე ომის ვეტერანს
ვასილ რუხაძეს. დიდი განსაცდელის ეპოქა, 1942
წლის ზაფხულ-შემოდგომაზე, როცა ჩვენმა ქარბე-
მა გზა გადაუჭრეს კავკასიისაკენ წამოსულ მტრის
ურდოებს, ვასილი მეთათურობდა 808-ე პოლკის მე-
სამე ბატალიონს. ეს პოლკი მარუხის უღელტეხილ-
ზე იბრძოდა.

როცა ვასილს ჩვენი მისვლის მიზანი გავაცანით,
მან მუხღღეს გადახედა და უთხრა:

— რიმა, გვაქვს რამე მუზეუმისათვის გადასა-
ცემად? — მერე ჩვენსკენ გამოიხედა და ხუმრობით
ჩაილაპარაკა — ჩემი ადიუტანტია!

რიმა კარადსათან მიდის და მართლაც საინტე-
რესო დოკუმენტებს გვთავაზობს; აი, ვასილის წე-
რილები ფრონტიდან, დათარიღებული 1942 წლით;
აქვეა ფრონტული პორტსიგარი, დეპუტატობის მო-
წმობა (მოწმობა სისხლშია ამოსვრილი. ვასილს იგი
გულისჯიბში ედო, პარტიბლეთთან ერთად, როდეს-
აც ყუბანში, ბრძოლების დროს დაიჭრა), ტყვეის
ქამარი, რომლითაც მას სხვებთან ერთად ყინულო-
ვან ნაპრალებში ჩაეარდნენ მებრძოლები ამოქ-
ყავდა (ქამარებსა და წვივისახვევებს აბანდნენ ერთი-
მეორეზე). აქვეა ერთი ვერცხლის კოვზი.

— ეს კოვზი ჩემი ავგაროზი იყო ბრძოლაში, —
ისევე ხუმრობს ვასილი, — ფრონტზე რომ მივდი-
ოდი, სიღვრეში ჩამიდო ჯიბეში, მითხრა, ამ კოვზს
ჩემი მუხღღეს ატარებდა ჯიბით პირველი მსოფლიო
ომის დროს, ის შინ მშვიდობით დაბრუნდა და
შენც გიშველისო. როგორც ხედავთ, მიშველა კი-
დეც. აგერ, ცოცხალი ვარ.

მასპინძელი შეგვიპირდა, რომ მოძებნიდა ბრძო-

ლებში ნაქონ ხიშტს. ჩვენც ჩვენი მხრივ დიდი მად-
ლობა გადაუხადეთ და ვთხოვეთ დაგვხმარებოდა,
რათა უფრო ახლოს გავგეცნო მარუხის ბრძოლების
მონაწილენი.

— თბილისში, ძმათა სასაფლაოზე დადგინდა კე-
რაობით, — ამბობს რიმა რუხაძე, — წავიღებ
ხოლმე თარგულს და თითო-თითო ყვავილი დავდებ
საფლავებზე. „ალბათ, თქვენი ახლობელი მარხია
აქ, ასე ხშირად რომ დადიხარ“, — მუხუბნიან.
„აგერა-მუთქი, — ვუპასუხებ, — ესენი ყველა ჩემი
ახლობლები არიან, ჩემი უცნობი ძმები“.

რიმა რუხაძე დიდ დახმარებას გვიწვეს მარუხის
გმირების ლეგენდარული თავგადასავლის შეს-
წავლაში. მარუხის ბრძოლის მონაწილენი მას
სიყვარულით თაყიანთ „შტაბის უფროსს“ უწოდებ-
დნენ. ამ ცოტა ხნის წინათ, ფრიგოლ ლომიძემ თანა-
მებრძოლის წერილი მიიღო ჩრდილოეთ კავკასი-
იდან; მასში აღნიშნული იყო:

„ვისარგებლობ შემთხვევით და გთხოვთ, გადასცეთ
დიდი მოკითხვა მარუხელებს, რომლებიც თბილის-
ში ცხოვრობენ, განსაკუთრებით კი ბატალიონის
მამაც მეთაურს ვასილ რუხაძეს და მის მუხღღეს,
ჩვენი „შტაბის უფროსს“.

როცა რუხაძეს მერევე ვესტუმრეთ, ჩვენ მართ-
ლაც საინტერესო საშუალებით ექსპონატები დავა-
ხვედრეთ. მარუხელ მებრძოლებს მოეტანათ.

— ვიბრძოდით მთელი მონღოლებით და თავგან-
წირვით, — იგონებენ ნიკოლოზ სხირტლაძე, კონს-
ტანტინე სეინტრაძე, გრიგოლ ბარამიძე, შალვა ზა-
ტუტაშვილი და სხვები, — ჩვენს ზურგს უკან საქარ-
თველი იყო, სადაც ჩვენი ახლობლები გვეგულე-
ბოდნენ და კარგად ფიცოდით, რა მოელოდათ მათ,
თუ მტერი შავ ზღუამდე გააღწევდა.

მათთვის ვასილ რუხაძის ბინა, მართლაც, ერთ-
გვარი შტაბია. აქ იჯიბებიან, თათბირობენ, მსჯე-
ლობენ; აქ მოდის წერილები საბჭოთა კავშირის
სხვადასხვა კუთხიდან. აქედანვე პაზაღიან პასუხებს.
ყოველი წლის სექტემბრის პირველ შაბათს მარუ-
ხელები თავს იყრიან თბილისში, საბელგანოქში
სარდლის კოტე ლესელიძის ძეგლიდან, აქ იხსენებენ
გარდასულ ბრძოლებს, დაღუპულ მებრძოლებს.

საშრობლოს სახელით მიდიოდნენ ისინი ომში;
იმისათვის, რომ მტრის თავისი ბინძური ფეხით არ
შეებდალა საშრობლოს მიწა, გასწირეს თავიანთი
ახალგაზრდა სიცოცხლე დაღო თათარაშვილმა. ტა-
რიელ მაჭავარიანმა, პავლე ასათიანმა, მამია მალა-
კელიძემ, პეტრე ძეწუფამ, დიმიტრი ტატიშვილმა
და მრავალმა სხვამ.

საშრობლოს სახელით, მისი დიდებულათვის იღწე-
ვიან მარუხის ტრადიციას გადაარჩინილი გმირები
დღესაც; ისინი მშვიდობიანი შრომის ფრონტზეც
ისევე კეთილმინდობით იხდიან თავიანთ მოქა-
ლაქობრივ ვალს, როგორც გააფთრებული ბრძო-
ლებს დროს სასახლოდ დაიცვეს საბჭოთა მეომ-
რის დიდება და სახელი.

1964 წელს, თბილისის მე-8 კლნიკური საავად-

მყოფოს ექიმმა ვიორგი მაჩიტაძემ ხულოს რაიონის
სოფ. მაწყვალთაძან ასეთი შინაარსის წერილი მი-
იღო:

„პატივცემულო ექიმო! წავიკითხე რ. ჯაფარიძის
შოთხრობა „მარუხის თეთრი ლამები“ და ბევრი
რამ შევიტყე თქვენი ცხოვრებდან. მერე „ნორჩ
ლენინელში“ და „სახალხო განათლებაში“ გამო-
ქვეყნდა მარუხის ბრძოლების მონაწილეთა სურა-
თები, მაშინვე გიცანით. თქვენ ხომ ის ხართ, რო-
მელმაც მე, შვიდი წლის პატარას სიცოცხლე მა-
ჩუქტეთ ხულოს რაიონის ოლადიურის სასაფლო
საბჭოში თქვენი ექიმად მუშაობის დროს. გასოვთ
მაწყვალთა? ცივი ზამთრის ქარბუქიანი ღამე, წე-
ლამდე თოვლი; რვა კილომეტრის სიშორეზე შუა-
ღამისას მოხვედით ჩემთან, ვაყინული ხელებით ვამ-
სინჯეთ და სთქვიით: ყოჩაღი ბიჭია, ვადაიტანსო.
მართლაც, ვადაიტანე. ვიცო, როცა ჩემს სახელსა
და გვარს გაიგონებთ, გავგზავნებთ. მე ახლაც მა-
წყვალთაში ვარ, ვწაყვლობ ამ სოფლის სკოლის
VIII კლასში, ყველა სავანში ხუთიანი მამაკ. ვარ
სკოლის პიონერული ორგანიზაციის რაზმელების
საბჭოს თავმჯდომარე. მაწყვალთელ კოლმეურნეებს
თქვენს შესახებ ვუამბე. ვახეთიშვილი დაბეჭდის თქვე-
ნი სურათიც ვუჩვენებ და ძალიან გაიხარეს. მთხოვეს
მათი სალაში და კეთილი სურვილები გადმომეცა
თქვენთვის. მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს და გე-
ხვევით. ჯ. ჩიხლაძე“.

ეს წერილი ვაღივებთ, მაგრამ არ გიცივით კე-
თილშობილური საქციელი საბჭოთა ექიმისა, რო-
მელმაც თავისი პროფესიული მოვალეობის გარდა,
ასეთი მოქმედებასაკენ უბიძგებდა შინაგანი ხმა
ომგადახდილი რაინდისა, ადამიანისა, რომელმაც,
თავის თანამებრძოლებთან ერთად, ურთულეს პი-
რობებში ყველაფერს გაუძლო და გადაიტანა იმი-
სათვის, რომ ნორჩების სიცოცხლე არ ჩამქრალიყო,
მათი ცა არ მოღრუბლულიყო.

* * *

ორიოდე კვირის შემდეგ რიმა რუხაძემ სამსა-
ხურში დამიჩვენა და მაცნობა:

— თქვენი მუზეუმისათვის ბრძოლებში ნაქონი
ხიშტი და სხვა ნივთებიც ვიპოვეთ და სოფლიდან
ჩამოვიტანეთ.

ჩვენც აღარ დავყოვეთ და ვეწვიეთ. საუბარი,
ჩვეულებრივ, მარუხის ბრძოლებს შეეხებოდა; ის
იყო, წამოსვლას ვაპირებდით, როდესაც მათთან
სტუმრად მოვიდა ვასილის ვაჟი ვიტორი, მას თან
ახლდნენ შვილები — დავითი და შოთა.

— შვიდი შვილიშვილი მყავს, ექვსი ბიჭი და
ერთი გოგონა, — სასამყეთ წაჩაბოთვა ვაჟილმა.

როდესაც ვხედავდით, თუ როგორ ხარობდა შვი-
ლიშვილებს შემყურე 65 წლის ვეტერანი, რა ნაზი
სიყვარულით ეფერებოდა მათ, ვფიქრობდი: ალა-
ლია თქვენზე ეს დიდი ადამიანური ბედნიერება,
ასე სასახლოდ ნაბრძოლო, პაპა ვასილი!

თინათინ ხმილაშვილი

დით. ექიმი პაციენტებს ლეზულობდა; ის უმალ გამოეგება შალვას და ხელი
ჩამოართვა.

— რა ამბავია, ბატონო ვანო, ამდენი ხალხი რომ გსტუმრებიათ, ქორწილი
ხომ არა გაქვთ, — ხუმრობით ჩაუტრა შალვამ. მოსაცდელი ოთახი, ეზო და
ქუჩა საესე იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ავადმყოფე-
ბით და მათი პატრონებით; ხალხი ჩამოსული იყო ურმებოთ, ცხენებით, სა-
ხედრებით, ერთი სიტყვით, რითაც მოახერხეს წამოსვლა.

— თქვენ საიდან ბრძანდებით, — შეითხა ერთ გლეხს შალვამ.
— მე თეთრი წყაროდან ვახლავართ, ბატონო!
— თქვენა?
— მე კუმისელი ვარ, ბატონო!
— მე კი ურითუბნელი ვარ, გვარად ხატიაშვილი, ავადმყოფი ბავშვი ჩა-
მოვიყვანე, მითხრეს თბილისში გამოართელს უჩვენეთ.


ექიმს ასეული ავადმყოფი ელოდებოდა, ჩვენივეს უხერხული იყო მისთ-
ვის ბევრი დრო წავეერთმია, ამიტომ შალვა მალე დაემშვიდობა გამოჩენილ
ექიმს.

— ვანოს პაციენტები რომ დაეინახე, მამაჩემი მომაგონდა, — მითხრა
შალვამ გზაზე; — ასე იყო მამაჩემთან, ბერთეში, ეზო საესე იყო სამეგრე-
ლოს სოფლებიდან ჩამოსული ავადმყოფებით; ხომ გავიხილი გაქვს, მამას
მეურნალო ნიკოს ეძახდნენ. რითაც შეიძლო ეხმარებოდა ავადმყოფებს.

ივანე გომართელი ბრწყინვალედ იცნობდა ლიტერატურის ისტორიას და
თეორიას, მუსიკას და თეატრალურ ხელოვნებას. მწერლისა და მოაზროვნის
კრატეულ-პუბლიცისტურ წერილებს დღესაც არ დაუქარგავს ფაფისი ლიტე-
რატურული და შემეცნებითი მნიშვნელობა. საგნის ღრმა ცოდნასთან ერთად
მას ჰქონდა უაღრესად ფაქიზი გემოვნება და ამა თუ იმ ლიტერატურული
მოვლენის ღრმა ანალიზის შესანიშნავი უნარი. ამაზე მეტყველებენ მის ორ-
ტომეულში გამოქვეყნებული ნაშრომები.

მწერლობა და ხალხის წანმრთელობაზე ზრუნვა ივანე გომართელის მოლ-
ვაწიურისათვის ერთი და იგივე სამყარო იყო; ეს ორივე კეთილშობილური
პროფესია შესანიშნავი პარამონიულობით ერწყმოდნენ და ავსებდნენ ერთი-
მეორეს.

ალ. სიგუა



სახვები

ნამდვილი ამბავი

დღეების რაიონში არის ერთი არც ისე დიდი სოფელი, საკრამულას ეძახიან. ჩვეულებრივი სოფელია, როგორც ახი და ათასი მისი მსგავსი ჩვენს ქვეყანაში.

არც ისე შორს არის საკრამულა თბილისიდან. მარჯვე შოფერს ერთ საათზე მეტი არ დასჭირდება იქ ჩასახველად. სრულიად ჩვეულებრივი სოფელია, როგორც შებერის ჩვენს მთიანეთს.

მაგრამ ამბავი კი უჩვეულო მოხდა ამ სოფელში. შუალამე კარგა ხნის გადახული იყო, როცა ჩაწყნარებულ და ჩაძინებულ სოფელში უცრად გავარდა თოფი, ზუსტად ერთი წუთის შემდეგ სროლის ხმამ მეორედ შეარყია იქაურობა.

სადღაც ძაღლები აღავლავდნენ, სადღაც ვილაყას გაედვია და ხინათღეც აანთო, მეზობელმა მეზობელს გასძახა (აქ სახლები საკმაოდ შორს არის ერთი-მეორისაგან), მაგრამ სროლის შემდეგ ყველაფერი ისე ერთბაშად ჩაწყნარდა, რომ სოფელში იფიქრეს — ალბათ შექიფიანებულმა მონადირეებმა თუ ჩაიარეს და თავის გახართობად ისროლეს...

უდროოდ გამოღვიძებულმა თითო-ორიოდა სოფელში ისევ ძილს მისცა თავი.

დილით ადრე კი, სამუშაოდ მიმავალ მეზობლებს სოფელია წაქაიძის სახლიდან ბავშვის გულამოსკენილი ტირილი შემოესმათ, ეწოში შეიხედეს, სახლის კარ-ფანჯრები დახურული იყო.

— ალბათ შუა ძილში არიან. არა სცხვენიათ, რას ატირებენ ი ბაღს? — თქვა ერთმა მეზობელმა.

— რას ამბობ, კაცო, — შეუბრუნა სიტყვა მეორემ, — სოფელია და ამ დროს ძილი? ეს ვის გაუგია? მაგისთანა გამარჯვებულად მივხედავ არ არის საკრამულაში.

— იქნება წავიდნენ საითმე? — თქვა მესამემ.

— მერე, პაწია გოგოს ჩაქტილში დასტოვებდნენ? არა, რაღაცა უბედურება ტრიალებს მაგათ თავს, შეხედე, ფანჯარა ჩაღწილია...

— შევიდეთ!

ამასობაში ხალხი საკმაოდ მოგროვდა, ერთდროულად მიადგნენ სახლს; გაუკვირდით, როცა დაინახეს, რომ კარი გარედან იყო გადაჩაწული; ხალხის ხმა რომ გაიგონა, ბავშვმა ტირილი შეწყვიტა. მეზობლის ქალმა რაზა გადასწია, ოთახში შეიხედა, უცებ შემწარავდ იკვილა „ვაიმეო“ და მუხლმოკვეთილი წაიქცა იატაკზე, გული შეუწყუნდა.

დანარჩენებმაც შეადგეს კარი — თვალწინ საზარელი სურათი დაუდგათ: შუა ხანს მიღწეული სოფელია წაქაიძე საწოლზე გვერდულად ეგდო, ტყვიას თავისქალა მისთვის შუაზე გაეპო, ხოლო იატაკზე სისხლში ცურავდა ახალგაზრდა ქალი, სოფელია მისწული ცილა. ტყვიას მისთვის მკერდი შეეწვია. ტირილისაგან ქანცაწყვეტილი, დედის სისხლში ამოსვრილი პაწია გოგონა იატაკზე ფორთხავდა, წამდაუწყებ კაბაზე ეკიდებოდა ცილას და გაიძახოდა:

— აღე, დედა, აღეკი! გაოგნებულები იდგნენ ყველანი, სიტყვა ვერავის დაეძრა. მარტო კუთხეში ფუსფუსებდნენ, გულშეწუხებულ ქალს აბრუნებდნენ, იმან უცებ გაახილა თვალი, გადახედა იქაურობას და ისევ დაიწვილა:

— ბავშვი გაიყვანეთ აქედან, ბავშვი! ადამიანები არა ხართ!

ვილაყამ დასტაცა ხელი პაწია მზექალას და გარეთ გაიყვანა. აფრინეს კაცი მილიციაში, შემთხვევის ადგილზე უმალ გამოცხადდნენ დღეების რაიონის პოლიცია, მილიციის უფროსი და მისი ხელქვეითები, სამედიცინო ექსპერტი. სასწრაფოდ დარეკეს თბილისში, აქედან გაემგზავრნენ მესამე რანგის გენერალი გიორგი შელია, რესპუბლიკის მილიციის სისხლის სამართლის სამსახრო განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ვალერიან თალაკვაძე და უფროსი ოპერატიული მუშაკი პოლკოვნიკი ანდრო თეთრუაშვილი.

გულდასმით შეისწავლეს ყველაფერი; ქვა, რომლითაც ფანჯარა ჩამტვრიათ მკვლელებს, იქვე ეგდო; ტყვია ერთი გვამიდან ამოიღეს, მეორე — კედლიდან; აღწახსნეს ყოველი წვრილმანი, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელოც კი... დასახეს გეგმა და დაიწყეს მკვლელობისა თუ მკვლელების ძებნა.

ამ მიზნით გამოყვეს ოპერატიული ჯგუფი, რომელმაც პირდაპირ ცხელ კვალზე დაიწყო მუშაობა. სასწრაფოდ შეატყობინეს ყველაფერი ვახტანგ ჩიტაურს, ცილას ქმარს, რომელიც იმჟამად თბილისში იყო.

სალამოს უამი მოახლოებული იყო, როცა ვახ-

ტანგი თბილისიდან ჩამოვიდა. როგორც კი სოფელში ფეხი შემოდგა, ყველაფერი გაიგო, დაჭრილი ნადირივით აბღვლდა და გამოიქცა თავისი სახლისაკენ, მოსთქვამდა, სახეში ხელს იცემდა.

— ვაიმე, ცილა, ჩემო ანგელოზო! — ვაი, ობოლად დარჩენილი შევიღებო ვინ დამელუბა, ვინ გამომტრა ყელი?!

აწყნარებდნენ, ამშვილებდნენ, ის მაინც თავს ახეთქებდა კედელს და ვინ მოსთვლის მერამდენედ ჩასძახოდა საყვარელი მეუღლის ცხედარს:

— სად გამექცევა შენი მკვლელო, სად? მიწიდან ამოვიღებ, ჩემივე ხელით გამოვლადრი ყელს.

* * *

მთელი ის ღამე თეთრად გაათენა ვახტანგმა: იქდა და უნებურად ახსენებოდა წარსულის დღეები, ახე უცრად დაკარგული ბედნიერება.

როცა ვახტანგი მეზობელ სოფლიდან საკრამულაში გადმოვიდა და ტრაქტორისტად დაიწყო მუშაობა, ცილა მაშინ ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი იყო. ღამაში გოგო იყო, ეშხინი, რამდენ აქაურ ჭაბუკს ჩაუვარდა გულში, მაგრამ სიტყვა ვერავინ შეხედა — მამიდა სოფელია ერიდებოდნენ.

მკაცრი და მრისხანე ქალი იყო სოფელია.

— უძმო ქალია, უმწეო და ობოლი. მაგრამ სანამ პირში სული მიდგას, მაგას არავის დავაჩაგრინებ, რა ვუყოთ, რომ დედაკაცი ვარ! ახა გაბედოს ვინმემ და წინ გადამიდგეს... — ხშირად გაუგონიოთ მეზობლებს სოფელიაგან.

ცილას მამა ფრონტზე დაედუბა, დედა გაუთხოვდა და უპატრონოდ დარჩენილი გოგონა მამიდამ შეივრდომა, ცივ ნიავს არ აკარებდა სოფელია თავის მისწული. ძალიან კარგი ქალიშვილი დადგა ცილა. ის კარგად ხედავდა მამიდას ამაგს, დედად აფასებდა და სულ იმის ცდაში იყო სიყვარულზე სიყვარულითვე ებახუნა, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მამიდასათვის შრომა შეემსუბუქებინა. ოქანში ტრიალებდა, ალაგებდა, რეცხავდა, აუთოვებდა, საქონელს უვლიდა.

ერთხელ, სახლი რომ მიალაგა, ცილამ ინდაურები გარეკა მინდვრისაკენ. გზის გადაღმა ტრაქტორი ბუბუნებდა. მიხვდა, რომ ეს ვახტანგის მანქანა

* გვარები შეცვლილია.

იყო. ყმაწვილ ქალს ადრევე ჩაუვარდა გულში ჭაბუკის სიყვარული, მაგრამ ამ გრძნობას თავის- თავსაც არ უმხედა. იმას კი ამჩნევდა, რომ ეს მზით სახეგარეულობა ჭაბუკიც გულგრილად არ უცქერდა მას, მუდამ ცდილობდა ქალიშვილის გვერდით ყოფილიყო, მისი ყურადღება მიექცია.

იმ დღეს მშვენიერი ამინდი იდგა საქრამულაში. ვახტანგმა პირველი კვალი გაიტანა და ის იყო ხნულის იქით, გზაზე, ცივად მოჰქარა თვალი. იხილა შენიშნა, რომ ქალიშვილმა მისკენ გამოიხედა; ბიჭმა ტრაქტორი გააჩერა, ძრავი გამოართო, სა- ზურგეზე გადაკიდებული პერანგი სწრაფად გადაიცვა და სირბილით დაეშვა თავდაღმართზე. ერთ წუთში დაეწია ცივას.

— გამარჯობა ცივას! — ჭაბუკს ხმა უთრთოდა. — დილა მშვიდობისა, ვახტანგ!

— როგორა ხარ? — თვალი თვალში გაუყარა. — რა მიწავს, მაგრამ... ასე ნუ მიყურებ!

ვახტანგმა მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ცივას ახალთახალი, წითელკანტებიანი ფეხსაცმელები ეცვა, ნაწნავებდაყრილ მხრებზე დარაია მოღებია.

— რატომ გენაცვალე? — ნურც მასე მეტყვი! — მამ როგორ?

— ჩვეულებრივ, როგორც მეზობლები საუბრობენ ერთი-მეორესთან.

— რის მეზობლები, გოგო! შენ ჩემი უნდა გახდე! აი, მივანებებ ყველაფერს თავს და წაგიყვან სახლში.

— სად, რომელ სახლში? — ჩემთან! — სად გავიწილა მასე? შენ ჭერ ჩვენთან არც კი მოსულხარ!

— მოვალ, უსათუოდ მოვალ ამ საღამოს. — მერე, მამიდაჩემი? — ნუ გეშინია, მიმიღებს. ვითომ რაზე დამიწუნებს?! — მაშინ მოდი!

ორიოდ თვის შემდეგ თითქმის მთელი სოფელი დაესწრო ცივასა და ვახტანგის ქორწილს. გაიხარა სოფელი მამიდამაც — სიძე კარგი ფეხით შემოვიდა ოჯახში; ერთი წელიც და მამაპაპეულ ეზოში, სისხამ დილით, პირველად გაისმა თოფის გრილის ხმა, რომელმაც სოფელს ახალი ადამიანის დაბადება აუწყა.

ძეობა! ამაზე მეტი სიხარული რა უნდა ედირსოს ახალგაზრდა ოჯახს.

მერე ვახტანგი საბჭოთა არმიის გაიწვიეს. დაბრუნება, ახალი სიხარული... ოჯახს ახლა გოგონა შეემატა, მერე მესამე შვილიც ეყოლა ცივას, აი ის, პაწია მზექალა, მოკლულ დედას რომ მისტიროდა მთელ დამეს.

მაშინ ვინ იფიქრებდა ამაზე! მაშინ სიხარული სუფევდა ოჯახში.

* * *

ზის ვახტანგი და ისევ ფიქრებს მისცემია. ეს რა დღეში ჩავარდა, რა დღეშაო. იმ დღეს, რომელსაც ეს შავბნელი დამე მოჰყვა, ვახტანგი სოფელში იყო, მხოლოდ შუადღის ხანს გაუდგა გზას თბილისისაკენ. დილით კი აქ იყო.

როგორც კი ირიაშუა, ოთახიდან გამოსული ვახტანგი მოაჭირს დაეყრდნო და ახმაურებულ მი- დამოს გადახედა. უზმოზე პაპიროსს პაპიროსზე სწევდა, ხველა ახრჩობდა. უცებ მუხლზე ფუნჩულა ხელის შეხება იგრძნო, წელში გასწორდა, სამი წლის მზექალა მამას ალერსიანი თვალებით შეჰყურებდა ქვემოდან.

ბავშვს მოეფერა, მერე სიძველისგან გაშავებულ აკაციის სვეტს მიეყრდნო და ეზოს გადახედა; ეზოს იქით ვიწრო ორღობე იწყებოდა. ჭიშკართან ქათმები აკრიახდნენ, თავი მიაბრუნა, ცივას მხარზე კალათი შეედგა და ინდაურებს მიერეკებოდა. ტანთ

ხამი ქსოვილის კაბა ეცვა, ფეხზე — დახეული ფეხსაცმელები. ვახტანგმა გულის სიღრმეში ტყვილი იგრძნო, შეეცოდა ობლობაში გაზრდილი ქალი, რომელსაც ერთ დროს ჰპირდებოდა, როგორც დედოფალს, იხე გაცხოვრებო! ასე აუსრულა დანაპირები? თუმცა ვის დადანაშაულებს ვახტანგი, ყველაფერი მისივე ბრალია. ვერა და ვერ აუღო აღლო ცხოვრებას. რად მინება ტრაქტორს თავი და რად წავიდა სოფლიდან. დაიწყო სეტიალი ერთი ქალიქიდან მეორეში. ბოლოს თბილისში მუშაობდა, ახლა კი აი, ისევ ჩამოვიდა საქრამულაში.

ჩამოვიდა მოღუშული, შეწუხებული. ცივამ უმალ შეატყო ეს და ჰკითხა:

— ცუდი ხომ არაფერია, ვახტანგ? — არა ისე... — სიტყვა გაუწყდა, — სამსახურიდან გამანათავისუფლეს...

ახლა, ამ დილით ცივას რომ შეხედა, ისევ თავის თავზე მოუვიდა ბრაზი. კიბის საფეხურებზე დაეშვა და ჭიშკარში შემობრუნებული ცივასაკენ გაიშურა.

— ვახტანგ, შენ ისევ მოწყენილი ხარ. თუ ცუდად გრძნობ თავს, მოთხარი!

— ცოტა შეუძლოთა ვარ, მაგრამ არაფერია, გავივლი.

— დაწვი, ცხელ რძეს დაგაღვივებ და კარგად გახდება.

— არაფერი მიწავს, დღესვე თბილისში უნდა წავიდე!

— რა არის ასეთი საჩქარო?

— ახანაგმა შემომითვალა, შტატები დაუმატებიათ, აღდგენას მიიჩნებენ.

— კარგი ამბავია!

— ექვსი თვეა კაპიკი არ შემომიტანია სახლში... სირცხვილით აღარ ვიცი, რა ვქნა! მივალ ტრესტში, მიცნობენ, დამეხმარებიან. ჰო, მართლა, გზის ფული დამჭირდება. მამიდას დაბრუნებამდე სადმე მიშვებ... ყველაზე მეტად იმისი მრცხენია. ორ დღეში საქმეს მოვაგვარებ და დავბრუნდები. ბავშვები დედაჩემთან იყვნენ, ჭერ ნუ ჩამოიყვან, ამ პატარას კი მიხედე, აივნიდან არ გადმოვარდეს.

— ნურაფრის ფიქრი ნუ გექნება!

შუადღის ხანს ვახტანგი სოფლიდან გავიდა და თბილისისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

და აი, მეორე დილით, თბილისში, ასეთი თავ- ზარდამცემი ამბავი შეიტყო.

სასწრაფოდ გამოეშურა სოფლისაკენ; ზის ახლა და ფიქრობს თუ თავის ბედს დასტირის, კაცი ვერ გაიგებს.

* * *

დაასაფლავეს ცხედრები, მაგრამ მითქმა-მოთქმა ამ საზარელი მკვლელობის გამო არ ჩაწყენარდა. ვინ რას ამბობდა და ვინ რას!

ძიება კი თავისი გზით მიდიოდა. შეამოწმეს ყველა საეჭვო პირი, ვინც აღრიცხული ჰყავდათ, ვინც ადრე სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყო მიცემული. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ვის უნდა მოეკლა ეს ორი უდანაშაულო ადამიანი, რატომ?

იქნებ რომელიმე წიკლაური ურევია ამ საქმეში? ამ ეჭვს თავისი საფუძველი ჰქონდა. მთაში ოდესღაც დამკვიდრებული ადათის მიხედვით, მოსისხლეს არა აქვს უფლება მოკლულის ახლობლისა თუ ნათესავის მიწაზე გაიაროს. სოფლის ახლო ნათესავი კი, ეჭვიანობის ნიადაგზე მოჰქალა ერთ- ერთმა წიკლაურმა; ბოლო ხანებში იმ წიკლაურის ვაჟიშვილი ხშირად დადიოდა ორღობეში, რომელიც სოფლის ეზოს ჩაუდიოდა.

ვერ ითმენდა ამას სოფელი. სოფელში ახლა ვი- დასა სწამდა ეს ადათი, მაგრამ ჭიუტი ქალის სულ- ში მეტად მტკიცე ფეხვი გაედგა ამ ხვესმოდებულ ტრადიციას.

მეზობლებს არა ერთხელ სმენიათ, თუ როგორ აფრთხილებდა სოფელი ახალგაზრდა წიკლაურს:

— აქეთ ნუ დადიხარ, ხომ იცი, ჩემი სისხლი

გმართებს. ბერავი ხომ არ გგონივარ, ჩემი ხელით გამოგჭირ ყელს!

იქნებ წიკლაურს მართლაც აეგხო მოთმინების ფილა და დაასწრო ამ გაავებულ დედაკაცს.

ეჭვი შემოწმებას მოითხოვდა. მაგრამ ძიებამ სულ ადვილად გამოარკვია, რომ ახალგაზრდა წიკლაური იმ დღეებში სოფელში სრულდებოდაც არ ყოფილა. იგი თბილისში იყო და საავადმყოფოში იწვა, სადაც საკმაოდ მძიმე ოპერაცია გაუკეთეს.

ერთი სიტყვით, ეს უკვე ნამდვილი ალიბი იყო. მამ ვინ იყო, ვინ დალუბა ვახტანგის ოჯახი?

გაღიოდა დრო, მკვლელის კვალი არსაით ჩანდა. ვახტანგი საჩივარს საჩივარზე ჰგავნიდა თბილისში, კატეგორიულად მოითხოვდა დამნაშავის პოვნას და პასუხისგებაში მიცემას.

დღე არ გავიდოდა, რომ მილიციის არ შეეგელო.

— როგორ არის საქმე? — კითხულობდა გაწვალებული კაცი.

— ახალს ვერაფერს გეტყვით.

— დრო მიდის, თქვენ კი აქამდე ერთ ადგილს ტყენით!

თვეები გარბოდნენ, სოფიკოსა და ცივას მკვლელობის გარშემო ატეხილი ხმაური კი არ ცხრებოდა. სოფელში ათასნაირი ხმები დადიოდა: ამბობდნენ, თითქმის ვიღაცას იმ დღეს ტყეში ბანჯგვლიანი, ზორბა ტანის კაცი დაუნახავს, ადამიანებს გაურბოდაო. დადამებისთანავე სოფიკოს ჭიშკართან ჩაუვლია, მხარზე ორღულიანი თოფი ჰქონდა, სოფლის ბოლოში ვიღაცას შეხვედრია, მაგრამ სახელდობრ ვის, ამაზე არაფერს არ ამბობდნენ. იმასაც ჰყვებოდნენ, თითქმის ადრე, გათხოვებამდე ცივას ვიღაც მთიულს ჰყვარებია, სოფიკოსთვის ქალიშვილის ხელიც უთხოვია, მაგრამ მკაცრ მამიდას ცივი უარით გაუსტუმრებია, გაუ- ლანძღავს კიდევ მთიული და სულ კინწისკვრით გაუგვია.

— შენი კაბა ჩამაცვი, თუ ეს შეგარჩინო! — დაუქაღინა მთიულს.

სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მუშაკები იძულებულნი იყვნენ ასაქრ შეემოწმებინათ ყოველი ასეთი ცნობა. ამგვარ ამბის მოხრობ- ლებს კი ბოლო აღარ უჩანდათ.

მართლაც რომ თავსატეხი საქმე გაუჩნდათ დუ- შეთის მილიციის მუშაკებს.

როგორც წესი, ასეთ მძიმე დანაშაულს — მკვლელობას პროკურატურა იკვლევს, მაგრამ ამ დროს არც სისხლის სამართლის სამძებრო მუშაკები სხედან გულხელდაკრეფილი.

ასე იყო ახლაც. ამ ადამიანებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, რაღაც არ უნდა დასჯდომოდით. მკვლელები მოეძებნათ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ზარიგოლ გვაძაბინა



დღით ადრე, ყოლაკში, ავტობუსის გაჩერებაზე ტანდაბალმა. წითურმა პოლიციელმა ბავშვიანი ქალი მოიყვანა და შოფერს უთხრა:

— ამ უბედურის მადლი მოიხსი, მანანდარანში აპირებს წასვლას, იქნებ ქალაქამდე ჩაიყვანო.

ქალი მაშინვე ჩაქადა ავტობუსში. ცალ ხელში ორი წლის ბავშვი, მეორეში კი თეთრი ბოხჩა ეჭირა, კბილით შავი ჩადრის ბოლოს ჩაფრენოდა. ტყუილის სავარძელში რომ მოეწყო, ქერათმიანი, ავადმყოფური შეხედულების ბავშვი მუხლებზე დაისვა. მგზავრებს, რამდენიმე სამხედრო პირსა და ორ ქალს, არავითარი ინტერესი არ გამოუჩინიათ ბავშვიანი ქალისადმი; პოლიციელმა მანქანაში შეიხედა და ქალს უთხრა:

- მანანდარანში რა საქმე გაქვს?
- ქმარი უნდა ვიპოვო.
- განა ქმარი დაგეკარგა?
- ერთი თვეა, რაც წავიდა და უპატრონოდ დამტოვა.
- რა იცი, რომ იქ არის?
- მისმა ამხანაგმა ქალოლაბმა მითხრა.
- შენი ქმარი ისეთი მარჯვე ჩანს, რომ არც იქ გაჩერდება დიდხანს. ფუქარი რამდენი გაქვს?

- ორი თუმანი და ორი რეალი.
- რა გქვია?
- ზარინქოლა.
- საიდან ხარ?
- შაპრიარის რაიონი, სოფელი ალვიზი.
- ქმრის ძებნას, არ გირჩევენია, შაპრიარში, შენიანებთან წახვიდე? იქ ახლა რთველია, ყურძენი თავზე საყრელად გექნება. უცხო მხარეში კი შენისთანა დოყლაპია გზას ვერ გაიგნებს, სადმე დაიკარგები.
- არა, უნდა წავიდე.

ზარინქოლამ ეს უკანასკნელი წინადადება ისე მტკიცედ მოჭრა, თითქოს უნდოდა ყველა დავრწმუნებინა, ეს გადაწყვეტილება საბოლოო და ურყევიო. მანქანაში ქალი გაყინული სახით იჯდა, არავის ყურადღებას არ აქცევდა. მისი ფიქრი სხვაგან ქროდა. პოლიციელმა კვლავ მიმართა შოფერს:

— ბატონო შოფერო, ეს ქალი დარვაზე დავალთან* გადმოსვით. გზა უჩვენეთ.

პოლიციელის ზრუნვით წათამამებულმა ქალმა წამოიძახა:

— სოფლიდან ვარ ჩამოსული, ასავალ-დასავალი არ ვიცი, გზა მიჩვენეთ, ჩემს მაგიერ, ღმერთი გადაგიხდით!

ავტობუსი გზას გაუდგა. ნაცემი ძალიერით აბუზული ზარინქოლა კვლავ უძრავად იჯდა და ერთ წერტილს მისჩერებოდა. შავგვრემანი სახე ჰქონდა, შავი ბრილა თვალები, ვიწრო თანამსავეთ გამოყვანილი წარბები, პატარა ცხვირი, გამოშვებული, მსხვილი ტუჩები და ჩავარდნილი ლოყები. მთელი გზა მანქანა ანჯღრევდა და გაოგნებულ ზარინქოლას არავისთვის არ სცხელოდა. დედის კალთაში გატრუნულ ბავშვს ხელში შეკეცილი ბროწეული ეჭირა და შუბლშეკრული თვლემდა. დარვაზე დავალთან ავტობუსი გაჩერდა. შოფერმა ქალს შიმარანის ჰოსპიტალში მიმავალი გზა უჩვენა. ზარინქოლა მანქანიდან გადმოვიდა, ბავშვი აიყვანა, ფუთა აიკიდა და სიცხე-პაპანაქებაში გრძელ გზას გაუდგა. შიმარანის ჰოსპიტალის ზარინქოლა გარაყის პატრონს ნახევარ საათზე მეტი ევაჭრა, რომ იგი ექვს რეალად სარიმდ წაეყვანა, როგორც იქნა დაითანხმა და ის მიიყვანეს უზარმაზარ საბარგო მანქანასთან, რომელიც უკვე ხალხით იყო სავსე. შუაში კი ბარგი ეწყო. მგზავრებმა მიიწვიეს და ბავშვიან ქალს დასაჯდომად პატარა ადგილი გაუთავისუფლეს. მანქანა გამართეს, საყვირი ახმინდა, დადგა ბენზინისა და დამწვარი ზეთის სუნი. ბოლოს, მანქანა მზისგან ვავარვარებულ, მტკრიან გზაზე გაუდგა.

თავდაპირველად პეიზაჟი ერთფეროვანი იყო, შემდეგ შორს პორიზონტზე ბორცვები, მთები და ხეები გამოჩნდა, გზაზე მოსახვევებმა იმატა. ზარინქოლა კვლავ ცხვირჩამოშვებული იჯდა. რამდენჯერმე მანქანა გააჩერეს, მგზავრებს ბილეთები გაუსინჯეს. შუადღისას, შალამბესთან, მანქანის სალტე დაზიანდა, ამიტომ ზოგიერთი მგზავრი ძირს ჩამოვიდა. ზარინქოლა არც განძრულა, ეშინოდა — უადგილოდ არ დარჩენილიყო, ფუთა გახსნა, პური და ყველი-ამოიღო, ბავშვი დააპურა, თვითონაც მცირედ დანაყრდა, ბედურასავით მობუზული ბავშვი უხმოდ იჯდა, დროგამოშვებით თვლემდა თითქოს ხაშხაში დაუღევიო. ტიკტიკ და ტირილიც დავიწყებოდა. ამასობაში მანქანაც შეაკეთეს და გზას გაუდგნენ, რამდენიმე საათის შემდეგ ტყით შეფენილი ულამაზესი მთები გამოჩნდა. თუმცა, ზარინქოლას არც თვალს და არც გულს ეს პეიზაჟი არ აღუღვებდა, მაგრამ მის არსებაში რაღაც იღუმალი და აუხსენელი სიხარული შეიჭრა, გული აუძგერდა, უფრო თავისუფლად სუნთქავდა. — ის ხომ თავის მიზანს უახლოვდებოდა, ხვალ თავის ქმარს, გოლბებუს ნახავდა. ნეტავ როგორი სახლი აქვს? როგორ შეხვედებიან მისი ნათესავები, ახალ-მოსულს? რას ეტყვის ერთი თვის უნახავ ქმარს? წინასწარ იცოდა, რომ არაფრის მოქმელი იყო, ენას ვერ დაიმორჩილებდა, ძალ-ღონეც უმტყუნებდა. ზარინქოლა გოლბებუს ხელთ იყო, ქმარს ეკუთვნოდა ამ ქალის მთელი არსება,

* თვირანის ერთ-ერთი უბნის სახელწოდება.

ქმარდასა-რბული

ფიქრები, ნებისყოფა. ქალმა იცოდა, რომ ქმარი დამტოვებოდა, არც შოლტი ასცდებოდა. ის შოლტი, რომლითაც გოლბებუს სახედრებს ხდენდა, მაგრამ ზარინქოლა სწორედ ამიტომ მიდიოდა, მისთვის ეს ცემა-ტყეპაც კი სასიამოვნო იყო, თუ ქმართან იქნებოდა.

ნესტიანმა პაერმა, ტყემ, საუცხოო პეიზაჟმა, სამუშაოს შესეულმა ადამიანებმა, ცისფერ ტანისამოსში გამოწყობილმა კაცმა, გზის პირად ყურძენს რომ დახარბებოდა, ზარინქოლას ბავშვობა მოაგონა.

...

ორი წლის წინათ გათხოვდა ზარინქოლა. გოლბებუს პირველად მან რთველში ნახა. ზარინქოლა, მისი მეზობელი კაცები, გათხოვილი ქალები და ქალიშვილები ყურძენს კრეფდნენ და კრიალა მტევნებს კალათებსა ან ხის ყუთებში აწყობდნენ. შემდეგ ეს ყურძენი მდინარე შავწყალს ნაპირზე ბებერი ქადრის ქვეშ მიჰქონდათ და იქ სოფლის მამასახლისს მანდაგარ ალის აბარებდნენ. იმ დღეებში ყუთების გადატანაზე ახლად მოსული მანანდარანელი გოლბებუს მუშაობდა. იგი ქალიშვილებს სიმღერას ასწავლიდა, ყველას ამხიარულებდა და ამღერებდა.

გოლბებუს იცინოდა, ქალიშვილებს გამოთქმას უსწორებდა, არც ისინი რჩებოდნენ ვალში, მათი სიცილი ცას სწვდებოდა. დაღამებამდე ასე გაგრძელდნენ. ქალიშვილები, სიმღერებთან ერთად, გოლბებუს ვაჟკაცურმა იერმა მოხიბლა. ზარინქოლაზე კი მან წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა. გოლბებუს ნავარჯიშევი ტანის, სქელი კისრის, ალისფერი ტუჩების, ქერა თმისა და თეთრი, ბანჯგვლიანი მკლავების დანახვისას, საცოდავი ქალიშვილი იბნეოდა. რა ძალა და სიმარჯვე ჰქონდა გოლბებუს, რა თავისუფლად გადაჰქონდა ადგილიდან ადგილზე მძიმე ყუთები, ამას ერთვოდა მამაკაცის მწველი, მრავლისმეტყველი გამოხედვა. განა ეს საკმარისი არ იყო, რომ ქალიშვილს თავ-გზა აბნეოდა?

ზარინქოლას გული სიხარულით ძგერდა. მას რაღაც ახალი და მოულოდნელი გრძობა დაუფლდა. აქამდე ქალიშვილმა მამაკაცის არაფერი იცოდა. ზარინქოლას დედა მუდამ სცემდა, კაცისავე გახედვისაც კი უკრძალავდა. უფროს დებს იგი ათვალწუნებული ჰყავდათ და თავის საიდუმლოს არ ანდობდნენ. თუმცა ზარინქოლა კაცებზე ხშირად ფიქრობდა, მაგრამ ამის გამოთქმას ხმამაღლა ვერ ბედავდა. იცოდა, რომ ასეთ ამბავს მას არავინ მოუწონებდა. მხოლოდ მეზობლის ქალიშვილები მეპრიბანუ, ხანუმ ქუჩულუ და ბულურ ხანუმი ესაუბრებოდნენ ზარინქოლას კაცისა და ქალის საიდუმლოებაზე, ადამიანებდნენ მის ცნობისმოყვარეობას. მეპრიბანუმ მამასახლისს მანდაგარ ალის ვაჟთან, შირ ალისთან თავის ურთიერთობაზეც კი უამბო ზოგი რამ. გოლბებუს შეხედვა საკმარისი იყო, რომ ზარინქოლას ყველა ეს ფიქრი სიყვარულზე ერთბაშად გამქრალიყო. ქალიშვილს მუხლში ძალა ელეოდა, რაღაც უცნაური ამბავი ემართებოდა. ზარინქოლასათვის მხოლოდ ერთი რამ იყო ცხადი, რომ მისი სხეულის თითოეული ნაწილი გოლბებუსკენ მიიღებოდა და ამიერიდან მის გარეშე სიცოცხლე აუტანელი იყო.

იმ დღეს, როცა იგრძნო, რომ ეს ბედნიერება ეწვია, ზარინქოლას ახალი წითელი კაბა ეცვა და კაბაზე მეშხეთიდან ჩამოტანილი ლამაზი თავშალი ჰქონდა მოკვებული, რომელიც მხრებზე ჩამოშლილი ნაწნავებს ძლივს ფარავდა. ყოველივე ეს ტანდასა და თვალად ზარინქოლას ეშხს მატებდა. ალბათ, ამიტომაც გამოარჩია იგი გოლბებუმ ამდენ ქალიშვილებში. თვალს არ აცილებდა, ქურდულად უდიმოდა. ზარინქოლა ქალური ინსტინქტით მიხვდა, რომ გოლბებუს იგი მოეწონა და მათ შორის რაღაც უხილავი კავშირი დამყარდა.

როგორ მოქცეულიყო? განა შეიძლებოდა, რომ ზარინქოლას გოლბებუს ცოლობის იმედი ჰქონოდა? მისი ორი უფროსი და გაუთხოვარი იყო. დედა-მისი მუდამ ზარინქოლას ლანძღვაში იყო: «ცუდი ფეხი გაქვს, შენი დაბადება და მამაშენის სიკვდილი ერთი იყო».

საღამოს პირი იყო, როცა მუშაობა შეწყვიტეს და მთიდან მდინარის ნაპირას ჩამოვიდნენ, რომ ჩვეულებისამებრ ყურძენი სოფლის მამასახლისის, მანდაგარ ალისათვის, ჩაებარებინათ. ზარინქოლას, დედამისს და მეპრიბანუს

10.369

გზაში ნახილი წამოეწია და ერთად გეგმარტენ თვისი სოფლისაყენ, რომელსაც კოშკებთან მალაღი თიხის გალავანი ერტყა. ზარინქოლამ გზაში მეპრიბანუს თავისი საიდუმლო გაანდო. მეგობარმა ქალიშვილმა იგი ანუგეშა და დახმარების აღმოჩენაც აღუთქვა.

ის ღამე ზარინქოლამ თეთრად გაატარა. მთვარიანი ღამე იყო, თვალს ძილი არ ეკარებოდა, წყალი მოსწყურდა, ადგა, აივანზე გავიდა, მეგრძე საკინძი შეხსნილი ჰქონდა. ნიავე ქროდა და ღამის სიგრილეს მიინც ვერ გრძნობდა. ოთახში დედამისი ურჩხულივით ხვრინავდა. მისი გაღვიძება ყოველწამს მოსალოდნელი იყო. იგი მაშინვე ქალიშვილს დაუძახებდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა ახლა ამას, როცა ქალიშვილის სული ბოროტობდა და მთელი მისი არსება ამბოხებას ღამობდა; ზარინქოლა ფეხბარჯით მივიდა აუზთან და თელის ქვეშ დადგა. ხემ, ზეცამ, ვარსკვლავებმა, მთვარემ თითქოს ენა ამოიდგესო, ქალიშვილს რაღაცას ჩასურჩულვებდნენ. ზარინქოლამ რაღაც სასიამოვნო მოთენთილობა იგრძნო. მას ესმოდა ხეების, წყლის, ნიავის, სახლის მალაღი კედლის, გალავნის და აუზის წინ მდგარი დოქის ენაც კი. ვარსკვლავები ჰაერში ნამის წვეთებვით ჩაღვრილიყვენ და მათი მკრთალი შუქი ძლივს ციმციმებდა. ქალიშვილს ვარსკვლავები და სხვა ყველაფერი, თვით ძალზე უმნიშვნელო საგნებც კი საოცარი, არაბუნებრივი, საიდუმლოებით აღსავსე ერჩვენებოდა, მათ თითქოს რაღაც განსაკუთრებული, ფარული მნიშვნელობა შეიძინეს.

ზარინქოლამ უნებურად ხელი მეგრძესა და მხარზე მოისვა. ქარმა დალაღები გაუწეწა, აუზის პირას ჩამოჭდა, ყელში რაღაც მოაწეა, სუნთქვა შეეკრა, ტირილი დაიწყო, ლოყებზე ცხელი ცრემლები ჩამოუვარდა. ეს ნაზი ალვის ტანი გოლბებუს საალერსოდ იყო განკუთვნილი. ზარინქოლა მზად იყო, ამ პატარა მეგრძეს, ხელს, მთელ მის ტანს მიწა დაჰყოფდა და საფლავში ჩამბალიყო, ოღონდ კი აღარ ენახა და აღარ განეცადა დამცირება, არ მოესმინა მუღმივი ლანძღვა-გინება დედის სახლში, არ ელოდნა სანამ დაბერდებოდა. მეგრძე დაუქნებოდა და ასე უსიყვარულოდ, უზაროდ გავიდოდა მთელი სიცოცხლე. ქალიშვილს უნდოდა მიწაზე დამხობილიყო, ტანისამოსი შემოეფლითა, ოღონდ ცოტა შეება მიინც ვერძნო და ეს მძიმე კეშანი როგორმე თავიდან მოეცილებინა. მას ქვითინი აუტყდა. მთელი თავისი უსიხარულო სიცოცხლე თვალწინ წარმოუდგა. ეს იყო გაუთავებელი ლანძღვა-გინება, ცემტყება, პატარა ზარინქოლას დედა თავში წაუთაქებდა, პურის ნატეხს წაუგდებდა და გამოაგდებდა ქუჩაში, სადაც საცოდავ გოგონას ქეციან და მუნით დაავადებულ ბავშვებთან უნდა ეთამაშა. ზარინქოლას დედისაგან ტბილი სიტყვა და ალერსი არ ახსოვდა. ამ ამბავს ახლა განსაკუთრებული სიმწვავეთ განიცდიდა. მეზობლებს ებრალებოდათ და ზოგჯერ შეიფარებდნენ ხოლმე დედის რისხვას გამოქუეულ საცოდავ გოგონას.

ზარინქოლამ პერანგის სახელოთი ცრემლი მოიწმინდა და ცოტა შეება იგრძნო. თითქოს დამწვიდდა კიდევ. თვალები დახუჭა. ღამის საამო პაერი ჩაისუნთქვა, გოლბებუს სახე კვლავ თვალწინ ედგა. გაახსენდა მისი ღონიერი ზელები, თავისუფლად რომ ათამაშებდნენ მძიმე ყუთებს, ქერა თმა, სქელი წითელი კისერი, ერთმანეთზე გადაჭობილი წარბები და ხშირი წვერი. ზარინქოლამ მხოლოდ ახლა შეიგრძნო, რომ გარდა იმ შეზღუდული სამყაროსი, რომელსაც იგი იცნობდა, სხვა ცხოვრებაც არსებობდა.

ზარინქოლამ აუზიდან ერთი პეშვი წყალი ამოიღო, სახეზე შეისხა, შემდეგ სახლში შებრუნდა და ლოგინში ჩაწეა, მაგრამ მის თვალს რულიც არ მოჰკიდებია, რამდენჯერმე მხარი იცვალა. აღთქმა დადო, რომ თუ გოლბებუს ცოლი გახდებოდა, მტრედს იყიდდა და თავისუფლებას აჩუქებდა იმის საფასურად, რომ დედისეულ სახლს მოსცილდებოდა, ხუთშაბათ ღამეს კი წმინდა ალა ბიბი საქინეს საფლავზე სანთელს დაანთებდა. ასე აღუთქვა ნაიბ აბდულას ქალიშვილმა სეთარემ და კიდევ გათხოვდა.

ღილით უძილობისაგან თვალბდაწითლებული ზარინქოლა ვენახებისაყენ სამუშაოდ გაეშურა. გზად მდინარის ნაპირას, ჰადართან შეჩერდა, სადაც გოლბებუ ყურძენს ტვირთავდა. მიწაზე კვლავ ეყარა წინაღლის დარჩენილი ვახის გათელილი ფოთლები, სახედრის ჩონჩროკი, გოგრის თესლის ნაფცქვენები. ზარინქოლამ პერანგიდან ნაჭერი ამოიღო, რაღაც ჩაუთქვა და ხის ტოტზე გამოწასკა. როცა იგი უკან ბრუნდებოდა, გზაში მეპრიბანუ შეხვდა. მეგობარმა ქალმა ჰკითხა:

- დღეს რატომ არ დამელოდე? აქ რას აკეთებ?
- არაფერს, მეგონა, რომ გეძინა და აღარ შეგაწუხე. მე ძალიან ადრე ავდექი...

მეპრიბანუმ მეგობარს შეაწყვეტინა:
— მე ხომ ვიცი, შენ აქ გოლბებუს გამო ხარ მოსული.

ზარინქოლამ მეგობარ ქალს არაფერი დაუმალა, ყველაფერი უამბო იმ საოცარ მდღეგარებანზე, მთელი მისი არსება რომ შეიპყრო, უძილობაზე, აღთქმაზე. მეგობარმაც ანუგეშა იგი და შეპირდა, რომ თავის დედას მოელაპარაკებოდა, რომელიც ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც ზარინქოლა გულწრფელად უყვარდა.

ზარინქოლას იმ ღილით ცდა არ დაუკლია, მაგრამ გოლბებუ მიინც ვერ ნახა. მეპრიბანუს სიტყვით, იგი ბიქეში იყო სამუშაოდ წასული.

შუადღისას, პურის საქმელად სახლში მოსული ზარინქოლა ოთახში ჩაიკეტა, კოლოფიდან სარკის ნატეხი ამოიღო, თმის ვარცხნა დაიწყო, სარკის წინ კობტობდა, საღამოსთვის ემზადებოდა, რომ გოლბებუს მოსწონებოდა. ულამაზო კბილების გამო სიცილი არ შეენოდა. ამიტომაც გადაწყვიტა მხოლოდ ღიმილი ერჩვენებინა თავისი გულის სწორისათვის. შუბლზე დალაღები ჩამოშალა, თავის გარეგნობით კმაყოფილმა სიამოვნებით გადაიკისკისა. გრძელი წამწამები, მომაკიდოებული ღიმილი, სახის ბავშვური გამომეტყველება, პირის ნატიფი მოყვანილობა — ზარინქოლას მომხიბლობას მატებდა. მის შავგვრემან სახეს ჭანსალი სიწითლე შეენოდა. მისი ალისფერი, წყლიანი ტუჩები სამეფო ყურძენს გაუწევენდნენ მეტოქეობას. ხოლო მისი თვლების მაცდურმა გამოხედვამ მეპრიბანუს დედას ადრევე ათქმევინა: „მათში ეშმაკი სახლობსო“. ამიტომაც იყო ზარინქოლა ყველა თავის ტოლ-ამხანაგებში გამოჩენული.

სადღის შემდეგ გამხიარულებული ზარინქოლა, მეპრიბანუსთან ერთად, ვენახისაყენ მიიბიჭებდა, სადაც, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა გოლბებუ უნდა ენახა. ეს სურვილიც შეისრულა. საღამოს შემდეგ სიმღერა და ხუმრობა არ შეწყვეტილა. ზარინქოლას ვერ იცნობდით, მუდამ სევდიანსა და დამწუხრებულს, ახლა ყურძენს კრეფა სასიამოვნო და მხიარულ საქმედ გადაქცეოდა. თავის მეგობარ მეპრიბანუსთან ერთად იგი მტევნებს ანაწილებდა, ყურძენს მარცვლებზე მარჩიელობდა. ქალიშვილმა ჩაუთქვა, რომ თუ მტევნის უკანასკნელი მარცვალი მას შეხვდებოდა, საწადელს მიიღწევდა, გოლბებუს ცოლი გახდებოდა.

საღამოს, როცა ყველა ჰადრის ქვეშ შეიკრიბა, ზარინქოლამ გოლბებუს მზერა დაიჭირა. მამაკაცის ღიმილს ქალიშვილმა სახლში სარკის წინ ნავარჯიშები ღიმილი შეაგება, შემდეგ კეკლუცად გაიქნია თავი და შუბლზე დალაღები ჩამოიშალა.

ოთხი დღე გავიდა, ზარინქოლა გათამამდა, ისინი უფრო დაახლოვდნენ. მეოთხე დღეს მეპრიბანუმ სასიამოვნო ამბავი მოიტანა, დედამისმა ამ საქმის გაჩაჩხვა ითავა. გახარებულმა ზარინქოლამ მეგობარი ქალი ტუჩებში ჩაკოცნა. როგორ გაკეთდებოდა ეს საქმე? ქალიშვილს გავონილი ჰქონდა, რომ ხანში შესული, გამოცდილი ქალებისათვის ქორწილისა და ნიშნობის გარიგება სიძნელეს არ წარმოადგენდა და ამ მიზნის მისაღწევად მრავალი ისეთი ხერხი იცოდნენ, რომლებიც ახალგაზრდებს არც კი დაესიზმრებოდათ. ქალიშვილს იმედი მიეცა, მისი ოცნება ფრთას ისხამდა, მაგრამ ერთი საჩოთითო საქმე დარჩა: ვინ დაითანხმებდა ზარინქოლას დედას, რომელსაც ქორწილზე სიტყვის გაგონებაც კი არ უნდოდა და რომელიც წყველა-კრულვითა და გინებით იკლებდა ქალიშვილს, როცა მას დღიურ შემოსავალს, სამ აბაზს წაართმევდა ხოლმე. საქმეში მეზობლები ჩაერივნენ, ბევრი ხვეწნა-მუღარის შემდეგ, როგორც იქნა, ზარინქოლას დედაც დაითანხმეს. ბევრი დავიდარბის შემდეგ ერთი წითელი საკაბე უყიდეს, თითოეული ნაჭრის გამოჭრისას დედა ქოქოლას აყრიდა: — შენი კუბო ვნახე, — ყვიროდა გაალმასებული ქალი, — ქორწილი გასვენებად გადაგექცეს, მწუხარებამ დაისადგუროს შენს გულში. მალე ჩაძლდი, მიწამ შეგკამოთ შენ და შენი მათხოვარი ქმარი!

წყველა-კრულვას შეჩვეულმა ზარინქოლამ დედის სიტყვებს ყურცი არ ათხოვა, ქალიშვილს მზითვეში სპილენძის ქვაბი და პატარა თითბრის საშოვარი მისცეს. საღამოსპირი იყო, როცა მეპრიბანუს დედამ ზარინქოლას და გოლბებუს ქორწილზე მთელი სოფელი შეყარა. მოვიდნენ თოჯინებით მოხატული და აბრეშუმის თავსაფრებით დამშვენებული სოფლის დედაკაციბი. უფროსი დები ზარინქოლას ბედნიერების დღეს არ დასწრებია. მოიყვანეს სოფლის ახუნდი, იგი ამალგებულ ადგილზე შედგა, ქორწინების წესი შეასრულა და ზარინქოლას დედის თხოვნით ახალგაზრდებს წმინდა ყასემის ცხოვრების შესახებ უამბო. ყველა ატირდა. ამის შემდეგ სოფლის მამასახლისმა მანდაგარ ალიმ და მისმა ვაჟმა შირ ზადმა ნეფე-დედოფალს მკლავი გამოსდეს და ფერად ქსოვილგადკრულ სკამზე დასვეს. შირ ზადმა ფულის შეგროვება დაიწყო. პირველად ღიმილით მამასახლისს მიადგა და თხოვა: „ჭერ მამაჩემი უნდა დაეჭარბიმო“. მან მეპრიბანუს ლანგარზე ორი თუმანი დაადლო. კუთხეში მჯდომმა მედოლემ დოლს დაჰკრა და დაიძახა: „ორი თუმანი გაილე, შენმა ოჯახმა იხაროს“. ფული ოცდაათ თუმანამდე მოგროვდა, ყველა მხიარულობდა.

მეორე დღით ზარინქოლა დედასა და დებს გამოეთხოვა, მერე მეპრიბანუ გადაკოცნა, სთხოვა, რომ ალა ბიბი საქინეს საფლავზე სანთელი დაენთო და მტრედისათვის თავისუფლება ეჩუქებინა, შემდეგ მან თავისი ავლაიდედა — სამოვარი და სპილენძის ქვაბი აიკიდა და წმინდა ჰადრისაყენ გაეშურა, სადაც გოლბებუ ელოდებოდა. აქ ისინი სახედრებზე შესხდნენ და თეირანისაყენ გაემართნენ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

სპარსულიდან თარგმნა
თ. კეშილაძე

ყველა დროს უპირველესი ფეხბურთელის პელებს ხელოვნებას მრავალი წიგნი მიეძღვნა. მათში დაწვრილებითაა განხილული სახელოვანი ბრანდის მფლობელების ოსტატობა. ამას წინათ არგენტინულმა ჟურნალმა „სპორტმა“ ვრცელი მიმოხილვა უძღვნა პელებს, შეადარა მისი თამაში მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის „ვარსკვლავებს“ — პორტუგალელ ეისების, არგენტინელ ინეგას, უნგრელ ალბერტს, ინგლისელ ბ. ჩარლტონს, გფრ-ს ფეხბურთელებს ზეფლერსა და ბეკენბაურს. ვფიქრობთ, ამ მიმოხილვას ინტერესით უნდა შესვდნენ ჩვენი მკითხველებიც.

ეისებო პელებს მოქნილი მოძრაობით ჰგავს, მაგრამ ნაკლებ ათლეტურია. ეს ცხადი ხდება, როცა თვალყურს ადევნებ ეისების საპირთ ორთაბრძოლას. მათ შორის განსხვავება შესაზრუნებია ბურთით წინსვლის დროსაც. პელებს მოძრაობა



პელები, ეისები, ჩარლტონი

სრულყოფილია. იგი ხან თითქოს მიცურავს, ხან მიიბარება, ხან მიჭრის. მისი ფეხები თითქოს საგანგებოდ ფეხბურთის სათამაშოდ შექმნილი. ეისებო კი მიწას მთელი ტერფით აბიჯებს, ეს ზღუდავს მის სისწრაფეს.

ეისების დიდებულად აქვს განვითარებული მეტაქისათვის დასწრების გრძობა, აგრეთვე ორიენტაციის გრძობაც ისეთ ვითარებაში, სადაც ფიქრის დრო აღარ არის. ამით აგა პელებს ჰგავს.

პარალელი ჰქრება, თუ შევადარებთ ამ ფეხბურთელების წვლილს საერთო-საგუნდო საქმეში. ეისებო უფრო ინდივიდუალური ფეხბურთელია. მას არა აქვს გუნდისათვის თავგანწირვის უნარი. იგი თითქმის არ იღებს მონაწილეობას თავდაცვით თამაშში. ცუდად იგუბება კოლექტურ მოქმედებას. პელებსაგან განსხვავებით, ეისებო იერაშის დასასრულის, ეპილოგის მოთამაშეა. — იგი იშვიათად ეძებს პარტნიორს, რათა გარღვევაზე გაიყვანოს. იგი თვით ცდილობს მათგან ბურთის მიღებას, უბურთოდ კი ცუდად თამაშობს. იგი ხშირად მძიმე მდგომარეობაში აყენებს პარტნიორებს, როდესაც ზურგს შეაქცევს ხოლმე მათ შეტევის განვითარების მომენტში.

ისევე, როგორც პელებს, ეისებოც მწვავედ გრძობს საგონებ ხიტუაციას, მაგრამ მას ბრანდილიისაგან განსხვავებით არა აქვს მისი შექმნის ხელოვნება.

ეისების დიდებული დარტყმა აქვს. დარტყმა მოულოდნელი, თითქმის ყოველგვარი მოქნივის გარეშე. როგორც წესი, იგი მკარისაგან ხისრვინა კუთხით არტყამს. ამას იგი ილევინებური სისწრაფით აკეთებს, ყოველგვარი მოფიქრების გარეშე.

ეისებო — წმიდა ინსტიქტია. იგი თითქმის არც კი ფრკვევა ტაქტიკურ გართულებებში. ვერ თამაშობს კოლექტიურად, არაა შემქმნელი, არაა ორგანიზატორი. ყველაფერს, რასაც აკეთებს, ინტუიციად უღევს საფუძვლად. მისი მოქმედება ძირითადად განისაზღვრება პარტნიორების ოპერაციების დაგვირგვინებით. ამ სტადიაში იგი შეიძლება პელებს შეედაროს. ბრანდილითან მას ახლოებს გამარჯვებისაკენ დიდი სწრაფვაც, თუმცა ხანდახან ეისების ეკარება სათამაშო განწყობილება.

ეისებო, რა თქმა უნდა, შესანიშნავი მოთამაშეა, მაგრამ მასა და პელებს შორის დიდი განსხვავებაა.

ერმინდო ონეგამ ისეთნაირად წარმოართა მსოფლიოს პირველობის მატრიები ესპანეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდების წინააღმდეგ, რომ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ

შეიძლება მისი შედარება პელებთან, მაგრამ მოთამაშეს ერთი ან ორი შესხედრის შედეგებით როდი აფასებენ.

ონეგა პელებზე უფრო სწრაფია, ბურთს უფრო თავისუფლად ფლობს, არც დარტყმა აქვს ბრანდილივით უარესი. მაგრამ იგი თამაშში პელებს მსგავს ეფექტს ვერ აღწევს, რადგან „შვი მარგალიტი“ მოძრაობის დროს უკეთ არტყამს ბურთს.

ონეგას შეუძლია პელებს შეედგავს დრიბლინგის ნაირსახეობაში. მაგრამ პელებს შეუძლია ბურთის დაფარვისას, მასთან ერთად მოძრაობისას.

ორივე ერთნაირადაა დაქილდობული რიტმის გრძობით. ორივემ იცის, როდის უნდა შეჩერდეს, ან, პირიქით, გაიჭრას წინ. მაგრამ პელებს სჯობს არგენტინელს სიმტკიცეში, იგი უკეთ იხელთებს ხოლმე მომენტს გადამწყვეტი დარტყმისათვის.

თუ ტემპერამენტს გავითვალისწინებთ, მათ შორის შთილი უფსკრულია. პელებს ამ მხრივ გოლიათად გვიჩვენება, ონეგა კი ლილიპუტად. არსებითად რომ ვიმჩქელოთ, პელებს დიდ ფეხბურთელად აქცია მისმა ტემპერამენტმა, გამარჯვებისაკენ სწრაფვამ. პელებს ყოველთვის საიერაშოდაა შემართული, უნარი აქვს პარტნიორებს „ციცხლი წაუკიდოს“ და გაიყვანოს. იგი ხელს არახდროს არ ჩაიქნევს. იბრძვის უიმედო სიტუაციაშიც კი.

ერმინდო ონეგა, შესაძლოა დიდი ფეხბურთელია, მაგრამ მხოლოდ აღმზრუნის დროს. პელებს კი ყოველთვის დიდია, მაშინაც კი, როდესაც სრული ძალით არ თამაშობს. პელებს ყოველთვის პელებს რჩება, თუნდაც თავის ყველაზე უარეს თამაშში. ონეგა ფარსმალს ბურთს, როცა წინააღმდეგობას აწყდება. მას უხილოდ გაუწონსწრაფებულობა ხელს უშლის ექსტრა-კლასის ფეხბურთელი გახდეს.

ამრიგად, ონეგა ვერასოდეს გახდება ფეხბურთის მეფე. იგი არგენტინული ფორმაციის მოთამაშეა, მეტად ტექნიკური, ნიჭიერი. მას შეუძლია ბრძოლა მოიგოს, შეიძლება შეორებდეს გაიმარჯვოს, მაგრამ ეს მარცხ ეპილოგად დარჩება მის ცხოვრებაში.

ფლორიან ალბერტს ყველაფერი ძალზე იოლად გამოუდის. ესაა აღმზრუნის მოთამაშე, დიდი ტალღის.

ალბერტი შესანიშნავადაა შეიარაღებული ტექნიკურად. სოუსტემში, ისევე, როგორც ონეგა, არ ჩამოუვარდება პელებს, შესაძლოა, კიდევაც სწარბობს მას. ამ მხრივ, შესაძლოა ალბერტი მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა დანარჩენ ვარსკვლავს

სჯობს. მოედნის სიღრმიდან დაწყებული მისი გარღვევები პირდაპირ განსაცვიფრებელია. ალბერტის მოძრაობა ბრწყინვალეადაა რეგულირებული. იგი თვით იწყებს კომბინაციებს, რომელთაც აგვირგვინებს კიდევ. მას შეუძლია ისე შეაღწიოს კარბამდე, რომ არავის არ შეეხოს. ფრიალ საშიში დარტყმა აქვს, ხოლო გადაცემა სანტიმეტრებამდეა გამოთვლილი.

შესაძლოა, ალბერტს ისეთი სიმალღებისათვის მიეღწია, რომელიც ყველა სხვა ფეხბურთელისათვის მიუწვდომელი იქნებოდა. მაშინ მას პელებს კი ვერ შეედრებოდა. მაგრამ ალბერტი ვერ უძლებს ხანგრძლივ ორთაბრძოლას და წყვეტს თამაშს, როდესაც პარტნიორები მხარს ვერ უზამენ ხოლმე.

ალბერტისა და პელებს გავლენა პარტნიორებზე უდავოა, ისინი აშკარა ლიდერები არიან. მაგრამ პელებს უფრო მეტი გავლენა აქვს, რადგან პარტნიორებს უკეთეს მაგალითს აძლევს. პელებს კბილთა ღრტენით იბრძვის ხოლომდე, იმის მიუხედავად, თუ როგორია შესხედრის ანგარიში. იგი უკან იხევს თავდაცვის მიზნით, რათა ხელი შეუშალოს მეტოქეთა შეტევას. ალბერტი კი მხოლოდ იმიტომ იხევს უკან, რომ ბურთი მიიღოს.

ალბერტი პელებს სჯობს კომბინაციების სილამაშით, მანერის დახვეწილობით. იგი ბრანდილიელს შეიძლება შევადაროთ ნიჭით, სწრაფი აზროვნებით. მაგრამ ალბერტი მკარავს მასშტაბურობას, როდესაც ლამაზაკია დინამიკურ, ძალაზე, პარტნიორებზე, შინაგან შემოქმედებაზე, ფორმის მუდმივობაზე და ფიზიკურ სისწრაფეზე, რომელიც პელებს ისეთივე აქვს, როგორც აზროვნების სისწრაფე. ვილაცამ ალბერტს „ფაიფურის მოთამაშე“ დაარქვა, მხედველობაში მქონდა რა მისი ფიზიკური ხისუსტე, მაგრამ იგივე ხმაერთიანი იქნებოდა უნგრელი სულიერი ძალების შემართავი. მტკიცე ხასიათი — აი რა უნდა ახასიათებდეს ფეხბურთის ნამდვილ მეფეს.

უვე შეიღებმა მძ წელს გადაახიჯა, მაგრამ უდიდეს ფიზიკურ ძალას ვგაჩვენებს. უნარაც აქვს ამ ძალის მოთაშად გამოყენებისა. იგი ბურთისათვის იბრძვის მთელ მოედანზე, მაგრამ, ამავდროს, ღირსებას არ ჰკარგავს, ძლიერია, მაგრამ უხეში როცაა, ფიზიკური დაძაბულობა დაღს როდი ახვამს მის თამაშს. იგი შეიძლება პელებს შეედაროს, როდესაც ყველაფერს ორთაბრძოლა წყვეტს. ეს განსაკუთრებით საპირთ ბრძოლას ეხება, იმის მიუხედავად, რომ შეიღებმა არაა ახსვანი. იგი მშვე-

ინგრად გრძნობს კარში დარტყმის მომენტს, ეს კი ზეილერის ძალზე სახიფათოდ ხდის.

მისი მოძრაობა მოუხეშავი გვერდებია. ზეილერის მოპყრობა ბურთისადმი მონაცდამაინც დახვეწილი როდია. მაგრამ ამ დანაკლისს ზეილერს მისი მუდმივი მზადყოფნა დაიცავს ბურთი მეტოქეთაგან. ზეილერმა იცის, როდეს უნდა შეიქრდეს, მეურვეობისაგან განთავისუფლდეს, რათა ბურთი მიიღოს. ეტერებზე უბურთოდ თამაში, პარტნიორთა შეტევებისათვის ხელის შეწყობა.

ზეილერი „კედელი“ იყო ბეკენბაუერის, ყველა სახიფათო გარღვევის დროს. იგი ამ დროს ზურგს შეაქცევდა ხოლმე მეტოქის კარს. მისი გადაცემები მარჯვნივ და მარცხნივ, თუმცა არ იყო ტექნიკურად უნაკლო, მაგრამ პარტნიორებზე შეგიფერი ძალით მოქმედებდა, მათ აიძულებდა გაჭირვლებულნი ყოფილიყვნენ.

ზეილერი გუნდის მესამეა. თავისი გავლენით მოთამაშეებზე, გამარჯვების რწმენით, იმ ატმოსფეროთი, რომელსაც იგი ქმნის მოედანზე და ტრიბუნებზე, ზეილერმა დაიმსახურა იყოს „ვარსკვლავი“. ამ მხრივ იგი პელების არ ჩამორჩება, თუმცა ტექნიკაში სერიოზული ხარვეზი აქვს.

მაგრამ როგორც შემსრულებელი, შემოქმედი და დამაგვირგვინებელი — პელები ნამდვილი პოეტია. ამ მხრივ მას არაფერი საერთო არა აქვს ზეილერთან. პელები ღრუბლებში დასცურავს, ყველაზე გავლენას ახდენს, ყველაფერს წინასწარ გრძნობს. ზეილერი კი მექანიკური ძალის გამოხასხულებია.

ბობი ჩარლტონი, ისევე, როგორც პელები, მის წუთის განმავლობაში დარბის მთელი მოედნის მანძილზე. ისევე, როგორც პელები, მალე ტემპს მთელი თამაშის მანძილზე ინარჩუნებს. იგი უფრო მეტ ფიზიკურ ძალასაც კი ხარჯავს, ვიდრე პელები.

ჩარლტონს დიდებული ტექნიკა აქვს. თანაბარი ოსტატობით ხმარობს ორივე ფეხს. ეს მას საშუალებას აძლევს მოულოდნელად შეცვალოს მოძრაობის მიმართულება. ჩარლტონი შეუდარებელი გრძნობით ცვლის შეტევის მიმართულებას, მის სისწრაფეს. მას შესანიშნავი უნარი აქვს იხელთოს დრო, გაითამაშოს „კედელი“ და გავიდეს დარტყმისათვის ხელსაყრელ პოზიციაზე. ასე გაიტანა მან ორი გოლი პორტუგალიელებთან. იგი უდავოდ სპარბობს პელებს თავდაცვით თამაშში, მეტოქისათვის ბურთის წართმევაში. ასე გასინჯეთ, ჩარლტონი უფრო მეტი დასაყრდენია პარტნიორთათვის, ვიდრე პელები. მაგრამ, სამაგიეროდ, პელებს თავდასხმების სული აქვს, ამ მხრივ მას ჩარლტონი ვერ შეედრება. მოედნის სამ მეთხინდზე პელები თამაშზე ბევრად უფრო მეტ გავლენას ახდენს. ვიდრე ჩარლტონი.

ამავე დროს, პელები უფრო ვასაგებია და ახლომდებარე როგორც მოთამაშეებისათვის, ისე მკურნალებებისათვის, მაშინ, როდესაც ჩარლტონის უცნაური ფიგურა ხშირად გაუგებრობას აწვევს. მკურნალებებისათვის ზოგჯერ ნათელი არაა, რა ფუნქციებს ასრულებს იგი მოედანზე.

გარეკანის პირველ გვერდზე სსრკ სახალხო არტისტი, კინორეჟისორი გ. ახათიანი. ფოტო მთარ თურქიასი. მეოთხე გვერდზე: როზა და იამზე ცარდავები, სოფ. მუსხური (ჩხორაოწყუს რაიონი). ფოტო მთარ ხან არ ჩვაძისა.

პელებს უპირატესობა იმაშიც შეიძინება რომ მას უდიდესი გავლენა აქვს მოთამაშეებზე, ჩარლტონს კი მხოლოდ ნაწილობრივი გავლენა. ჩარლტონი პარტნიორებს მხოლოდ იმაში ეხმარება, რომ განხორციელონ გარღვევა, თავი დააღწიონ მეურვეობას, გაიტანონ გოლი. იგი არაა მათი ნამდვილი ბელადი. ასეთად ინგლისის გუნდში უფრო ბობი მური უნდა ჩათვალოს.

ჩარლტონი მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო მოთამაშეა ინგლისის გუნდში, მოთამაშე, რომელიც გარკვეული სქემის ფარგლებში მოქმედებს. პელები კი ყველა სქემაზე მალეა დგას. ჩარლტონის ოსტატობა დიდია, მაგრამ მისი გავლენა მაინც შეიძლება. პელებს ოსტატობა კი განუზომელია.

ფრანც ბეკენბაუერი მოედანზე ნელა დადის. მაგრამ უტევს ელვისებური ნახტომებით. მის მანერაში არის რაღაც კატესებური. ბეკენბაუერის ოსტატობა უფრო ტლანტსა და სწორი გადაადგილების უნარს ემყარება, ვიდრე ფიზიკურ მოზადებას. ამიტომ, თავისი საკმაოდ მაღალი აღნაგობის მიუხედავად, ბეკენბაუერი მაინცდამაინც დიდ სურვილს როდის იჩენს ჩაებას საპირის ორთახობაში.

იგი მოედნის შუა გულის მოთამაშეა, ძალზე ემარჯვება შეტევაზე გადასვლა. აქ გამოჩნდება ხოლმე ყველაზე უფრო კარგად მისი შესანიშნავი ოსტატობა. იგი შეტევაზე ისეთივე დარწმუნებითა და უნარით გადადის, როგორც პელები. დიდებული ცვლის რიტმს, შეუძლია მოულოდნელად იმოქმედოს, გრძნობს იერიშის დაწყების მომენტს. იგი, ისევე, როგორც პელები, შესანიშნავად იყენებს „კედელს“, გადის წინ და არტყამს კარში. ყველაფერი ისე ხდება, როგორც პელები აკეთებს.

ბეკენბაუერი ერთნაირად კარგად ურტყამს ორივე ფეხით. მას არც თუ მეტად ძლიერი, მაგრამ საკმაოდ ზუსტი დარტყმა აქვს.

მაგრამ მხოლოდ იერიშში ჩართვის მომენტში. რომელიც 4-5-ჯერ თუ იქმნება ხოლმე თამაშში, იგი შეიძლება პელებს შეედაროს. როდესაც ბეკენბაუერი უკან იხევს, იგი კვლავ რაიტი ფეხბურთელი ხდება.

ტემპერამენტით იგი რაციონალისტია. მას აშკარად არა აქვს პელებს საფეხბურთო ინსტიქტი. არ ჰყოფის გრძნობა. იგი აღიგნება ხოლმე მხოლოდ შეტევისას, თუ მასში მთავარ როლს ასრულებს. მაგრამ აქაც იგი არ ჰგავს მებრძოლს. უფრო თავის ლაბორატორიაში მყოფ მეცნიერს გვაგონებს.

ამის გამო ბეკენბაუერის გავლენა პარტნიორებზე განსაზღვრულია. იგი ხან ყველას ხელმძღვანელობს, ხან კი თითქმის არც კი მონაწილეობს თამაშში. მას არ შეუძლია ამაღლდეს მაშინაც კი, როდესაც ეს განსაკუთრებით საჭიროა. არ შეუძლია თავი დააღწიოს სათამაშო სქემას, არაა წამყვანი. შესაძლოა, უნდა გავთვალისწინოთ, რომ ბეკენბაუერი მხოლოდ 20 წლისაა, მაგრამ პელები ხომ ლიდერი იყო 18 წლის ასაკში!

საქართველო სსრკ-ის სპორტის განვითარებისათვის

ბინდებოდა. საგარეოელი მოთხერი სწრაფად მიჰქროლებდა მანქანას ივრის ხეობაში. შინ მიიჩქაროდა. მდინარე იორს ვეებერთელა შავი ფრთოსნის ლანდი გაეკრა.

— ნეტავ, რა უნდა იყოს? — გაღალატა პარაკა მოფერმა გვერდით მჯდომ თანამგზავებს.

უცებ ლანდმა შემოუხეცია, მანქანის წინ გზისპირა კლდეს შეაყვია და შარავზე აფართობა ლანდა.

მოფერმა მანქანა ორიოდ ნაბიჯზე დაამუხრუჭა, უშეფარები დიდ შავ ფრინველს დანათოდნენ. ეს იყო ფრინველთა მეფე — ბობი არწივი. მოფერმა მიახლოებაც კი ვერ გაბედა: კლანჭებში მარჯვებული ფრინველი ქშეხილის მსგავს ბგერებს გამოსცემდა, ზურგზე ეგლო და ფრთებს უხერხულად აფართობდა.

მოფერმა იმარჯვა, მანქანიდან პალტო გადმოიღო და არწივს კლანჭებსა და თავზე გადააფარა, მაგრამ შეხვია, შეკრა და კაბანაში შეაგლო.

ფრინველი იმავე საღამოს საგარეჯოს რაიონის მონადირეთა საზოგადოების თავმჯდომარეს ზოსიმე გზირიშვილს მიჰგვარეს.

ზოსიმე მეორე დღით თავისი დისწული მონადირე გიორგი მამისაშვილი დაიბარა და ფრინველთა მეფის მეურვეობა მიანდო. გიორგიმ არწივს ბინა გამოუწახა, თოკით დააბა და მის ფრთებს დააკვირა, ფრთები ყინულნარევი წვეთებით იყო დაფარული.

— ფრინველი ამინდს არ უშინდებდა, და სწორედ ამ გაბედულებამ იმსხვერპლა იგი, — განმარტა გიორგიმ, — თინელნიან ამინდში მას ფრთები უსვლდება, უცებ წამოკრებიდა ყინვა და... მთელი სხეული უმოძრაო ხდება.

ეს შემთხვევა კი მარტის თვეში მოხდა, ისიც გომბორის მთებში და საღამოთი.

არწივი სუსტად გრძნობდა თავს. მეათეკლასელი თელო, ზოსიმეს ვაჟი, ჩხართვებსა და სხვა ფრინველებს უზიდავდა მეფეს.

სულ ერთი კვირა დაპყო არწივმა გამოსაშვილის ოჯახში, მერე, როცა, გიორგი სრულიადი ცარ მოელოდა და ფეხიდან თოკიც კი შესხდა, საღ წავაო, უცებ წამოიშარათა, ფრთები ამაყად გაშალა, ერთი ირათ შემოუარა იქაურობას და მთებისაყენ აიღო გეზი.

— რგოლი მინდოდა შემება ფეხზე და ველარ მოვასწარი, — სინანულით ამბობს გიორგი, — თორემ მე თვითონ გავუშვებდი, განა დიდხანს ვავაჩერებდი? უმადური სტუმარი გამოდგა ფრინველთა მეფე.

იოსებ ჯაბაღარი
საგარეჯო.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. | სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, პ.მგ. მდივანი თ. ვოგოლაძე. | ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექნიკური რედაქტორი დ. ხეფაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე. რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის 9-54-86, პ.მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39.

რედაქციაში შემოსული მახალბეი ავტორებს არ უბრუნდებათ. | ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასახელებად 6/VII-67 წ. გამოცემა. № 213 ქაღ. ზომა 70x108/16, 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირბით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 35.700. შეჯ. № 2620, უე 06937

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კ. ც.კ.-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



▲ საპერაციო მაგიდაზე. ფოტო თ. ზარქუასი.



▲ ძმაკები ფოტო დ. ილამიშვილისა.

▶ პემანი ალაზნის პირას ფოტო თ. არჩვაძისა.



▶ საგუშაგოზე. ფოტო შ. ჩხეტიანისა.



ИНДЕКС 76056

6164/149

